ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

„ახალი თაობა“+ ჩარლი ჩაპლინი 8 ლარი 11 ოქტომბრიდან




სამშაბათი, 18 ოქტომბერი, 2011 №247 (5627) ფასი: 30 თეთრი

# ბაჩო ახალაიამ ზაზა გოროზიას სცემა?



რას ვერ იყოფენ მინისტრი და გუბერნატორი



გვ.2



## შალვა ნათელაშვილი: „ამერიკა სააკაშვილს ივანიშვილით ჩაანაცვლებს“ გვ.2

## ეზუგბაია ქართველ მემანქანეებს დაერია გვ.4



გვ.3

## კოკოითი პრეზიდენტის პოსტს აუქმებს

ცხინვალში საკონსტიტუციო გადატრიალება მზადდება

## საქართველოში აშშ-ის სამხედრო ნაწილები განთავსდება?



გვ.7



გვ.7

## როგორ შეძლებს პოლიტიკაში ჩართვას საქართველოს მოქალაქეობის არმქონე ივანიშვილი?



## უგულავამ თბილისელებს დასცინა გვ.6

## ვინ ვინ არის



გვ.6

## ირაკლი სესიაშვილი: „საჩხერის სამხედრო დანაყოფიდან სამხედროები სავარაუდოდ ბიძინა ივანიშვილისადმი სიმპათიის გამო დაითხოვეს“ გვ.6

## ივანიშვილმა მკვეთრად მიანიშნა, რომ აღარ არის პოლიტკორექტულობის დრო გვ.3



## 3090 sms განცხადებები „ახალ თაობაში“

თუ გსურთ ბინის, ავტომანქანის ან სხვა რამის ყიდვა ან გაყიდვა, აკრიფეთ თქვენს მობილურ ტელეფონში შესაბამისი ტექსტი და გააგზავნეთ sms ნომერზე **3090** მაგთიდან და ჯეოსელიდან.

თქვენი განცხადება გამოქვეყნდება გაზეთ „ახალი თაობის“ უახლოეს ნომერში.

განცხადებები, რომლებშიც საკუთარი ტელეფონის ნომერი არ იქნება, არ დაიბეჭდება!

1 sms-ის ფასია 50 თეთრი.

ISSN 1987-9385

2 ბალათურია ივანიშვილის განცხადებებში რუსულ ინტერესს ვერ ხედავს

4 ახალქალაქის სასამართლომ გამამართლებელი განაჩენი დაადგინა

11 საგარეო უწყება ივანიშვილის განცხადებაზე კომენტარს არ აკეთებს

4 ხელისუფლება მეწარმეების წინააღმდეგ ახალ კამპანიას იწყებს

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# შალვა ნათელაშვილი: „ამერიკა სააკაშვილს ივანიშვილით ჩაანაცვლებს“

შორენა კოწოწაშვილი

**ლეიბორისტები ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ დაწყებულ კამპანიას აგრძელებენ და მას ხელისუფლების დამფინანსებელს და „სორისი 2-ს“ უწოდებენ. ლეიბორისტული პარტიის ლიდერი შალვა ნათელაშვილი დარწმუნებულია, რომ მილიარდერი ბიძინა ივანიშვილი ამერიკის სურვილით მოდის და ამერიკისვე მიერ შეირჩა მისი პარტნიორი პარტიებიც.**

ნათელაშვილი წარმოუდგენელ სისულელედ მიიჩნევს ივანიშვილის თავდაჯერებულობას, რომ ის სააკაშვილის ხელისუფლებას დაამარცხებს არჩევნებით და უმრავლესობით მოვა. ეს ნათელაშვილის მტკიცებით წარმოუდგენელია, თუ ამერიკამ არ მოგცა ამის გარანტია და თუ ამათ არ დაწერეს ადგილზე ხმების შესაბამისი რაოდენობა.

— მას შემდეგ, რაც ბუშის ვარდებიანი გადატრიალების შედეგად ხელისუფლებაში მოსული მიხეილ სააკაშვილი სრულიად გაკოტრდა და ამთავრებს თავის პოლიტიკურ ტრაგიკომედიას, ვაშინგტონმა, რომლის კოლონიაც საქართველოა, ტრადიციულად მიიღო ჩამკეტი ზომები სამომავლოდ ხელისუფლებაში ეროვნული ძალების და უპირველესად, ლეიბორისტული პარტიის არდასაშვებად. იციან რა ჩვენი ხალხის მნიშვნელოვანი ნაწილის მონური თაყვანისცემა ფულიანი კაცისადმი, გამონახეს ახალი „სოროსი 2“, ამჯერად ქართული გვარით — ივანიშვილი, რომელიც ყოველთვის რეჟიმის ფინანსური ბურჯი იყო და რომლის მილიარდები ინახება ამერიკა-ევროპის ბანკებში, რაც შესაბამისად, ჩვენი ამერიკელი ბატონებისათვის უზრუნველყოფს ამ პიროვნების 100%-იან მართვას. შედეგად ხალხისთვის წართმეული ქონება კვლავ დარჩება გაბატონებული კლანის ხელში, ძალაუფლება შეუნარჩუნდება მმართველ ელიტას. საგარეო პოლიტიკა დარჩება ნატოსა და ამერიკაზე ორიენტირებული, რაც გამორიცხავს აფხაზეთ-ცხინვალის დაბრუნებას და გააღრმავებს საქართველოს დაშლის პროცესს, — აცხადებს ლეიბორისტული პარტიის ლიდერი შალვა ნათელაშვილი.

შრომის პარტიის ლიდერი დარწმუნებულია, რომ საზოგადოების დიდი ნაწილი არ გაკიკუვდება და სამშობლოს ფულზე არ გაყიდის.

— 2003 წელს, როცა ხალხმა არ დამიჯერა და გაყვა მერაბიშვილ-სააკაშვილს, მივიღეთ დაშლილი საქართველო. იმედია, დღეს მაინც ჩვენი საზოგადოების სულიერად მშიერმუცელა ნაწილი არ გაკიკუვდება და ქვეყანას კვლავ ფულზე არ გაყიდიან. მე, ჩემი მხრივ, კვლავ ვიწვევ ბატონ ივანიშვილს პირდაპირ ტელედებატებში, რაზედაც ის დღემდე, სამწუხაროდ, დუმს, — განაცხადა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე ნათელაშვილმა.


შალვა ნათელაშვილი

გუშინვე ივანიშვილის მიერ ფსევდოოპოზიციურ ძალად დასახელებული ლეიბორისტული პარტიის ლიდერმა ივანიშვილის, როგორც რუსეთის ოლიგარქის, პოლიტინტერესებზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ მილიარდერი და ილოგარქი ითვლება იმ სისტემის და ქვეყნის წარმომადგენლად, სადაც ინახება მისი მილიარდები და არა სადაც იშოვა ეს ფული.

— ივანიშვილის ფული კი ინახება ევროპა-ამერიკის ბანკებში და ამ ბანკებიდან ნებისმიერ დროს შეიძლება დაედოს ყადაღა აღნიშნულ თანხებს, თუ რამე ეწყინებათ, ისევე, როგორც ყადაღა დაადეს მოამარ კადაფის, სადამ ჰუსეინის, ირანის, ტაილანდის ყოფილი პრემიერის ანგარიშებს და შედეგად მოქმედებს ეს იმპერიალისტური სახელმწიფო თავისი ბატონობის შესანარჩუნებლად, — აღნიშნა ნათელაშვილმა. მისი თქმით, ყურადღება უნდა მიექცეს იმ ფაქტს, რომ ბიძინა ივანიშვილმა, პირველ რიგში, გვერდით დაიყენა პოლიტიკური ძალები, რომლებიც ამერიკულები არიან.

— ჩემი ინფორმაციით, მიდის მოლაპარაკებები რუსეთთანაც მაკფოვანის მონაწილეობით და თუ რუსეთთან შეთანხმდებიან, მაშინ ბიძინა ივანიშვილის გვერდზე გამოჩნდებიან პრორუსული ძალები. ჯერჯერობით ეს არის ვაშინგტონის ყველაზე ნეოკონსერვატორული ძალების თამაში, მხედველობაში მაქვს მაკკეინის, დიკჩეინის, ბუშის, რამსფელდის ჯგუფი, რომლებიც წარმოადგენენ მსოფლიოს ნავთობმაფიას, რომელთა წარმომადგენელი იყო და არის საქართველოს ხელისუფლება და რომელსაც არც კი შეუძლია წარმოიდგინოს ყველაზე საშინელ სიზმარშიც კი, რომ აქ ოდესმე მოვა არაპროამერიკული ძალა, არა იქედან მართვადი ძალა, არა მათი მონა ძალა, — განაცხადა ლეიბორისტული პარტიის ლიდერმა შალვა ნათელაშვილმა. მისი თქმით, დღეს მთავარი ივანიშვილის მოქალაქეობა კი არ არის, ან რამდენი მოქალაქეობა ჰქონდა, მთავარი ის არის, რომ რეჟიმმა, მათმა უცვლელმა ამერიკელმა მფარველებმა, გადმოაგდეს მაშველი პარაშუტი, რასაც უნდა მათ მოაყოლონ ელიტა, ქონება, ქვეყანა, ფულები და ამ პარაშუტის სათავეში ჯერჯერობით ივანიშვილი მოიაზრება.

როგორც პრესკონფერენციაზე ითქვა, დასავლეთში ჩვენი ეთნიკური პრობლემები კარგად არის შესწავლილი და იციან, რომ საქართველოში ფულიანი კაცისადმი ყოველთვის უდიდესი თაყვანისცემა იყო. სადღეგრძელოც კი გვაქვს, ფულის მშოვნელ კაცს გაუმარჯოსო! „ეს ძალიან კარგად იციან და შესაბამისად, „სოროსი 2“ ქართული გვარით გადმოაგდეს“, — აღნიშნა ნათელაშვილმა.

რაც შეეხება იმ ფაქტს, რომ რამდენიმე წლის წინ არჩევნების დროს ლეიბორისტული პარტიის ლიდერმა თავად შესთავაზა ბიძინა ივანიშვილს პრემიერ-მინისტრის პოსტი მისი გაპრეზიდენტების შემთხვევაში, ამაზე ნათელაშვილს ასეთი პასუხი აქვს: „მაგრამ არა პოლიტიკური ლიდერი. პრემიერი ტექნიკური თანამდებობაა. ეკონომიკას ივანიშვილი ნამდვილად მიხედავდა, ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ ის იქნებოდა ეროვნული ძალებიდან დასახელებული და არ იქნებოდა ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს მიერ დანიშნული“.

რაც შეეხება ახლანდელ პრემიერობას, ახლანდელი პრემიერობა პოლიტიკური თანამდებობაა. კონსტიტუციაში შეტანილი ცვლილებების შემდეგ, პრეზიდენტის უფლებები პრეზიდენტმა სააკაშვილმა გადაიტანა იმ იმედით, რომ ამით გაეხანგრძლივებინა პოლიტიკური მომავალი.

— ამდენად, ეს პოსტი გახდა სრულიად პოლიტიკური და როცა ჩვენ დავასახელეთ ეს ჭორვილაში მჯდარი პიროვნება და რეჟიმის დამფინანსებელი, გვინდოდა პირველ რიგში დაგვეყენებინა ეროვნულ ძალებიდან და მისი მილიარდები მოხმარებოდა ხალხს და არა მარტო ხელისუფლებას და ჭორვილას ერთ უბანს, მის ბიძაშვილებს. ეს ერთი. მეორეც: სწორედ ეს მომენტები გვქონდა გათვლილი, რომ პრემიერობა მაშინ იყო ტექნიკური თანამდებობა. ეს არის ეკონომიკური თანამდებობა და არანაირი პოლიტიკური დატვირთვა მას არ ჰქონდა, — აღნიშნა ნათელაშვილმა.

აღსანიშნავია, რომ მშრომელების პარტიის სახელოთ ოპოზიციურ ფლანგზე მყოფ ნათელაშვილს არც ბიძინა ივანიშვილის ეპისტოლეები გამორჩენია და ორიოდე სიტყვა მათი კრიტიკისთვისაც გაიმეტა.

— ალბათ ამ წერილის დაწერის დროს მერაბიშვილი ივანიშვილის კალთაში იჯდა, როცა ამას წერდა. თანაც წერილში წერს, რომ დიდი სიმპათიები აქვს ამ უნიკალური მენეჯერის მიმართ. მერაბიშვილი რომ კაცს მოეწონება, ან ადამიანს მოეწონება, იმ არსებაზე მე არანაირი აზრი და შთაბეჭდილება არ მექმნება, ისევე, როგორც საზოგადოების ძალიან დიდ ნაწილს. გემოვნება აქედანაც ჩანს. 2005 წელს, როცა გირგვლიანის სასამართლო პროცესზე, რომელიც მერაბიშვილის ცოლის დავალებით მოკლეს, ხულიგნობისთვის დამაჯარიმეს და ლამის დამიჭირეს, მაშინ თურმე მერაბიშვილს ხსნიდნენ და ივანიშვილს გადაურჩენია, როგორც კარგი მენეჯერი. აქ შეიძლება რაიმე მორალი იყოს?! — განაცხადა ბოლოს ნათელაშვილმა. მისი თქმით, ამ მკვლელობის შემდეგ გირგვლიანების ოჯახი სრულად ამოწყდა და ჭორვილას გამოქვაბულიდან ჩამოგორებული ეს პიროვნება მას თანამდებობას უნარჩუნებს.

ჟურნალისტების კითხვაზე, რა პოლიტიკური გათვლები შეიძლება ჰქონდეს ბიძინა ივანიშვილს მის მიერ შერჩეულ პოლიტიკურ ძალებთან ერად, ლეიბორისტული პარტიის ლიდერი გამორიცხავს, რომ ივანიშვილს რაიმე პოლიტიკური გათვლები ჰქონდეს.

ნათელაშვილის თქმით, რაც უთხრეს ამერიკელმა მრჩევლებმა, ის უნდა გააკეთოს.

ვისზეც უთხრეს, ის დაიყენა გვერდში. ვისზეც უთხრეს, თავში უნდა ჩაარტყა, ჩვენ ის არა გვჭირდება.

— ამერიკა და რუსეთი თუ შეთანხმდნენ, ჩვენ პრორუსულ ძალებს ვიხილავთ ივანიშვილის გვერდით, თუ ვერ ვიხილავთ, ე.ი. ვერ შეთანხმდნენ, — აღნიშნა ნათელაშვილმა.

# ბაჩო ახალაიამ ზაზა გოროზიას სცემა?

შალვა ჯოხაძე

სამეგრელოს რეგიონის მედიაში სკანდალური ინფორმაცია გაჩნდა იმის თაობაზე, რომ ბაჩო ახალაიამ ზაზა გოროზიას სცემა. ამის მიზეზი კი ის მოსალოდნელი საკადრო კარუსელია, რომლის შესახებაც კულუარებში ვრცელდება ინფორმაცია. ამ ინფორმაციის თანახმად, რადგანაც სამეგრელოში ნაციონალების რეიტინგი დაეცა, იქ თავდაცვის უწყებიდან დესანტი უნდა განახორციელონ, მინისტრი ბაჩო ახალაია გუბერნატორად გადაიყვანონ. ზოგიერთი წყაროს ცნობით კი, ზაზა გოროზიას ნაცვლად სენაკის მაჟორიტარ დეპუტატ გურამ მისაბიშვილს დანიშნავენ. ასეა თუ ისე, ამჟამინდელ გუბერნატორ ზაზა გოროზიას მომავლაში სიმინდის მოსავალზე მოუწევს ზრუნვა, რადგანაც ამ ინფორმაციის თანახმად, გოროზია ბაკურ კვეზერელს ჩაანაცვლებს. თუმცა, საქმეც ისაა, რომ ზაზა გოროზიას ჰიბრიდულ მოსავალზე ზრუნვას სამეგრელოში მუშაობა და მეგრული სიმინდისაგან მომზადებული კერძები ურჩევნია.


ზაზა გოროზია


ბაჩო ახალაია

გამოცემა „თავისუფალი სიტყვისათვის“ სარწმუნო წყაროს მიერ მოწოდებული ინფორმაციით, დაახლოებით ერთი კვირის წინ, თავდაცვის მინისტრ ბაჩო ახალაიასა და სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორ ზაზა გოროზიას შორის ინციდენტი მოხდა. შელაპარაკებისას ბაჩო ახალაია ზაზა გოროზიასა და მის მოადგილეს, ვახტანგ ცხადაიას ფიზიკურად გაუსწორდა. ამავე წყაროს ცნობით, ინციდენტის შემდეგ გოროზია და ცხადაია სამსახურში არ გამოჩენილან.

„თავისუფალი სიტყვა“ საკუთარ წყაროზე დაყრდნობით წერს, რომ „გოროზიას გუბერნატორის პოსტის დატოვება არ უნდა. ამის გამო იკამათეს და კამათის დროს ახალაიამ მას მუშტი რამდენჯერმე ჩაარტყა, ხოლო შემდეგ მის მოადგილეს მიუბრუნდა. გოროზია და ცხადაია ამის შემდეგ სამსახურში არ ყოფილან“.

გოროზიამ კი ჟურნალისტებს უთხრა, რომ ამჟამად საფრანგეთში იმყოფება მივლინებით და 1-2 დღეში დაბრუნდება. ჯერ კიდევ გუბერნატორმა გოროზიამ ინციდენტის შესახებ გავრცელებულ ინფორმაციას „მორიგი ჭორი“ უწოდა. იგივე კომენტარს აკეთებს გოროზიას მოადგილე ვახტანგ ცხადაიაც. გუბერნატორის მოადგილე აცხადებს, რომ ის შვებულებაში იმყოფება.

„ახალაიასთან არანაირი კავშირი არ მქონია და ეს სიცრუეა,“ — თქვა ცხადაიამ და დასძინა, რომ არც საკადრო ცვლილებების შესახებ იცის რამე.

ვახტანგ ცხადაიას შვებულებაში ყოფნის შესახებ ინფორმაცია სამხარეო ადმინისტრაციის პრესსამსახურის უფროსმა, ლალი გელენავამაც დაადასტურა. მისი თქმით, ის შვებულებაში 1 ოქტომბრიდან გავიდა.

# ბაღათურია ივანიშვილის განცხადებებში რუსულ ინტერესს ვერ ხედავს

პოლიტიკური პარტია „ქართული დასის“ ლიდერი ჯონდო ბაღათურია ბიზნესმენ ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკურ განცხადებებში რუსულ ინტერესს ვერ ხედავს.

ჟურნალისტებთან საუბრისას იგი მის იმ განცხადებას გამოეხმაურა, რომელიც რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის აღდგენასა და პუტინის რეფორმატორობას შეეხება.



— ივანიშვილის გააქტიურებაში რუსულ ინტერესს ვერ ვხედავ. „ქართული დასი“ ყველა პატრიოტულ ძალასთან ითანამშრომლებს, ვინც ამ ხელისუფლებას კანონიერი გზით დაუპირისპირდება, — აღნიშნა ჯონდო ბაღათურიამ.

მან ბიზნესმენის განცხადების დაწვრილებით კომენტირებისაგან თავის შეიკავა და აღნიშნა: ციციკორე ძია არ ვარ, რომ სხვისი შეფასებით ვიყო დაკავებული.

**მედიანიუსი**

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-84-92-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# კოკოითი პრეზიდენტის პოსტს აუქმებს

## ცხინვალში საკონსტიტუციო გადატრიალება მზადდება

თეა მარხვაიძე

– ასეთ ქმედებას ცივილიზებულ ქვეყნებში საკონსტიტუციო გადატრიალება ჰქვია. აი, ამის გაკეთებას აპირებენ კოკოითი და მისი გარემოცვა, რათა დიდი ხნის განმავლობაში დარჩნენ ხელისუფლებაში, – ნათქვამია ოსური ოპოზიციის საგანგებო მიმართვაში.

ოსურ ოპოზიციას ძალიან ეშინია 19 ოქტომბრის საპარლამენტო სხდომის. რომელზეც მათი მტკიცებით დიდი საკონსტიტუციო გადატრიალება უნდა მოხდეს.

– ისინი სასწრაფო წესით აპირებენ პარლამენტის სხდომის ჩატარებას. რომელზეც სამხრეთ ოსეთს საპარლამენტო რესპუბლიკად გამოაცხადებენ. ქვეყნის მეთაურად კი კოკოითის დანიშნავენ, – ჩივიან ოსი ოპოები.

მათი თქმით, პრეზიდენტის პოსტი მთლიანად არ გაუქმდება. უბრალოდ ახალი პრეზიდენტი კოკოითის დაჯგუფების ხელში მარიონეტი იქნება.

– კოკოითი და მისი გარემოცვა არ გვაძლევენ იმის საშუალებას, რომ ღირსეული პრეზიდენტი ავირჩიოთ. რომელიც ქვეყანას ამ მძიმე ვითარებიდან გამოიყვანს, – ვკითხულობთ საგანგებო განცხადებაში.

ოპოზიცია შიშობს, რომ კოკოითი ხელისუფლებიდან წასვლას არ აპირებს და ძალაუფლების შესანარჩუნებლად ყველაფერს გააკეთებს.

– ის შეეცდება ხელისუფლებაში თავისი დაჯგუფება მოიყვანოს. რათა აქამდე ჩადენილ უკანონობაზე პასუხი არ აგოს, – მიაჩნიათ ოპოზიციაში.

ეს სკანდალური სხდომა ხვალ, 19 ოქტომბერს უნდა გაიმართოს. ამავე დღეს უნდა უყაროს კენჭი პარლამენტმა ცესკოს მიერ დამტკიცებულ

**ცხინვალის რეგიონში კვლავ დიდი ამბებია. ოპოზიცია კოკოითის წინააღმდეგ ახალი ძალებით აპირებს გამოსვლას. გავრცელებული ინფორმაციით, სამხრეთ ოსეთში შეიძლება პრეზიდენტის პოსტი გააუქმონ. აქაური ოპოზიციის განცხადებით, პრეზიდენტი და მისი გარემოცვა საკონსტიტუციო გადატრიალებას ამზადებენ.**


ედუარდ კოკოითი

საპრეზიდენტო კანდიდატების სიას.

ოსური პორტალების ინფორმაციით, ამ დღეებში აქტიურად მიდიოდა დეპუტატების დაშინება. კოკოითის გარემოცვა დეპუტატებს აიძულებს მათთვის სასურველ გადაწყვეტილებას მისცენ ხმა.

წერილის ავტორები შეშფოთებული არიან იმის გამო, რომ ამ გადაწყვეტილების მიღებას კოკოითი წინასაარჩევნო პერიოდში აპირებს. ეს კი მათი თქმით იმ უკანონობის შედეგია, რომელიც ცხინვალის რეგიონში წლების მანძილზე გამეფდა.

აქვე საუბარია იმაზეც, თუ როგორ ზეწოლას ახორციელებდნენ ცესკოს წევრებზე ედუარდ კოკოითი და თემურ ხუგაევი. ეს უკანასკნელი გენპროკურორობის გარდა კოკოითის ძმის, რობერტის ქვისლიც არის.

ოსი ოპოზიციონერები კოკოითის ქვეყანაში შიშისა და ტერორის დათესვაშიც სდებენ ბრალს. საუბარია სიკვდილის ესკადრონებზეც. რომლებიც კოკოითის შეუქმნია და მათი მეშვეობით ატერორებს მოსახლეობას.

ოსური ოპოზიცია მიიჩნევს, რომ ამის ასე დატოვება არ შეიძლება. ამიტომაც ისინი მოსახლეობას აქციაზე გამოსვლისკენ მოუწოდებენ. აქცია კი 19 ოქტომბერს არის დაგეგმილი.

ამ დროისთვის ოპოზიციას უკვე ეცოდინება რა რეაქცია აქვთ მოსკოვში. შაბათს მოსკოვში გაფრინდა ოპოზიციის ლიდერი ძამბოლატ თედეევი. რომელიც პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსთან აპირებს შეხვედრას.

თედეევი ამტკიცებს, რომ კრემლი ანატოლი ბიბილოვს მხარს არ უჭერს.

– 20 სექტემბერს ცხინვალში სერგეი ნარიშკინი და ანატოლი ბიბილოვი იყვნენ. როცა მათ ჰკითხეს ვის დაუჭერს მოსკოვი მხარს არავის გვარი არ დაუსახელებიათ. მათ თქვეს, რომ ითანამშრომლებენ იმასთან ვისაც ხალხი აირჩევს, – განაცხადა თედეევმა.

მოსკოვიდან დაბრუნებულმა ანატოლი ბიბილოვმა საინტერესო პრესკონფერენცია გამართა. სადაც რუსეთს მადლობა გადაუხადა და იქვე მიაყოლა, კრემლი მე მხარს არ მიჭერსო.

საინტერესოა ის ფაქტიც, რომ კოკოითის ნებიერას მხარს არც ადგილობრივი მოსახლეობა უჭერს. ჩატარებული სოციოლოგიური კვლევებით გაირკვა, რომ ბიბილოვს გამოკითხულთა მხოლოდ 2 პროცენტი უჭერს.

მოკლედ ცხინვალში ძალიან საინტერესო ამბები ხდება. კოკოითი აშკარად რაღაცას აპირებს. სავარაუდოდ სწორედ ამის გამო გადააყენეს ცოტა ხნის წინ თანამდებობიდან სტანისლავ კოჩიევი. რომელიც მანამდე ოსური პარლამენტის სპიკერი იყო.

კოკოითი პირობას დებს, რომ ცხინვალში დესტაბილიზაციას არ დაუშვებს. რაც იმას ნიშნავს, რომ შეიძლება ცხინვალში აქცია დაარბიონ.

თედეევის გაძევების შემდეგ კოკოითი აშკარად ყინჩად გამოიყურება. თუმცა სიხარული ჯერ ნაადრევია. ძამბოლატ თედეევი მას სამაგიეროს აუცილებლად გადაუხდის. ამ კაცს მოსკოვში დიდი კავშირები აქვს და შეიძლება რაღაცას გამოჰკრას ხელი.

ამ კავშირებისა და ავტორიტეტის წყალობით გაიყვანა მან 10 წლის წინ კოკოითი პრეზიდენტად, არადა მაშინ ჯაბეევიჩს გაპრეზიდენტების მცირე შანსიც არ ჰქონდა.

ვნახოთ რა იქნება ახლა.

მოსკოვი კომენტარების გაკეთებისგან აშკარად და საეჭვოდ იკავებს თავს. მათ ისიც კი გადაყლაპეს, რომ ცხინვალმა რუსეთთან საზღვარი ჩაკეტა. კრემლს არც ცნობილი ადამიანების განცხადებებზე მოუხდენია რეაგირება. რომლებმაც ამ დღეებში არაერთხელ მიმართეს პრეზიდენტს.

# ივანიშვილმა მკვეთრად მიანიშნა, რომ აღარ არის პოლიტკორექტულობის დრო

**რატომ გახდა მნიშვნელოვანი საზოგადოების ნაწილისთვის პოლიტიკურ სცენაზე ბიზნესმენ ბიძინა ივანიშვილის გამოჩენა, „ინტერპრესნიუსი" ანალიტიკურ ჯგუფ "ტერრა მედიას" გენერალურ დირექტორს, სოციოლოგ ვალერიან გორგილაძეს ესაუბრა.**

***– ბატონო ვალერიან, ქართულ პრესაში ბიზნესმენ ბიძინა ივანიშვილის მიერ გავრცელებულმა განცხადებებმა, ამ განცხადებებზე ქართული საზოგადოებისა და პოლიტიკური წრეების რეაქციამ, უნებლიედ ლევ ტოლსტოის რომანის, "ანა კარენინას" დასაწყისი გაგვახსენა – "ობლონსკების სახლში ყველაფერი აირ-დაირია". თქვენი აზრით, რატომ აღმოჩნდა ბიზნესმენ ივანიშვილის პოლიტიკური განცხადებები და პოლიტიკაში გამოჩენა ასე მნიშვნელოვანი ქართული საზოგადოების საკმაოდ დიდი ნაწილისათვის? ქვეყანაში ბევრი საინტერესო რამ კი ხდება, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება, რაც უნდა ხდებოდეს ქვეყანაში, მთავარ ნიუსმეიკერად უჩინარი ბიზნესმენი რჩება, რომელმაც პოლიტიკაში წასვლის შესახებ გადაწყვეტილება მიიღო და სავარაუდო პარტნიორებთან კონსულტაციებიც დაიწყო...***

– გეთანხმებით, რომ ბიძინა ივანიშვლის გამოჩენა და მისი პოლიტიკური განაცხადი წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტს საქართველოს პოსტრევოლუციურ ისტორიაში. თავისი მნიშვნელობით და მოსალოდნელი შედეგებით ამ მოვლენის წონა უახლოვდება ზურაბ ჟვანიას უეცარ გარდაცვალებას და რუსეთ – საქართველოს ომს.

იმაშიც გეთანხმებით, რომ ბოლო ათი დღის განმავლობაში ისეთი კალეიდოსკოპური სიჩქარით ერთმანეთს ცვლიდა ძალზედ მნიშვნელოვანი ოთხი საინფორმაციო საბაბი. „ექვსეულის" დაშლა, პუტინის "ევრააზიული" ინიციატივა, სარკოზის ვიზიტი თბილისში – დამეთანხმებით ალბათ, რომ თავისი განსხვავებული წონის მიუხედავად, არც ერთი ეს მოვლენა არ შეიძლება მოინათლოს როგორც რიგითი. ამის მიუხედავად, ბიძინა ინაშვილის ფაქტორმა გადაფარა ყველა ზემოხსენებული ფაქტი, სარკოზის ვიზიტის ჩათვლით.

ივანიშვილის ფენომენი უკავშირდება ორ ძირითად ფაქტორს. ერთის მხვრივ, ბოლო დროს საპროტესტო ელექტორატში არსებული უპრეცედენტო სკეპტიციზმი და პოლიტიკური აპათია, რომელიც გამოწვეული იყო ოპოზიციაში მკვეთრად ქარიზმატული ლიდერის არარსებობით, ითხოვდა გამოსავალს. ადამიანი არ შეიძლება მუდმივად იმყოფებოდეს უიმედო მდგომარეობაში და, როდესაც ნახევრად მითოლოგიური, უამრავი ლეგენდით შემკული პერსონაჟი ხელისუფლების მიმართ მკვეთრად ნეგატიურად განწყობილ მოსახლეობაში, გამოჩნდა ეიფორიით ნარევი იმედის განცდა. მეორე ფაქტორი მჭიდროდ უკავშირდება იმ ხატს ან ვთქვათ იმიჯურ მახასიათებლებს, რომლებიც ილექებოდნენ მოსახლეობის ცნობიერებაში რამდენიმე წლის განმავლობაში. ქართველი, მართლმადიდებელი, წარმატებული, იდუმალი, მზრუნველი, მეცენატი და ფილანტროპი, თითოეული ეს პრედიკატი, რასაკვირველია, ქმნის იდეალური რაინდის, გმირის ხატს, რომელმაც აუცილებლად უნდა დაამარცხოს გველეშაპი. ერთადერთი ხატი, რომელიც გარკვეული დაშვებით შეიძლება შეადარო ბიძინა ივანიშვილის ამჟამინდელ იმიჯს, არის მიხეილ სააკაშვილის პრეროვოლუციური იმიჯი. მაშინაც, სააკაშვილი მოსახლეობის დიდ ნაწილს ესახებოდა რაინდად, რომელსაც უნდა დაემარცხებინა თავისი გველეშაპი. არც ბადრი პატარკაციშვილს და მით უფრო არც ირაკლი ოქრუაშვილს მსგავსი მახასიათებლები არ გააჩნდათ.

***– ივანიშვილის მეორე განცხადებასთან დაკავშირებით განსხვავებული მოსაზრებები კი გამოითქვა, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ვინც ბოლო 20 წელი აკვირდება საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებას, ივანიშვილის მეორე წერილის მსგავსი მასალა ძნელად თუ შეიძლება გაიხსენოს. ბევრი იმასაც კი ამბობს, რომ ივანიშვილმა მთელ პოლიტიკურ კლასს უფასოდ მასტერკლასიც კი ჩაუტარა. თქვენ როგორ შეაფასებდით ზოგადად ივანიშვილის განცხადებებს და მის პოლიტიკურ გემოვნებას? მხედველობაში მაქვს მის მიერ პოლიტიკურ პარტნიორებად "რესპუბლიკელებისა" და ალასანიას „თავისუფალი დემოკრატების" დასახელება...***

– აქ მართლაც ბევრი სიახლეა. მინდა, აღვნიშნო, რომ კომუნიცირების მეთოდი რომელიც არჩეულ იქნა ბიძინა ივანიშვილის მიერ, არის უპრეცედენტო. ეპისტოლარული, პირდაპირი მონოლოგი საზოგადოებასთან. აქ, ჩემი აზრით, ძალიან ბევრი ფსიქოლოგიაა და ტექსტის გაგება შეუძლებელია ფსიქოლოგიური კონტექსტის გარეშე. მაგალითად, ბევრი მიმომხილველი და კომენტატორი იყო გაოცებული და შეშფოთებული ტექსტის კატეგორიულობით და გარკვეული აგრესიულობითაც, განსაკუთრებით მედიასაშუალებების, ცალკეული ჟურნალისტების თუ ექსპერტების მიმართ. ზემოთ აღვნიშნე, რომ ჩვენს წინ ვითარდება ახალი მითოსი და, როგორც მითოსების უმრავლესობაში, მასში დუალისტური ფაბულაა: თეთრი და შავი, სიკეთე და ბოროტება. გამოვყოფ ერთ ფრაგმენტს ივანიშვილის წერილიდან, რომელშიც ის გულწრფელად აღწერს თავის განცდებს, ეჭვებს და შიშს, რომლების წინ უძლოდა ამ ძალზედ რთულ დილემას, თავის არჩევანს - წასულიყო თუ არა საჯარო პოლიტიკაში. ბიძინა ივანიშვილმა გადალახა რუბიკონი და, როდესაც გააკეთა ეს არჩევანი, მშვენივრად აცნობიერებდა, რომ ჩაერთო სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში და ამ ბრძოლაში მას ჰყავს როგორც მომხრეები, ასევე - მტრები. მესამე, ამ ბრძოლაში მკაფიოდ უნდა იყოს ცნობილი - ვინ ვისთან არის. ამიტომაც არის, რომ ივანიშვილი ახდენს მკვეთრ დემარკაციას პოლიტიკურ სპექტრში, მედიასა და ექსპერტულ ამქარში. ამიტომაც არის, რომ ერთ-ერთი ყველაზე წესიერი, პატიოსანი ჟურნალისტი და ადამიანი ია ანთაძე გახდა ბევრისთვის მოულოდნელად ბიძინა ივანიშვილის რისხვის ობიექტი. ივანიშვილი თითქოს და ეუბნება თავის ადრესატებს – მე გადავწყვიტე, ჩავება ბრძოლაში, რომელიც შესაძლოა, სიცოცხლის ფასად კი დამიჯდეს, სიბორეტე ცნობილია, ეს იცით თქვენც და მეც. ივანიშვილმა მკვეთრად მიანიშნა, რომ დღეს აღარ არის დრო პოლიტკორექტულობის, ფსევდოობიექტურობის, ყალბი ბალანსის და სხვადასხვა მოსაზრებების რეპრეზენტატიული ანალიზის. დღეს, ყველა და განსაკუთრებით ისინი, ვინც სარგებლობს მაღალი საზოგადოებრივი ვოტუმით, უნდა იყოს ერთ მხარეს. ვინც არ არის ჩვენთან, ის ჩვენი წინააღმდეგია. სინამდვილეში, ეს თეზაც მითოსურია, რადგან თავისი ბუნებიდან გამომდინარე დუალისტურია. რაც შეეხება ივანიშვილის პოლიტიკურ გემოვნებას, აქაც ვხედავ მის გააზრებულ სტრატეგიას, როდესაც პირველ პარტნიორად იგი ირჩევს მკვეთრად პროდასავლური, საერთაშორისო კავშირების მქონე პოლიტიკური პარტიებს. თუმცა, მგონია, რომ არსებულ კონფიგურაციას შეიძლება დაემატოს კიდევ ერთი ან ორი სუბიექტი.

***– ბევრი მიიჩნევს, რომ ივანიშვილის გააქტიურება რუსეთის პოლიტიკურ წრეებში სააკაშვილის შემცვლელის ძიების დაწყებას უკავშირდება; რომ ივანიშვილმა რუსეთში მცხოვრებ ქართულ ოპოზიციას დაასწრო და თავისი თამაში დამოუკიდებლად დაიწყო. თქვენი აზრით, რამდენად სავარაუდოა ამგვარი მტკიცება? და კიდევ, ხელისუფლება ივანიშვილს პუტინის პროექტად მიიჩნევს. რამდენად შეიძლება შეესაბამებოდეს რეალობას ამგვარი მტკიცება?***

– დისკუსია იმასთან დაკავშირებით, დგას თუ არა ბიძინა ივანიშვილის უკან, რომელიმე სახელმწიფო, მიმაჩნია მიამიტურ შეკითხვად, როგორც ნებისმიერი შეკითხვა, რომელზეც პასუხი ცხადზე ცხადია და წინასწარ ცნობილიც არის. დღევანდელ გლობალურ სამყაროში, ქვეყანაში, რომელიც თავისი მდებარეობის გამო წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან გეოპოლიტიკურ პლატფორმას, საღად მოაზროვნე ადამიანი, გარე პოლიტიკური მხარდაჭერის გარეშე ვერ გაბედავდა რაიმე სერიოზული ან ამბიციის მქონე პოლიტიკური პროექტის წამოწყებას.


ვალერიან გორგილაძე

თუმცა, დღევანდელი ვითარება და ბიძინა ივანიშვილის ფაქტორი ქმნის უნიკალურ შესაძლებლობას, რათა საერთაშორისო გარანტიების მოპოვება რუსეთთან, ევროპელებთან და ამერიკელებთან მოხდეს პარალელურად მის პოლიტიკურ აქტივობებთან. ბიძინა ივანიშვილს კი ესმის, რომ თავის მხრივ მან უნდა უზრუნველყოს თანმიმდევრული საგარეო კურსი, სწორედ ამით აიხსნება მის პირველ განცხადებაში ევროინტეგრაციის აუცილებლობა და რუსებთან ურთიერთობების დარეგულირება. ჩემი აზრით, ივანიშვილის კანდიდატურა არც ევროპილებისთვის უნდა იყოს მიუღებელი. რაც შეეხება ამერიკის შეერთებულ შტატებს, სიმპტომატურია, რომ ალასანია ივანიშვილთან შეხვედრის შემდეგ გაემგზავრა დასავლეთში. რაც შეეხება რუსეთს, ბუნებრივია, რომ რამდენიმე მარგინალური ჯგუფი მართლაც აცხადებდა გარკვეულ ამბიციებს ქართულ პოლიტიკურ სივრცეზე, თუმცა ვფიქრობ, რომ ამ ვითარებაში რუსეთი შეიძლება შეეგუოს ივანიშვილის ფაქტორს, მისი რესურსების, პოტენციალის და კონკურენტული უპირატესობების გათვალისწინებით. ის გარემოება, რომ "რესპუბლიკელები" და "თავისუფალი დემოკრატები" გამოცხადდნენ ივანიშვილის სტრატეგიულ პარტნიორებად, იყო ბრწყინვალე სვლა, რომელმაც, ჩემი ვარაუდით მცირე ნოკაუტში ჩააგდო ხელისუფლება. ეს ორი პოლიტიკური ძალა ყოველთვის ღიად აფიქსირებდა თავის დამოკიდებულებას პრორუსული ძალების მიმართ, ხოლო ამ ორგანიზაციების საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტების შესახებ საზოგადოება დიდი ხანია, რაც ინფორმირებულია. ამდენად, ივანიშვილის დადანაშაულება პრორუსულ ორიენტაციაში და პუტინიზმში კომიკურიც კი ხდება.

***– სახელისუფლო ტელევიზიებმა პრაქტიკულად უარი თქვეს ივანიშვილის პრესკონფერენციის პირდაპირ ეთერში გაშვებაზე. როგორ შეაფასებდით ხელისუფლების გადაწყვეტილებას, რომ მას საქართველოს მოქალაქეობა ჩამოერთვა და ტელევიზიები მისი პრესკონფერენციის პირდაპირ ეთერში გაშვებას არ აპირებენ?***

– ხელისუფლებას ეშინია, ეს არის და ეს. თუ გახსოვთ, ბადრი პატარკაციშვილის შემთხვევაში ხელისუფლება ღიად მიესალმებოდა, ლამის ეპატიჟებოდა პატარკაციშვილს საჯარო პოლიტიკაში შემოსვლას. აქ კი, საწინააღმდეგო ვითარებაა, ხელისუფლებას ეშინია ბიძინა ივანიშვილის, როგორც საჯარო პერსონის და მით უფრო პოლიტიკოსის სტატუსში.

***– ენ-დი-აი-მ საზოგადოებრივი კვლევის ახალი შედეგები გამოაქვეყნა. როგორ შეაფასებდით კვლევის შედეგებს და, თქვენი აზრით, საზოგადოებრივ აზრში რა ცვლილებებია მოსალოდნელი პოლიტიკურ სცენაზე ივანიშვილის გამოჩენასთან დაკავშირებით?***

– არაერთხელ მითქვამს, რომ სოციოლოგიას, როგორც ნებისმიერ სამეცნიერო დისციპლინას სჭირდება თავისი ბუნებრივი სივრცე. ექსპერიმენტს ვერ ჩაატარებ შესაბამისი კონდიციების გარეშე, ასევე ზუსტი რეიტინგების დადგენა შეუძლებელია, თუ ათიდან ოთხი რესპონდენტს არ ასახელებს ან აშკარად იტყუება თავის პასუხებში იმის გამო, რომ ვერ გრძნობს თავს უსაფრთხოდ. მიუხედავად ამისა, 42%-იანი რეიტინგი, რომელიც აქვს ნაციონალურ მოძრაობას, წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე დაბალ ნიშნულს ამ მოძრაობისათვის. თუ კი გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ სოციოლოგიურ გამოკითხვებში "ნაციონალური მოძრაობის" რეიტინგი ყოველთვის 8-10% აღემატება არჩევნებში მიღებულ შედეგს, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ დღეისათვის მმართველი პარტიის რეიტინგი მერყეობს 32 -34% ფარგლებში, რაც სავსებით რეალურია. რაც შეეხება მოსალოდნელ ცვლილებას შემდგომ რეიტინგებში, რომლებსაც გამოიწვევს ბიძინა ივანიშვილის ფაქტორი, ის აუცილებლად იქნება და თანაც - მკვეთრი, ბუნებრივია - არა მმართველი პარტიის სასარგებლოდ.

**ინტერპრესნიუსი**

# ეზუგბაია ქართველ მემანქანეებს დაერია

## რა ხდება რკინიგზაზე

ქეთი ხომერიკი

**„თავისუფალი საქართველოს“ ერთ–ერთი ლიდერი გია ყრუაშვილი თვლის, რომ შპს „საქართველოს რკინიგზა“ ეროვნული ინტერესების საზიანო გადაწყვეტილებებს იღებს. რაში ადანაშაულებს ყრუაშვილი ეზუგბაიას და რას პასუხობს მის ბრალდებებს რკინიგზის ხელმძღვანელობა? „ახალი თაობა“ „თავისუფალი საქართველოს“ წარმომადგენელს გია ყრუაშვილს ესაუბრა.**



გია ყრუაშვილი

**გია ყრუაშვილი:**

– 90-იან წლებამდე შპს ,,საქართველოს რკინიგზა“ სამგზავრო და სატვირთო მატარებლებს სომხეთის მიმართულებით ემსახურებოდა, თბილისი სალოკომოტივო დეპოს მემანქანეები სადგურ სანაინამდე. საქართველოს ეროვნული ხელისუფლების მოსვლის შემდეგ სომხური მხარის მოთხოვნით, გაცვლის პუნქტმა გადმოინაცვლა საქართველო-სომხეთის საზღვრამდე, ანუ სადგურ სადახლომდე. მოთხოვნის საბაბი გახდა სომხური მხარის მოთხოვნა სომხეთის ტერიტორიაზე ემოძრავა მხოლოდ სომეხ მომსახურე პერსონალს. აღნიშნული მოთხოვნა ,,საქართველოს რკინიგზამ“ ჩათვალა სამართლიანად და სომხეთის მოთხოვნა დააკმაყოფილა. რამდენიმე დღის წინ კი, ,,საქართველოს რკინიგზამ“ დააკმაყოფილა ისევ სომხური მხარის მოთხოვნა და გაცვლის პუნქტი გადმოიტანა სადახლოდან თბილისში. ამით ქართველმა მომსახურე პერსონალმა დაკარგა მთელი სამუშაო უბანი. საინტერესოა, თუ თბილისის სალოკომოტივო დეპოს მემანქანეების მუშაობა სადგურ სანაინამდე იყო სომხებისთვის მიუღებელი, მაშინ რატომ დათანხმდა დღევანდელი რკინიგზის ხელმძღვანელობა ერევნის ბრიგადა მომსახურებოდა საქართველოს ტერიტორიაზე სამგზავრო მატარებლებს სადახლოდან თბილისამდე.

***– თქვენი აზრით, რატომ მიიღო ,,საქართველოს რკინიგზის“ შეფმა ეს გადაწყვეტილება?***

– საქართველოს გარდა ვერც ერთ ქვეყანაში ვერ ნახავთ ხელისუფლებას, რომელიც თავისი ხალხის, ქვეყნის საზიანოდ და სხვის სასარგებლოდ იღებდეს გადაწყვეტილებებს. ხელისუფლება ირაკლი ეზუგბაიასთან ერთად ნელ-ნელა ცდილობს საქართველოს რკინიგზის უბნები და საქართველოს დედაქალაქიც უბრძოლველად და უმტკივნეულოდ ჩააბაროს სომხეთს.

***– თვლით, რომ ეზუგბაია სომხების საქმეს აკეთებს?***

– რა თქმა უნდა, და კანონის ერთხმად და ერთსულოვნად მიღების შემდეგ საქართველოში არის რამე გასაკვირი საერთოდ? ერთი რამ მიკვირს მხოლოდ, რომ ქართველი ხალხი გაჩუმებულია და ურიაქციოა. რომელ ერში ხდება მსგავსი რამ, ქვეყანა გველუპება, ხალხი კი ჩუმადაა, ამას კი სააკაშვილი ისევ ქართველების ხელით აკეთებს. დიახ, მხოლოდ ის არის გასაკვირი, რომ ქართველებმა ღირსეულად ვერ დავანახეთ სააკაშვილს ჩვენი თავი. აქედან გამომდინარე, ყველა ქართველს, მოსკოვში იქნება ის, ამერიკაში თუ საფრანგეთში, ყველას მოვუწოდებ, რომ გვერდში დაუდგეს საქართველოს და ქართველ ხალხს, თვითონ თუ არ იციან, ბოლოს და ბოლოს, ისწავლონ მეზობელი სომხეთისგან, თუ როგორ უნდა იზრუნო ქვეყანაზე, შეხედონ, როგორ ზრუნავენ სომხები თავის ერზე და რაში იყენებენ ისინი თანხებს.

სომხები ცდილობენ მოისყიდონ საქართველოს მაღალჩინოსნები, მთლიანად თბილისი და სხვადასხვა რეგიონები თავისი ქვეყნის სამფლობელოში მოაქციონ. აი, ამაში ხარჯავენ ფულს ჩვენი სომეხი მაღალჩინოსნები, რომლებიც ერთი მხრივ გვეუბნებიან, რომ ჩვენი მეგობრები არიან, მეორე მხრივ კი, მიზანმიმართულად და სწრაფად ცდილობენ ჩვენი ქვეყნის გადაფორმებას.

***– რა მოყვება ეზუგბაის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას?***

– ამ პრეცედენტის შემდეგ აზერბაიჯანის რკინიგზაც დააყენებს იგივე მოთხოვნას ბეუკიასიკიდან გადმოინაცვლებს სადგურ თბილისამდე სამგზავრო მატარებლების მომსახურება. რაც მომავალშიც გაგრძელდება ტვირთების მომსახურებაზეც ხსენებული ორივე ქვეყნიდან. ანუ საქართველოს რკინიგზა დაკარგავს თავის ძირითად ფუნქციას. მოვუწოდებ საქართველოში მცხოვრებ სომეხ მოსახლეობას, რომელიც მეგობრულადაა ჩვენ მიმართ განწყობილი, ხმა ამოიღონ. ერთი ამბავი რომ ატეხეს სტურუას ერთ გამონათქვამზე და ბრიფინგი ბრიფინგზე მართეს, ქართველი ხალხის საწინააღმდეგო კანონებს რომ იღებს ხელისუფლება, რატომ არ გმობენ ამას? ამან შეიძლება სერიოზულად დაძაბოს ამ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობები. თუ ქართველი მემანქანეების სიარული სადახლო-ლენინაკანის უბანზე არ შეიძლებოდა, იმიტომ, რომ ეს მათი ტერიტორია იყო და თვითონ უნდა მომსახურებოდნენ ამ უბანს, საქართველოს ტერიტორიაზე, რომ დადიან, ეს სამართლიანია? ამაზე რა პასუხი აქვთ, როდესაც თბილისის სამგზავრო დეპოში სულ რაღაც 4 კინკილა სამგზავრო მატარებელი დადის და ჩვენი მემანქანეები უმუშევრები რჩებიან. ამ გადაწყვეტილებით საქართველოს რკინიგზამ დაკარგა სამუშაო უბანი და გარკვეული რაოდენობა მემანქანეებისა დარჩა ხელფასის და ფუნქციის გარეშე.

***– თქვენი ინფორმაციით, დაახლოებით რამდენი ადამიანი დარჩა ხელფასის და ფუნქციის გარეშე?***

– საკმაოდ ბევრი, თუმცა ისე ჰყავთ დაშინებული, რომ ხმას ვერ იღებენ. საქართველოს რკინიგზის თანამშრომლების 90 %-ს ბანკებიდან კრედიტები აქვთ აღებული, სახლები აქვთ ჩადებული და იძულებულნი არიან ჩუმად იყვნენ, შეეგუონ იმ გაუსაძლის პირობებს, რომელშიც უწევთ ყოფნა. თუმცა მოვუწოდებ მათ, ხმა ამოიღონ, უახლოეს მომავალში ეზუგბაია მათ მაინც უმუშევარს დატოვებს, მაინც იმ დღეში აღმოჩნდებიან, რასაც ახლა თავს არიდებენ -უმუშევრები და ბანკების კრედიტებიც გადასახდელი დარჩებათ. მიგვაჩნია, რომ ეს გადაწყვეტილება არის პოლიტიკური სიბეცე, შეგნებულად ჩადენილი და თავისთავად მატერიალური ზარალის მომტანი ქვეყნისთვის. ეს ყველაფერი ხდება იმ ფონზე, როდესაც მემანქანეებს ისედაც გაუსაძლის სოციალურ პირობებში უწევთ მუშაობა და ცხოვრება. ეზუგბაიამ ეს გადაწყვეტილება რომ მიიღო, პასუხად იცით რა თქვა, ელმავლები არ გვყოფნისო, არც საკმარისი რაოდენობის ლოკომოტივი გვაქვსო. მაშინ საინტერესოა, როგორ ემსახურებოდა საქართველოს რკინიგზა 100-დე სამგზავრო მატარებელს? ჩვენ, ,,თავისუფალი საქართველო“, ვითხოვთ ირაკლი ეზუგბაიას უწყებისგან დაასაბუთოს აღნიშნული გადაწყვეტილების მიზანშეწონილობა. შესაბამის მიმართვას ,,საქართველოს რკინიგზას“ პარტია უახლოეს მომავალში გაუგზნის.

,,ახალი თაობა“ შპს ,,საქართველოს რკინიგზის“ პრესსამსახურის ხელმძღვანელს ირმა სტეფნაძეს დაუკავშირდა.

**ირმა სტეფნაძე:**

– არ ვადასტურებთ, რომ გარკვეული რაოდენობა მემანქანეებისა დარჩა უმუშევარი.

# ხელისუფლება მეწარმეების წინააღმდეგ ახალ კამპანიას იწყებს

ნათია ხურცილავა

**„საგადასახადო კოდექსში“ შესატანი ახალი ცვლილებების შესახებ ახალი მემარჯვენეების ეკონომიკური მიმართულების ხელმძღვანელმა ლევან კალანდაძემ ისაუბრა.**

კალანდაძე აცხადებს, რომ „საგადასახადო კოდექსში“ შესატანი ახალი ცვლილებები დისკრიმინაციულია და ქვეყანაში მცირე მეწარმეობის წინააღმდეგაა მიმართული.

„საგადასახადო კოდექსში“ წარმოდგენილი ცვლილებების შეტანის შემთხვევაში, სალარო აპარატის გამოუყენებლობის ან ქვითრის ამოურტყმელობისას მეწარმე პირდაპირ, ხისტად, ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე დაჯარიმდება. იმის მიუხედავად, უნებურად დაუშვა მან ეს შეცდომა თუ შეგნებულად. მაშინ როცა, დღეს არსებული საკანონმდებლო ნორმით, საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ პირველ დარღვევაზე მეწარმის მიმართ მხოლოდ გაფრთხილებით შემოიფარგლონ.

ახალი მემარჯვენეები თვლიან, რომ სალარო აპარატი და ქვითარი ძალიან მნიშვნელოვანი და საჭირო ინსტრუმენტია სამეწარმეო საქმიანობის სრულფასოვნად განხორციელების პროცესში, მაგრამ დაუშვებლად მიაჩნიათ, როცა სალარო აპარატი და ქვითარი სახელმწიფოსა და საგადასახადო ორგანოების ხელში მეწარმეთა, განსაკუთრებით მცირე მეწარმეთა წინააღმდეგ სადამსჯელო და დევნის იარაღი, საგადასახადო ტერორის ინსტრუმენტი ხდება.

– დღეს არსებული ნორმის მიხედვით, საგადასახადო ორგანოებს სალაროს ჩეკის ამოურტყმელობის ან გამოუყენებლობის შემთხვევაში, ჰქონდათ უფლება, რომ გაფრთხილების პრაქტიკისთვის მიემართათ. ეს დამოკიდებულება უქმდება. ახალი ნორმის მიხედვით საგადასახადო მოხელე პირველივე დარღვევაზე ყოველგვარი გაფრთხილების, ყოველგვარი ლიბერალური დამოკიდებულების გარეშე ხისტად აჯარიმებს მეწარმეს 500 ლარიანი ჯარიმით. – განაცხადა კალანდაძემ.

ლევან კალანდაძე აცხადებს, რომ დღეს სამწუხაროდ სახელმწიფო პოლიტიკა და საგადასახადო ადმინისტრირება მთლიანად „ჩასაფრებისა“ და „გამოჭერის“ პოლიტიკაზეა აგებული.

– საგადასახადო ორგანოების მთავარი მიზანი, შეიძლება ითქვას თვითმიზანიც კი არის. მეწარმის შეცდომაზე წასწრება და დაჯარიმებაა. აქედან გამომდინარე, საგადასახადო გაფრთხილების ამოღება „საგადასახადო კოდექსიდან“ ყოვლად გაუმართლებელი ნაბიჯი და ინიციატივაა. ამას ემატება „საგადასახადო კოდექსში“ ახალი ინიციატივის მიხედვით ე.წ. საგადასახადო მონიტორების ინსტიტუტის შემოღების მცდელობა. ეს სხვა არაფერია თუ არა წარსულში არსებული ე.წ. „ოდეერების“ სისტემა. როცა ქვეყანაში არსებულ უკლებლივ ყველა ორგანიზაციასა და ყველა ორგანიზაციაში და ყველა საწარმოში უშიშროების მაშინდელ სამსახურებს საკუთარი აგენტი ოფიციალურად ჰყავდათ „ჩანერგილი“, – აცხადებს კალანდაძე.

ახალი მემარჯვენეების ეკონომიკური მიმართულების ხელმძღვანელი აცხადებს, რომ სალარო აპრატიც და ქვითარიც უნდა იყოს მეწარმეთა დახმარების საშუალება და არა მეწარმეზე გავლენის მოხდენის ინსტრუმენტი.

– არავინ, არც ახალი მემარჯვენეები არ ვართ წინააღმდეგი სალარო აპარატის და ქვითრის ინსტიტუტის. ძალიან მნიშვნელოვანია აღრიცხვა, ანგარიშის მოწესრიგებისა და ბიზნესსაქმიანობის სრულფასოვნად განხორციელების პროცესში, მაგრამ ხაზგასმით უნდა ვთქვა, ჩვენ წინააღმდეგი ვართ, როდესაც სალარო აპარატი და ქვითრის თემა ხელისუფლების მხრიდან ხდება საგადასახადო ტერორის, საგადასახადო დევნის განხორციელების ინსტრუმენტი. სალარო აპარატიც და ქვითარიც უნდა იყოს მეწარმეთა დახმარების საშუალება და არა სახელმწიფო პოლიტიკის ხშირ შემთხვევაში სუბიექტური გავლენების საშუალება, – განაცხადა ლევან კალანდაძემ.

საგადასახადო ორგანოები, როგორც კალანდაძე აცხადებს, ხშირ შემთხვევაში პროვოცირებას უკეთებენ დაჯარიმების თემას.

– ჩვენ მოვითხოვთ, რომ ჯარიმების თემა უფრო ლიბერალური იყოს საგადასახადო კოდექსში. კერძოდ, გაფრთხილების პრაქტიკა განსაკუთრებით მცირე, საშუალო და წვრილი მეწარმეებისთვის სალარო აპარატის ოპერირების კუთხით დარჩეს და დაკანონდეს საგადასახადო კოდექსში და ეს იყოს არამხოლოდ ნებაყოფლობით გამოყენების ინსტრუმენტი, არამედ აუცილებელი ნორმა, რომ გაფრთხილების მეორე ჯერზე იყოს გამოყენებული ჯარიმის პრაქტიკა, – აღნიშნა კალანდაძემ.

ახალი მემარჯვენეების ეკონომიკური მიმართულების ხელმძღვანელი საგადასახადო მონიტორინგის ინსტიტუტის შემოღების შესახებ აკეთებს აქცენტს. ის აცხადებს, რომ ეს ინსტიტუტი ხელს უშლის საშუალო და მცირე მეწარმეებს, რომ თავისუფლად განახორციელონ თავიანთი საქმიანობა.



ლევან კალანდაძე

– ახალი ინიციატივებით კიდევ უფრო შორს წავედით, რაც გამოიხატება იმაში, რომ საგადასახადოს ორგანოს თანამშრომელს ეძლევა მეწარმის ქუჩაში გაჩერების უფლება. მას უფლება ექნება მოსთხოვოს პირადობის დამადასტურებელი მოწმობა. გააჩეროს მისი სატრანსპორტო საშუალება. მოითხოვოს სატრანსპორტო საშუალების დამადასტურებელი დოკუმენტი. იმ საქონლის დოკუმენტაცია, რომელიც მეწარმეს ამ სატრანსპორტო საშუალებაში ექნება. ეს, რეალურად საგადასახადო ორგანოსთვის არის ჩხრეკის მიცემის უფლება. ჩხრეკის დაკანონება. ვთვლი, რომ ეს არასწორია, – განაცხადა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე ლევან კალანდაძემ.

ასევე მნიშვნელოვან საკითხად განიხილავს კალანდაძე საგადასახადო ჯარიმების არაადეკვატურობის საკითხს.

არსებული ცვლილებების მიხედვით, 80 თეთრიანი ან ლარნახევრიანი ქვითრის ამოურტყმელობის გამო განურჩევლად იმისა, მეწარმემ შეცდომით დაუშვა ეს თუ მიზანმიმართულად, ის პირდაპირ 500 ლარიანი ჯარიმით დაჯარიმდება. დარღვევის განმეორებით ჩადენის შემთხვევაში მეწარმე 1500 ლარის ოდენობით დაჯარიმდება, ხოლო ყოველ შემდგომ განმეორებაზე კი, 2500 ლარით.

– ჩვენ ვთვლით, რომ ჯარიმა მორგებული უნდა იყოს და ადეკვატური იმ დანაშაულისა, რაც კონკრეტულ შემთხვევაში მეწარმემ ჩაიდინა და არა რაღაც ფიქსირებული თანხა, რომელმაც შეიძლება რეალურად მეწარმის საქმიანობა კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენოს. დღეს მთავარი პრობლემა არის მეწარმის საქმიანობაში ხელისუფლების, სახელმწიფოს ჩარევა. ეს არის მათი მთავარი პრობლემა. ეს ადამიანები მთავრობისაგან რეალურად არაფერს არ ითხოვენ გარდა იმისა, რომ ბაზარზე თავისუფლად მოახდინონ ოპერირება. მეწარმეები ხელისუფლებისაგან ერთადერთს ითხოვენ გარანტირებულ, პროგნოზირებად ბიზნესგარემოს, რასაც ეს ახალი ცვლილებები რეალურად ეწინააღმდეგება მეწარმეების ინტერესებს, – განაცხადა ლევან კალანდაძემ.

ახალი მემარჯვენეების დამოკიდებულება ამ საკითხისადმი განსაზღვრულია მათი პოლიტიკის დოკუმენტში. მათი პრიორიტეტი განსაზღვრულია– ქვეყანაში საშუალო ფენის ჩამოყალიბება.

– მცირე და საშუალო ბიზნესი იქნება მთავარი სოციალ-ეკონომიკური რეგულატორი ქვეყანაში. სამუშაო ადგილების შემქმნელი და ადამიანების დამსაქმებელი. მე მოუწოდებ ხელისუფლებას, რომ პარლამენტში მეორე მოსმენამდე გადახედოს იმ პრიორიტეტებს, რაც ჩამოყალიბებული აქვს და მცირე და საშუალო ბიზნესზე ორიენტირებული პოლიტიკა გაატაროს ახალი ცვლილებების ნაცვლად, – განაცხადა ლევან კალანდაძემ.

## ახალქალაქის სასამართლომ გამამართლებელი განაჩენი დაადგინა

ახალქალაქის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 13 ოქტომბრის განაჩენით ბრალდებული არტაშ ხაჩატურიანი ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა.

სასამართლოს არასაკმარისად მიაჩნია წარმოდგენილი მტკიცებულებები, რომელსაც ემყარებოდა წარდგენილი ბრალდება.

საქმის მასალების მიხედვით, ხაჩატურიანს ბრალად ედებოდა ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანება ჯანმრთელობის ხანგრძლივი მოშლის გამო.

## გაბაშვილი: ერთი ადამიანის მოქალაქეობის საკითხი პოლიტიკურ პროცესებს არ განსაზღვრავს

საპარლამენტო უმრავლესობის წევრი გიორგი გაბაშვილი მიიჩნევს, ერთი ადამიანის მოქალაქეობის საკითხი საქართველოში პოლიტიკურ პროცესებს არ განსაზღვრავს.

ჟურნალისტებთან საუბრისას იგი ბიზნესმენ ბიძინა ივანიშვილის მიერ „როიტერისათვის“ მიცემულ ინტერვიუს გამოეხმაურა, რომლის თანახმადაც, არჩევნებში მისი არმონაწილეობის შემთხვევაში ეს არჩევნები არალეგიტიმური იქნება.

გიორგი გაბაშვილის თქმით, საქართველოში არჩევნები დემოკრატიულად ჩატარდება.

– საქართველოში ჩატარდება არჩევნები, რომელზეც მოწვეული იქნება ძალიან ბევრი ორგანიზაცია. საქართველოში ჩატარდება არჩევნები, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს ძალიან ბევრი პარტია და იქნება კონკურენტული ბრძოლა. ერთი ადამიანისა და მისი მოქალქეობის საკითხი საქართველოში პოლიტიკურ პროცესებს არ განსაზღვრავს. შეიძლება ადამიანებს ბევრი ფულის გამო უჩნდებათ განცდა, რომ მთელი სამყარო მათ გარშემო ტრიალებს, მაგრამ ეს ასე არ არის, – აღნიშნა გიორგი გაბაშვილმა.

იგი ირწმუნება, რომ საქართველოში პოლიტიკური პროცესი ისე განვითარდება, როგორც უნდა განვითარდეს – დემოკრატიულად და სამართლებრივად.

მედიანიუსი

# ლუდი არის ნოყიერი, სამედიცინო თვისებებით გამორჩეული და უბრალოდ გემრიელი სასმელი

ლუდის ხარშვა მსოფლიოს მასშტაბით 8000 წელია რაც წარმოებს და ძველ დროში ლუდი ძირითად საკვებ პროდუქტად მიიჩნეოდა.

სიტყვა „ლუდი (ბეერ) შუა საუკუნეების ინგლისური სიტყვიდან ბერ(ე) და ლათინური სიტყვიდან „ბიბერე“ წარმოიშვა (ეს უკანასკნელი „სმას“ ნიშნავს). უძველესი ბაბილონური ჩანაწერები მიუთითებენ, რომ ლუდი გამოიყენებოდა მსხვერპლშეწირვის რიტუალში. ყველა უძველესი კულტურა, მათ შორის ეგვიპტური, ჩინური, ინდური და პერუს ინკას კულტურები ამზადებდნენ ლუდს.



ტევტონთა პატარძლები სვავდნენ თაფლიან ლუდს საქორწინო ცერემონიიდან 1 თვის განმავლობაში, როგორც სქესობრივი ტმპერამენტის ამაღლების საშუალებას. ერთი თვის განმავლობაში თაფლიანი ლუდის სმა პოეტურად მოიხსენიებოდა როგორც **moon**, რამაც განაპირობა ტერმინის **honeymoon** (თაფლობისთვე) წარმოშობა.



უძველესი ექიმები და ჰოლისტიკური მედიცინის პრაქტიკოსები ლუდს იყენებდნენ სამკურნალო საშუალებად. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზი იყო ის, რომ ხარშვის პროცესის გამო ლუდი რეალურად უფრო უსაფრთხო იყო სასმელად ვიდრე წყალი ან რძე (რომელიც ჩვეულებრივ ინახებოდა ყველის სახით). ამგვარად, ლუდი ხშირად გამოიყენებოდა წამლების შესარევად და ასევე რეცეპტებში როგორც სითხე სასმელად უვარგისი წყლის ნაცვლად.

ჭორფლის მოცილების ძველი ხალხური საშუალება ითვალისწინებდა სახის დაბანას თბილი ლუდით.

ადრეული ამერიკელი კოლონისტები, რომლებიც ახალ სამყაროში განიცდიდნენ ქერის და სვიის ნაკლებობას, ლუდს ამზადებდნენ სიმინდისგან, ბადაგისგან, ხორბლის ქატოსგან, გოგრისგან და ხურმისგანაც კი!

ლუდი იხარშება რამდენიმე მეტად ჯანსაღი ინგრედიენტისგან, უპირველესად სვიისგან, საფუვრისგან, ქერისგან და ქერის ალაოსგან. განა გასაკვირია რომ ლუდს ხშირად თხევად პურს უწოდებენ? ბევრმა ევროპელმა სვიის ყლორტები სატაცურის ნაცვლად გამოიყენა და მაღალი ფასის მიუხედავად მას მარინადის დასამზადებლად იყენებს.



ლუდის მრავალფეროვნება უსასრულოა განსაკუთრებით მცირე ლუდსახარშების და შინ დამზადებული ლუდის ამჟამინდელი პოპულარობის პირობებში. სახლის პირობებში ლუდის მხარშავები უფრო მეტად აკონტროლებენ არომატს და ალკოჰოლის შემცველობას, რაც დამოკიდებულია მარცვლეულზე. ალაოზე და ხარშვის მეთოდებზე.

პილსენი, ელი, მაგარი ლუდი, პორტერი, ლაგერი და მუქი ფერის მაგარი ლუდი ყველა კარგი კანდიდატია თქვენს რეცეპტებში დასამატებლად.

**თქვენი გამარჯვებისა იყოს!!!**






შედით საიტზე atb.ge „%!!

## ვინ ვინ არის

**„ახალი თაობა" გთავაზობთ ახალ რუბრიკას — „ვინ ვინ არის". ამ რუბრიკაში ჩვენ მოგაწვდით ცნობებს ქართველ პოლიტიკოსებზე, საჯარო მოხელეებზე და სხვა ადამიანებზე, რომელთაც ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავიათ.**

საქართველოს იუსტიციის მინისტრი **ზურაბ ადეიშვილი** დაიბადა 1972 წელს ყვარლის რაიონში.

1994 წელს დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი სამართალმცოდნეობის სპეციალობით. 1997 წელს ჩაირიცხა სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის ასპირანტურაში.



1998-1999 სწავლობდა ჰოლანდიის გრონინგენის სამეფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის მაგისტრატურაში.

1996 წლის თებერვლიდან 1999 წლის ივნისამდე მუშაობდა საქართველოს პარლამენტის საკონსტიტუციო, იურიდიულ საკითხთა და კანონიერების კომიტეტის წამყვან სპეციალისტად.

1999 წლის ივლისიდან 1999 წლის სექტემბრამდე იყო სამართლებრივი განათლებისა და ინფორმაციის ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი. 1999 წლის სექტემბრიდან ნოემბრამდე მუშაობდა „ოქრუაშვილი და პარტნიორები"– იურიდიულ ფირმაში იურისტად.

1999 წლის ნოემბრიდან 2002 წლის მაისამდე იყო საქართველოს პარლამენტის წევრი, იურიდიულ საკითხთა, კანონებისა და ადმინისტრაციული რეფორმების კომიტეტის ქვეკომიტეტის თავმჯდომარე, ამავე კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე, შემდეგ თავმჯდომარე.

2003 წლის მაისიდან დეკემბრამდე იყო საქართველოს პარლამენტის წევრი.

2003 წლის დეკემბრიდან 2004 წლის თებერვლამდე იყო საქართველოს იუსტიციის მინისტრი.

2004 წლის 15 თებერვალს დაინიშნა საქართველოს სახელმწიფო უშიშროების მინისტრად და ამ თანამდებობაზე მუშაობდა 2004 წლის ივნისამდე.

2004 წლის 6 ივნისიდან 2008 წლის 21 იანვრამდე იყო საქართველოს გენერალური პროკურორი.

2008 წლის 1 თებერვლიდან 2 ნოემბრამდე იყო საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსი.

2008 წლის 2 ნოემრიდან დაინიშნა საქართველოს იუსტიციის მინისტრად.

ფლობს ინგლისურ, გერმანულ და რუსულ ენებს.

ჰყავს მეუღლე, მაია მესხიშვილი და სამი შვილი – გიორგი, ნიკოლოზი და მარიამი.

მიმდინარე წელს შევსებული ქონებრივი დეკლარაციის თანახმად მინისტრის სახელზეა გაფორმებული საცხოვრებელი ბინა თბილისში. ადეიშვილის სახლი ცაგერის ქუჩაზე მდებარეობს და მისი ფართი 80კვ.მ.-ია.

არც მინისტრი და არც მისი ოჯახის წევრები არ ფლობენ ფასიან ქაღალდებს, რომელთა ღირებულებაც აღემატება 10000.0 ლარს.

ზურაბ ადეიშვილს საქართველოს ბანკში გახსნილი აქვს სახელფასო ანაბარი. რომელზეც 11719.04 ლარი ერიცხება.

მინისტრს ანგარიში აქვს გახსნილი თი-ბი-სი ბანკშიც. სადაც 642.42 ლარი ერიცხება.

არც მინისტრი და არც მისი ოჯახის წევრები არ მონაწილეობენ არანაირ სამეწარმეო საქმიანობაში. ადეიშვილის ქონებრივ დეკლარაციაში ასე წერია. 2010 წელს მან ხელფასის სახით 42480.0 ლარი მიიღო.

მისმა მეუღლემ მაია მესხიშვილმა კი ოჯახის ბიუჯეტს 26211.43 ლარი შემატა. მინისტრის მეუღლე კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაშია დასაქმებული წამყვან სპეციალისტად.

მინისტრს გასულ წელს არ მიუღია საჩუქარი, რომლის ღირებულაც 500 ლარს აღემატება.

ზურაბ ადეიშვილის ქონებასთან დაკავშირებით ჩვენში ბევრი რამ ითქვა. ოპოზიციის მტკიცებით ის დიდი წილების მფლობელია. ადეიშვილს კახეთში ქონების მიტაცებაშიც ადანაშაულებენ.

ის ამ ბრალდებებზე არ საუბრობს. მინისტრი საერთოდ არსად არ ჩნდება. თუმცა როგორც ამბობენ, ბევრ რამეს ის წყვეტს.

# უგულავამ თბილისელებს დასცინა

**გუშინ თბილისის მეტროებში დიდი თავპირისმტვრევა იყო. მეტროს სალაროებთან ასეთი რიგები არავის უნახავს. ამის მიზეზი კი თბილისის მერიის გადაწყვეტილება გახდა, რომელმაც მოსახლეობისთვის ტვირთის შემსუბუქება გადაწყვიტა.**

თეა მარხვაიძე



თბილისელებისთვის საყოფაცხოვრებო ტვირთის შემსუბუქების მიზნით, თბილისის მერია მოსახლეობას სატრანსპორტო ვაუჩერს სთავაზობს.

5-ლარიან ვაუჩერს მიიღებს საქალაქო ტრანსპორტის ყველა ის მგზავრი, ვისაც 17 ოქტომბრამდე საზოგადოებრივ ტრანსპორტში მგზავრობის ღირებულება სატრანსპორტო ბარათით ერთხელ მაინც აქვს გადახდილი.

მოსახლეობას შესაძლებლობა აქვს, 17 ოქტომბრიდან პირველ იანვრამდე მიბრძანდეს მათთვის სასურველი მეტროსადგურის სალაროში და გაააქტიუროს ბარათზე კუთვნილი 5 ლარი.

სატრანსპორტო ვაუჩერების შესახებ ინფორმაცია თბილისის მერმა გიგი უგულავამ დედაქალაქის მოსახლეობას გუშინ მეტროსადგურ „ავლაბარში" გააცნო.

მერის განცხადებით, ეს იმის დასტურია, რომ ხელისუფლება ხალხზე ზრუნავს.

თბილისის საკრებულოს რესპუბლიკელი წევრი თინათინ ხიდაშელი თბილისის მერიის მიერ მოსახლეობისათვის 5-ლარიანი სატრანსპორტო ვაუჩერის დარიგებას ფულის ჰაერში გადაყრად ან საარჩევნო კამპანის ნაწილად მიიჩნევს.

როგორც ხიდაშელმა „მედიანიუსს" განუცხადა, საუბარია ქალაქის ბოუჯეტიდან სავარაუდოდ, 5-მილიონი ლარის გამოყოფაზე, რადგან მომხმარებლის რაოდენობა დაახლოებით 1 მილიონს შეადგენს.

მისი თქმით, დედაქალაქის ტრანსპორტის ბიუჯეტი არის კორუფციული და შესაბამისად, ეს რიცხვები საიდან მოდის, ამას დასაბუთება სჭირდება. ამიტომ, ძალიან მნიშვნელოვანია ამ პროექტის შედეგი. ასევე, ძალიან მნიშვნელოვანია, ეს ერთჯერადი მოქმედებაა თუ გაწერილი გეგმის პირველი ნაბიჯი, როდესაც უცებ თბილისის მერი დაიწყებს 5, 10 და 20-ლარიან ქველმოქმედებებს, ამომრჩევლის გულის მოსაგებად და მოსასყიდად.

– უახლოეს დღეებში გამოჩნდება, პირველია თუ ერთადერთია და ამის მიხედვით ვნახავთ, საარჩევნო კამპანია დაიწყო მერმა თუ უბრალოდ, ამ ფონზე, რაც ქვეყანაში ხდება, გადაწყვიტა, რომ, მისი აზრით, ქველმოქმედებას მიმსგავსებული მოქმედება ჩაიდინოს, – განაცხადა ხიდაშელმა და დასძინა, რომ ასეთ ქველმოქმედებებს მიჩვეულნი ვართ არჩევნების დროს.

ხიდაშელის თქმით, ჯერ არასერიოზულია იმაზე ლაპარაკი, რომ მერიის ქმედება საარჩევნო კამპანიის ნაწილია, თუმცა აუცილებლად გახდება სერიოზული თუ ამას მოჰყვა სხვა ასეთივე ნაბიჯები.

– თუ ეს ერთი მოქმედებაა, ეს უბრალოდ, ჰაერში გადაყრილი ფულია და უფრო მეტი პრობლემის მატარებელია, რადგან არ შეიძლება ბაზარზე უკონტროლოდ გაუშვა 5 მილიონი მაშინ, როდესაც ამდენი სოციალური პრობლემა აქვს ხალხს. იმიტომ, რომ 5 ლარით არავის მდგომარეობა არ მსუბუქდება და არ უმჯობესდება, – აღნიშნა ხიდაშელმა.

როგორც ის აცხადებს, ეს 5 მილიონი, საბავშვო ბაღების ბიუჯეტში რომ დაეტოვებინათ, მოსახლეობისთვიას უზარაზარი შეღავათი იქნებოდა.

თბილისის მერიის ინფორმაციით, 5-ლარიანი სატრანსპორტო ვაუჩერისათვის ქალაქის ბიუჯეტიდან მას შემდეგ გამოიყოფა თანხა, რაც ვაუჩერების გაცემა დასრულდება და ზუსტი სტატისტიკა დადგინდება.

ხიდაშელი მართალია, ეს რაღაც წინასაარჩევნო კამპანიას უფრო ჰგავს. თორემ როდის იყო უგულავას მოსახლეობის ყოფის შემსუბუქების სურვილი აწვალებდა.

ასეთი სურვილი მას საარჩევნოდ შეუღიტინებს ხოლმე. არ ვიცი, გახსოვთ თუ არა, მისი ბენზინკალონკაზე დგომა. შარშან საქართველოში თვითმმართველობის არჩევნები ჩატარდა. უგულავა მერობაზე იქაჩებოდა. ჰოდა, საინტერესო პიარაქცია წამოიწყო. სხვადასხვა პროფესიები რომ მოსინჯა. მერის ამ ქმედებას ნაციონალური არხები აქტიურად გვაჩვენებდნენ. ახლა უგულავამ ისევ ზრუნვა დაიწყო. აშკარად არჩევნების სიომ წამოუქროლა ჩვენს საქართველოს.

ამავდროულად არც ბიძინა ივანიშვილის გამოჩენა უნდა დავივიწყოთ. ამის გამო მთელი ნაცელიტა გადარეულია. და ყველაფერს აკეთებენ ამ ამბის გადასაფარად. 5-ლარიანი ვაუჩერით ამის გაკეთება იოლი არ იქნება.

ვაუჩერების დარიგება მთლად კაი ამბავს არ უნდა მოასწავებდეს. დენის ვაუჩერები რომ დაგვირიგეს, ალბათ, გახსოვთ. ალბათ, 30-ლარიანი ვაუჩერებიც გაგახსენდათ. ეს პატივი ხელისუფლებამ ოპოზიციის აქციების წინ გვცა.

თუმცა, ეს პატივისცემა მერე ჩვენს ერს ძვირი დაუჯდა. დენის და ნაგვის გადასახადი ერთმანეთს იმ ვაუჩერის გამო მიაბეს. პირდაპირ დენს რა ნამუსით გააძვირებდნენ. ადგნენ და ნაგავს დახარჯული დენის მიხედვით გვახდევინებენ.

ამ ვაუჩერების დარიგების შემდეგ გამორიცხული არ არის, წყლის გადასახადი ინტერნეტზე მიგვიბან. მგზავრობაზე კი გაზი დაგვარიცხონ.

ყველაზე მოსალოდნელი კი მაინც ტრანსპორტის გაძვირებაა. როგორც ბოროტი ხმები ამბობენ, უახლოეს მომავალში მეტრო გაძვირდება. ამასთან დაკავშირებით განცხადება პარლამენტშიც გაკეთდა. გასულ კვირას დეპუტატმა რატი მაისურაძემ მერიას სთხოვა, არ დაუშვას მეტროს გაძვირება. მერია ამბობს, რომ მუნიციპალური ტრანსპორტის გაძვირება არ მოხდება.

სამაგიეროდ არავითარ გარანტიას არ იძლევიან „მარშრუტკებზე". გავრცელებული ინფორმაციით, „მარშრუტკით" მგზავრობა მალე ერთი ლარი გახდება. ამ ინფორმაციას მძღოლებიც ადასტურებენ.

ახლა ისევ 5-ლარიან ვაუჩერებზე. უგულავა კი ამბობს, რომ ეს მდგომარეობის შემსუბუქებაა. სინამდვილეში კი ეს უფრო დაცინვაა. 5 ლარით ერთი ადამიანი სულ რაღაც 10-ჯერ იმგზავრებს.

## ირაკლი სესიაშვილი: „საჩხერის სამხედრო დანაყოფიდან სამხედროები სავარაუდოდ ბიძინა ივანიშვილისადმი სიმპათიის გამო დაითხოვეს"

ექსპერტ ირაკლი სესიაშვილის შეფასებით, ის საზოგადოებრივი ძალები თუ ადამიანები, ვისაც ბიზნესმენ ბიძინა ივანიშვილთან რაიმე კავშირი აქვთ, ხელისუფლებისგან გარკვეულ თავდასხმას უნდა ელოდნენ.



ირაკლი სესიაშვილი

როგორც „მედინიუსთან" საუბარში ირაკლი სესიაშვილმა განაცხადა, მას რამდენიმე ადამიანმა შეატყობინა, რომ საჩხერის სამხედრო დანაყოფიდან, ყოველგვარი მიზეზისა და ახსნა-განმარტების გარეშე, რამდენიმე ათეული სამხედრო მოსამსახურე გაათავისუფლეს.

„ვვარაუდობ, რომ ეს შეიძლება ივანიშვილის პოლიტიკაში გამოჩენასთან იყოს დაკავშირებული. ხელისუფლება აგონიაშია და არაადეკვატური რეაქციები აქვს, მათ შორის ეს გამოიხატება მათ შიშებში და ისინი ყველგან ივანიშვილის ლინკებს ხედავენ. სწორედ ამიტომ, რადგან ივანიშვილს დიდი კავშირი აქვს საჩხერის რაიონთან, მათ შესაძლოა გაუჩნდათ ეჭვი იმისა, რომ ხომ არ შეიძლება სამხედრო მოსამსახურეებს ჰქონდეთ თუნდაც პირადი სიმპატია ივანიშვილის მიმართ, რადგან ბევრი მათგანი საჩხერის რაიონის მცხოვრებია და არის ინფორმაცია, რომ გათავისუფლებულები არიან სწორედ ის სამხედრო მოსამსახურეები, რომლებიც ამ რაიონიდან არიან", – განაცხადა სესიაშვილმა.

მისი თქმით, ის საზოგადოებრივი ძალები თუ ადამიანები, ვისაც ივანიშვილთან რაიმე „ლინკი" აკავშირებთ, ხელისუფლების მხრიდან გარკვეული თავდასხმებს უნდა ელოდნენ, ამის წინაპირობა უკვე იყო, როდესაც ივანიშვილს, ყოველანაირი კანონმდებლობის დარღვევით, მოქალაქეობა შეუწყვიტეს.

„რამდენიმე დღის წინ ივანიშვილის ფონდის დირექტორის სიმამრი დააკავეს. ეს მიანიშნებს, თუ რა ტიპის რეაქცია აქვს ხელისუფლებას ივანიშვილის პოლიტიკური ფიგურის გამოჩენაზე. ეს პროცესი გაგრძელდება. ივანიშვილი გარკვეულ ძალას დააფუძნებს, რომელიც ითანამშრომლებს სხვა პოლიტიკურ ძალებთან, ეს გუნდი გაიზრდება და გაიზრდება, გაიზრდება იმ ადამიანთა რიცხვიც, რომლებიც ამ პოლიტიკურ მოძრაობასთან ითანამშრომლებენ და ხელისუფლებას, როგორც მას სჩვევია, მოხდენს ამ ორგანიზაციაში მყოფ ადამიანებზე თავდასხმას და ტერორს. სამწუხაროდ უნდა ვაღიაროთ, რომ უსაფრთხოების ვექტორი– პოლიცია პოლიტიზებულია და ამ შემთხვევაშიც, როგორც ადრე, მას გამოიყენებენ, როგორც სადამსჯელო საშუალებას"– განაცხადა სესიაშვილმა.

**მედიანიუსი**

## დეპუტატები „ატსტუპნიკების" საკითხზე წაკამათდნენ

ატსტუპნიკების საკითხზე პარლამენტის ბიუროს სხდომაზე ოპოზიციონერი დეპუტატი ჯონდი ბაღათურია და საპარლამენტო უმრავლესობის წევრები წაკამათდნენ.

ამ საკითხს სხდომაზე ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე ლაშა თორდია შეეხო. მისი ინფორმაციით, თბილისის მერიასთან მიღწეულია შეთანხმება, რომ იგი „ატსტუპნიკებს" უფასო იურიდიულ დახმარებას გაუწევს. თორდიას განმარტებით, ბინით მოსარგებლეთა პრობლემების ერთხელ და სამუდამოდ გადასაწყვეტად შესაბამისი კანონის კიდევ ერთხელ გადავადება მისაღები არ არის.

– პარლამენტმა ერთხელ უკვე გადაავადა კანონი და ვნახეთ, რომ ამან პრობლემა ვერ მოაგვარა. ბინით მოსარგებლეებს ჰქონდათ ვადა იმისათვის, რომ მომზადებულიყვნენ, თუმცა, ვერაფერი გააკეთეს, ახლა მერია მზადაა მათ უფასო იურიდიული დახმარება შესთავაზოს, – აღნიშნა ლაშა თორდიამ.

ფრაქცია „ერთობა სამართლიანობისთვის" წევრმა ჯონდი ბაღათურიამ განაცხადა, რომ თუ პარლამენტი სათანადო კანონის გადავადების გადაწყვეტილებას არ მიიღებს, 2012 წლის 1 იანვარს კატასტროფული მდგომარეობა იქნება, რადგან რამდენიმე ათასი ოჯახი უსახლკაროდ დარჩება.

ბაღათურიამ იმედი გამოთქვა, რომ ხელისუფლება კონსულტაციების შედეგად მოიფიქრებს რაიმე გზას იმისათვის, რომ საახალწლოდ ათასობით ოჯახი ქუჩაში არ დარჩეს.

შეგახსენებთ, რომ პარტია „თავისუფალი დემოკრატების" ინიციატივით მომზადდა და პარლამენტში განსახილველად შევიდა კანონპროექტი, რომელიც ბინათმოსარგებლეებს შეეხება. დღეს მოქმედ კანონმდებლობაში არსებობს ჩანაწერი, რომლის თანახმადაც, თუკი ბინით მოსარგებლე – „ატსტუპნიკი" მესაკუთრესთან რამე შეთანხმებას ვერ მიაღწევს, მან 2012 წლის 1 იანვრიდან ბინა უნდა დატოვოს.

კანონპროექტის ავტორები კი, რომელთა შორის ფრაქციის – „ერთობა სამართლიანობისათვის" თავმჯდომარე გიორგი ცაგარეიშვილია, შესაბამისი ვადის 2015 წლის 15 იანვრამდე გაგრძელებას მოითხოვენ. მათი მოსაზრებით, ამ ხნის განმავლობაში „ატსტუპნიკები" ბინის მესაკუთრესთან შეთანხმებას სასამართლოს ან სხვა გზით შეძლებენ და 2012 წლის 1 იანვარს, ახალ წელს, „ქუჩაში გარეთ დარჩენას" გადაურჩებიან. მათი ინფორმაციით, თბილისში ასეთი ადამიანების რაოდენობა 4-დან 5 000-მდე მერყეობს.

**მედიანიუსი**

# საქართველოში აშშ-ის სამხედრო ნაწილები განთავსდება?

შალვა ჯოხაძე

პარლამენტში თავდაცვის სამინისტროდან კანონპროექტი შევიდა, რომლის თანახმადაც ირკვევა, რამდენი ჯარისკაცი გვეყოლება მომავალ წელს. კანონპროექტის წარმდგენი საქართველოს პრეზიდენტია. ამ პროექტის პარლამენტში დამტკიცება იმიტომაა აუცილებელი, რომ, როგორც მოგეხსენებათ, დეპუტატები მომავალი წლის ბიუჯეტზე მუშაობენ. ბიუჯეტის პროექტზე მუშაობისას კი ზუსტად უნდა იყოს ცნობილი, თუ რამდენი სამხედრო მოსამსახურის რჩენა მოუწევს ქვეყნის ბიუჯეტს. კანონპროექტის მიხედვით, ჩვენი ქვეყნის სამხედრო ძალების რაოდენობა 2012 წელს არაუმეტეს 37 000 მოსამსახურით განისაზღვრება.

ქართველი სამხედრო მოსამსახურეების რაოდენობა გარკვეულია, თუმცა არ გაგიკვირდეთ, თუკი მომავალი წლიდან ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე ამერიკელ ჯარისკაცებსაც მრავლად იხილავთ. საქმე ისაა, რომ რამდენიმე ამერიკელი სენატორი გამოვიდა ინიციატივით, საქართველოს ტერიტორიაზე აშშ-ის სამხედრო ნაწილები განთავსდეს.

ვაშინგტონში არსებულმა სამუშაო ჯგუფმა, რომელსაც 2 ამერიკელი სენატორი ხელმძღვანელობს, გაავრცელა ანგარიში, რომელიც საქართველო-აშშ-ევროპის ურთიერთობებს ეხება. დოკუმენტში ამერიკელი, ევროპელი და ქართველი პოლიტიკოსებისადმი გარკვეული რეკომენდაციებია მოცემული.

სწორედ, ამ რეკომენდაციებში შედის ასეთი პუნქტი: საქართველოში აშშ-ის ყოფნის გაზრდა. დოკუმენტში საუბა-



რია იმაზე, რომ საქართველოს უსაფრთხოების სფეროს სტრატეგია შეკავების ტაქტიკას ეყრდნობა. ამერიკელების ყოფნა საქართველოში კი ამ ტაქტიკის განმტკიცებას შეუწყობს ხელს. თანაც, ეს ფსიქოლოგიური თვალსაზრისითაც მნიშვნელოვანია, ქვეყნის მოსახლეობაში უსაფრთხოების განცდის განმტკიცებას შეუწყობს ხელს. უსაფრთხოების სფეროში ოფიციალური გარანტიების არარსებობის პირობებში, შეერთებულმა შტატებმა უნდა გაზარდოს საკუთარი სამხედრო წარმომადგენლობა, რაც დაკავშირებული იქნება: საქართველოს არმიის მომზადების პროგრამასთან, რომლის მიზანიც კოალიციის ძალთა ფარგლებში ოპერაციების განხორციელებაა; ნატოს საწრთვნელი ცენტრის პროგრამის „პარტნიორობა მშვიდობისთვის“ მხარდაჭერასთან და ა.შ.

ამერიკელი სენატორების მიერ შედგენილ დოკუმენტში საუბარია სამხედრო სფეროში ურთიერთობის ნორმალიზებაზეც. უფრო კონკრეტულად, აშშ-ის მაღალჩინოსნებმა ურთიერთობის ნორმალიზება უნდა მოახდინონ საქართველოსთან სამხედრო სფეროში, მათ შორის უნდა აღდგეს თავდაცვითი შეიარაღების მიწოდება და სპეცდანიშნულების ძალთა მომზადება. მიწოდებებთან დაკავშირებული შეთანხმება საქართველოს თავდაცვისუნარიანობის გაზრდასა და ნატოსთან პარტნიორობის პროგრამის მიმართულებით ამოცანების მიღწევაში დაეხმარება. ამერიკელები დასძენენ, რომ ეს ნაბიჯები ისე უნდა გადაიდგას, არ დარჩეს ეჭვი, რომ აშშ-ს ეს გადაწყვეტილება მჭიდროდაა დაკავშირებული ძალის გამოუყენებლობის შესახებ საქართველოს მთავრობის ვალდებულებასთან.

თვით ამერიკაშიც კი დასძენენ, რომ ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე ამერიკის არმიის განთავსების პირდაპირი შეთავაზება ცოტა უცნაურად ჟღერს.

„ნუთუ აშშ-ს მართლაც უნდა საქართველოში ხაფანგის როლი ითამაშოს, თუკი რუსეთი რაღაცას მოიმოქმედებს? ან საქართველომ რომ მოიმოქმედოს რამე რუსეთის წინააღმდეგ, ხოლო ამ დროს ამერიკის არმია ბრძოლის ეპიცენტრში აღმოჩნდება, რა უნდა გააკეთოს მან? მეორე მხრივ, თუკი ამ ორ ვარიანტს გამოვრიცხავთ, მაშინ ეს შეიძლება ჯანსაღ კომპრომისს ჰგავდეს: საქართველო გამხნევდება, ხოლო რუსეთი შესაძლოა, შეშინდეს, საქართველოს ტერიტორიაზე დაბინავებული ამერიკული ძალები საფრთხედ აღარ აღიქვას“, – საუბრობენ დასავლელი ექსპერტები.

საინტერესოა, რას ამბობენ თავად ანგარიშის ავტორები. ამერიკულ მედიაში მათი კომენტარები გამოჩნდა. საინტერესოა, რა მიზანს ემსახურება სენატორების რეკომენდაციები.

სამუშაო ჯგუფის ერთ-ერთმა თანათავმჯდომარემ და ნიუ-ჰემპშირის შტატის დემოკრატმა სენატორმა ჯინ შაჰინმა განაცხადა: „არ ვფიქრობ, რომ ეს ანტაგონისტურ თამაშად უნდა აღვიქვათ. ჩვენ რუსეთთან „გადატვირთვის“ პოლიტიკას ვახორციელებთ და აშშ-სთვის საინტერესო მთელ რიგ საკითხებში პროგრესს მივაღწიეთ. ვფიქრობ, რომ ამ მიმართულებებით თანამშრომლობას განვავითარებთ. ჩვენ საქართველოში განსხვავებული ინტერესები გვაქვს და უნდა ვიფიქროთ იმაზე, თუ როგორ შეგვიძლია საქართველოს, როგორც ახალგაზრდა დემოკრატიას დავეხმაროთ სამყაროს ამ ნაწილში. ჩვენ უკვე ვეხმარებით ამ ქვეყანას შეიარაღებული ძალების მომზადებაში და ვთანამშრომლობთ მასთან სამხედრო სფეროში. ვფიქრობ, რომ ჩვენი ინტერესები საქართველოში ცალკე თემად უნდა გამოვყოთ.“

ანგარიშის მეორე ცნობილმა თანაავტორმა, კერძოდ, ატლანტიკური საბჭოს წარმომადგენელმა ფრენსის ბარველმა დასძინა:

„ავღანეთში ფრენები რუსეთის ინტერესებშიც შედის. ამიტომ კარგად უნდა გვესმოდეს თუ როდის გვიწევს ის სამსახურს და როდის აკეთებს ამას საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე. ჩემი აზრით, ბევრი რამ, რასაც ისინი აკეთებენ, მათსავე ინტერესებში შედის“.

ამერიკულ მედიაში ასეთი შეფასებებიც გამოჩნდა: „ვაშინგტონში იმ ადამიანთა აბსოლუტურ უმრავლესობას, რომლებიც საქართველოსთან მეგობრობაზე საუბრობენ, ეს ქვეყანა მხოლოდ იმ დოზით აინტერესებთ, რა დოზითაც ის რუსეთის წინააღმდეგ ხელკეტად გამოდგება. ასეთი განწყობები საქართველოშიც ხშირად ისმის.

სამუშაო ჯგუფის კიდევ ერთმა თანათავმჯდომარემ და სენატორმა ლინდსი გრემმა აღნიშნა: „ვფიქრობ, საერთო ჯამში მათ ძველი საბჭოთა კავშირის აღდგენა გადაწყვიტეს და ჩვენ ამას უნდა ვუპასუხოთ“.

ძალიან სამწუხაროა, რომ საქართველო ამ ყველაფრის ეპიცენტრში აღმოჩნდა, რადგან როგორც სამუშაო ჯგუფის ორმა სხვა წევრმა ამერიკელ ჟურნალისტებს გაუმხილა, საქართველოს ყველა გადაცდომის მიუხედავად, ამ ქვეყნის ისტორია დღემდე მისაბაძი მაგალითია. აი რა განაცხადა ნატოში აშშ-ს ყოფილმა ელჩმა კურტ ვოლკერმა: „ევროპის ისტორიას შეგვიძლია სხვადასხვაგვარად შევხედოთ. შეგვიძლია შევხედოთ მას, როგორც აღმასვლის, დაცემის და იმპერიების შეტაკებების ისტორიას; შეიძლება, შევხედოთ მას როგორც საფრანგეთის და გერმანიის ინტეგრაციის ისტორიას მრავალსაუკუნოვანი კონფლიქტების გადალახვის კონტექსტში, მაგრამ ჩემი აზრით, ყველაზე მთავარი ევროპულ ისტორიაში მმართველობის იდეის პროგრესი და ხალხებს და მათ მმართველებს შორის ურთიერთობაა. მონარქების ღვთიური მისიით თავსმოხვეული მმართველობის იდეიდან დაწყებული, დამთავრებული იმ იდეამდე, რომ ერებს თავად შეუძლიათ საკუთარი მმართველების არჩევა. ეს უზარმაზარი პროგრესი იყო თავისუფლებათა დიდებული ქარტიიდან საფრანგეთის რევოლუციამდე, ამერიკის რევოლუციამდე, ფრანგ ფილოსოფოსებამდე, მეორე მსოფლიო ომის დასრულებამდე, იტალიასა და გერმანიაში დემოკრატიული ინსტიტუტების ჩამოყალიბებამდე და ბერლინის კედლის დაცემამდე. საქართველო კი იმის შეხსენებაა, რომ მიუხედავად იმისა, რომ ამდენი გავაკეთეთ ამ დიდ ისტორიულ გზაზე, ჩვენ ვერ დავასრულეთ ჩვენი საქმე. ევროპაში არის ტერიტორიები, რომლებიც დღემდე ამ განვითარების, პროგრესის ნაწილად ვერ იქცა. იმ ადამიანებმა, რომლებიც ვამაყობთ და კმაყოფილები ვართ იმით, რომ ამხელა გზის გადალახვა შევძელით, არ უნდა დავივიწყოთ ის, რომ წინ არანაკლებ დიდი გზა გვაქვს გასავლელი“.

# როგორ შეძლებს პოლიტიკაში ჩართვას საქართველოს მოქალაქეობის არმქონე ივანიშვილი?

ნინო მეტრეველი

ვარდოსნებმა ერთგულების, ერთიანობის, გამჭრიახობის და მობილურობის მობილიზაცია გამოაცხადეს. ისე, როგორც იციან, ფეხებზე დაიკიდეს წესი და სამართალი და ბიძინა ივანიშვილს მოქალაქეობა ყოველგვარი ადმინისტრაციული პროცედურების გავლის გარეშე მოუხსნეს. ბიზნესმენი და მისი ადვოკატი პრეზიდენტის ბრძანებულების გასაჩივრებას სასამართლოში აპირებენ. ამ საქმიდან რომ არაფერი გამოვა და სასამართლო სააკაშვილს არ გაამტყუნებს, თვითონაც კარგად იციან, ამიტომ ივანიშვილის პირადი ადვოკატი, ეკა ბესელია ივანიშვილისთვის მოქალაქეობის დაბრუნების მოთხოვნით ხალხში ხელმოწერების შეგროვებასაც არ გამორიცხავს. არც ამ საქმეს უნდა უჩანდეს კარგი პირი. ჯერ ერთი, საკითხავია ივანიშვილის პოპულარობის მიუხედავად გაბედავენ თუ არა ამ მოთხოვნაზე ხელმოწერას დაშინებული ადამიანები და მეორეც, რომც გაბედონ და მოაწერონ, რამდენად გაითვალისწინებს მას ნაციონალური ხელისუფლება.

„ხელისუფლებას პოლიტიკური პროცესებიდან ჩემი გარიყვა სურს, თუმცა მე გაჩერებას არ ვაპირებ“ – განუცხადა „როიტერს“ ბიზნესმენმა. თუ ბატონ ივანიშვილს სასამართლოს და მისი ნაქები ვანო მერაბიშვილის დაწესებული სამართლის იმედი კიდევ აქვს, მალე მიხვდება, რომ მისი ოპტიმიზმი უსაფუძვლოა და დემოკრატიულად წოდებული ვარდების რევოლუციაში მილიონები ტყუილად გადაყარა.

„თუ ისინი ეცდებიან, რომ არჩევნებში მონაწილეობის საშუალება არ მომცენ, მაშინ არჩევნები ლეგიტიმურად არ ჩაითვლება.“ – ესეც ივანიშვილის ინტერვიუდანაა. რისი იმედით? სავარაუდოდ, ისევ ხალხის. ივანიშვილი ჯერ პოლიტიკურ ბრძოლაში არავის უნახავს. მისმა მითიურმა ავტორიტეტმა შეიძლება გამოიყვანოს კიდეც ხალხი შიშის მდგომარეობიდან, ხელისუფლებისთვის არასასურველი პროცესები დაიწყოს და არჩევნებზე მოხდეს ის, რაც ერთხელ უკვე მოხდა, თუმცა იქამდე ძალიან დიდი დროა, უამრავი გაუთვალისწინებელი რამ შეიძლება მოხდეს.

ივანიშვილი, დღევანდელი მდგომარეობით, არჩევნებში მონაწილეობას ვერ მიიღებს. ის აღარაა საქართველოს მოქალაქე. მას შეუძლია მოითხოვოს მოქალაქეობის აღდგენა, ან ხელმეორედ მოითხოვოს მოქალაქეობა. მოქალაქეობის მისაღებად ივანიშვილი ყველა აუცილებელ მითხოვნას აკმაყოფილებს. ივანიშვილის ახლო წრე ხელისუფლების მუქარას მსუბუქად ამ იმედით უყურებდა, რომ სამ თვეში ბიზნესმენს კვლავ საქართველოს მოქალაქის პასპორტი ედებოდა ჯიბეში და პოლიტიკურ აქტიურობას უპრობლემოდ გააგრძელებდა. თუმცა ეს სამთვიანი ვადაც არ იყო მათი სრული ოპტიმიზმისთვის საფუძველი. ნაცები აუცილებლად იპოვიდნენ უარის თქმის საბაბს. ამის შემდეგ ექვსი თვე განაცხადის შეტანა შეუძლებელია. მერე ისევ სამი თვე აქვს საჯარო რეესტრს პასუხისთვის. ამ ყველაფერს თუ შევკრებთ თორმეტი თვე, ანუ ერთი წელი გამოდის, ზუსტად ის პერიოდი, რაც მომავალ არჩევნებამდეა დარჩენილი. შესაბამისად ივანიშვილს, როგორც ძლიერ კონკურენტს ნაცები იოლად იცილებენ. ეს სქემა იმ ვარიანტისთვის იყო გათვლილი, თუ ივანიშვილი პირობის მიხედვით, უარს ეტყოდა როგორც რუსეთის, ისე საფრანგეთის პასპორტებზე, მაგრამ ივანიშვილმა სხვადასხვა მოსალოდნელი რისკის გათვალისწინებით უარი მხოლოდ რუსეთის მოქალაქეობაზე თქვა. საფრანგეთის მოქალაქედ დარჩა. ორმაგი მოქალაქეობის მიცემა მხოლოდ პრეზიდენტს შეუძლია. ანუ ის, რომ კვლავ მოიპოვოს ქართული პასპორტი, ივანიშვილს მიხეილ სააკაშვილის თანხმობა და კეთილი ნება სჭირდება, რაზეც, რაღა თქმა უნდა, სააკაშვილი არ წავა და ყელის გამოსაყრელ დანას თავისი ხელით არ გამოთლის.

ბიზნესმენის შეუძლია ქართული სასმართლოს გადაწყვეტილება საერთაშირისო სასამართლოში გაასაჩივროს და ამას გააკეთებს კიდეც, მარამ ესეც ძალიან დიდ დროს მოითხოვს და სავარაუდოდ არჩევნებამდე არ მოესწრება.

ნაცების ხრიკებს და შესაძლებლობებს თუ გავითვალისწინებთ, ივანიშვილს პოლიტიკაში შემოსვლა ძალიან გაურთულდება. თავად ვარდოსნებთან პოლიტიკური პაექრობის გამოცდილება არ აქვს, არ უწვნევია ნაცების „დემოკრატიული“ ხელი, ალბათ ამიტომ ფიქრობდა, რომ რაც სხვამ ვერ შეძლო და ცხვირი წაიტეხა, თვითონ შეძლებდა და ამ იმედით დაიპირისპირა ოპოზიციის ნაწილი პოლიტიკაში ჯერ კიდევ ფეხის შემოდგომამდე. ეს შეცდომა, როცა გამაერთიანების კი არა დაყოფის ლოზუნგით შემოვიდა პოლიტიკურ ჭაობში, ივანიშვილს უკვე უჯდება ძვირად. მის მიერ ფსევდოოპოზიციად წოდებულები და გალანძღულები და მათი ამომრჩეველი, ბევრი გამოცნობა არ უნდა, რომ ივანიშვილის მხარეს არ იმუშავებენ. მეორე შეცდომა, რაც მან „როიტერთან“ საუბრისას დაუშვა, რომ მომავალ პარლამენტში 90-პროცენტიან გამარჯვებას მოიპოვებს. 90 და 100-პროცენტიანი გამარჯვება ნამდვილად არაა იმ დემოკრატიის ნიშანი, როგორზეც ივანიშვილმა იმავე ინტერვიუში განაცხადა, საქართველოში ისეთ დემოკრატის ავაშენებ, ევროპელებსაც რომ შეშურდებაო.



როგორ შეძლებს პოლიტიკური საქმიანობას და გამარჯვებას ბიძინა ივანიშვილი? საქართველოს მოქალაქეობის არმქონე პირს პოლიტიკური საქმიანობის და პოლიტიკური ძალების დაფინანსების უფლება არ აქვს. ამდენად, თავის სახელზე არსებული კომპანიებიდან ივანიშვილი ვერ პოლიტიკური პარტიის საქმიანობას დააფინანსებს და ვერც საარჩევნო კამპანიას, მაგრამ როგორც ამბობენ, მას საქართველოში უამრავი წვრილ-წვრილი საწარმო აქვს და მათი საშუალებით შეძლებს იმ ხარჯების გაღებას, რაც პოლიკურ პარტიას სჭირდება. რაც შეეხება პოლიტიკური პარტიის შექმნას. აქაც არაა საქმე უსაშველოდ. ივანიშვილს შეუძლია შექმნას ახალი პარტია, თავმჯდომარედ სანდო ადამიანი დანიშნოს, რომელიც მართვის ინსტრუქციებს ივანიშვილისგან მიიღებს, ანუ ის იქნება ფაქტიური მმართველი. არის სხვა გზაც. თავის პარტნიორტებთან ერთად გააკეთოს არა პარტია, არამედ მოძრაობამ სადაც შევლენ რესპიბლიკელები, თავისუფალი დემოკრატები, კიდევ ის, თუ რომელიმე პოლიტიკური ძალა გახდება მისი რჩეული და უპარტიო ადამიანები, ისინი ვინც ბიზნესმენის პარტიაში მოიაზრებოდნენ, ან თვითონ ქდმ-სთან გაერთიანების სურვილი.

ვარდების რევოლუცია მსგავსმა მოძრაობამ მოახდინა და არა ერთმა რომელიმე პარტიამ. ნაცები მერე გადაკეთდნენ პარტიად, მანამდე ნაციონალური მოძრაობის წევრები. ბლოკში მათთან ერთად იყვნენ რესპუბლიკელები და ზვიად ძიძიგურის პარტია, ასევე უპარტიო ადამიანები. მიხეილ სააკაშვილი საარჩევნო სიაშიც არ ეწერა. თბილისის საკრებულოს თვამჯდომარის სტატუსით მივიდა საპრეზიდენტო არჩევნებამდე. საარჩევნო ბლოკის სახელი მაშინ დავით ბერძენიშვილმა მოიფიქრა პოპულარული სააკაშვილის წინ წამოწევით, „მიხეილ სააკაშვილი-ნაციონალური მოძრაობა“. ახლაც შეიძლება რაღაც მსგავსი პიარის მოფიქრება იმის მიუხედავად, შეძლებს, თუ არა ივანიშვილი არჩევნებამდე ქართული პასპორტის ჯიბეში ჩადებას. პარტია, თუ მოძრაობა მის სახელთან იქნება კავშირში, ამომრჩეველს სხვადასხვა ტექსტებით ეტყვიან, რომ მათთვის ხმის მიცემა ივანიშვილისთვის ხმის მიცემაა. თავად მდიდარი ბიზნესმენი, თუ მოქალაქეობის საკითხს იქამდე ვერ მოაგვარებს, პოლიტიკურ საქმიანობაში, მით უმეტეს, საარჩევნო კამპანიაში ვერ ჩაერთვება. მის ყველა მოძრაობას მისი ყოფილი ნაცი მეგობრები გამადიდებელი ლუპით დააკვირდებიან. რეალური საშიშროების შემთხვევაში რისი შემძლე და გამკეთებლები არიან, კარგად ვიცით.

თუ ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკური ძალა შეძლებს ჩამოყალიბებას და საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებას, მერე ბიზნესმენი არა მხოლოდ ქართულ პასპორტს ჩაიდებს უპრობლემოდ ჯიბეში, არამედ პრემიერ-მინისტრობასაც

# მართლმადიდებლური ფილმების ფესტივალი იწყება

ეკა ირემაშვილი

18 ოქტომბრიდან ბათუმში უკვე მეექვსედ გაიმართება მართლმადიდებლური ფილმების საერთაშორისო ფესტივალი ,,წმინდა ანდრიას ჯვარი“, რომელიც სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევითა და ბათუმისა და ლაზეთის მეტროპოლიტის დიმიტრის წინამძღოლობით ტარდება. ფესტივალის, რომელიც სხვადასხვა ქვეყნების რეჟისორთა ნამუშევრებს აერთიანებს, დევიზია ,,დიდება მაღალთა შინა ღმერთსა, მშვიდობა ქვეყანასა ზედა და კაცთა შორის სათნოება“.

ფესტივალის ორგანიზატორები არიან ასოციაცია ,,მეოხი“ და ბათუმის არტ-სტუდია ,,მუზა“. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო დაარსებიდან დღემდე სულიერების ზეიმის აქტიური მხარდამჭერია. ფესტივალის დირექტორი კი მათე ტაკიძეა. ფესტივალის არსებობის ხუთი წლის განმავლობაში, მაყურებელმა რამდენიმე ასეული ფილმი ნახა და შეაფასა, მათი უმრავლესობა კი ფესტივალის გამარჯვებული და პრიზიორია.

— წლიდან წლამდე ჩვენი ფესტივალი სულ უფრო მასშტაბური ხდება, რაც ჩვენთვის, მისი ორგანიზატორებისთვის, ნამდვილად სასიხარულო და საამაყოა. წინა წლების მსგავსად, წელსაც ფესტივალზე მოსულ საზოგადოებას დაუვიწყარი საღამოები ელის. ოთხი დღის განმავლობაში მაყურებელი კინოთეატრ „აპოლოში“ 50-მდე ფილმს ნახავს. ყველაზე მნიშვნელოვანი ამ ფესტივალისთვის ის არის, რომ მასში სულ უფრო მეტი სტუდენტი იღებს მონაწილეობას. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ეს უკვე ფესტივალის გამარჯვებაა. ჩვენი კომპეტენტური ჟიური საუკეთესოთა შორის საუკეთესოებს შეარჩევს და მათ დაწესებულ ნომინაციებში დააჯილდოვებს, — აცხადებს ფესტივალის ორგანიზატორი.

ფესტივალის მიზანია ქრისტიანულ სამყაროს დაანახოს და გააცნოს საქართველოს ისტორიული წარსული, ქრისტიანული კულტურული მემკვიდრეობა და დღევანდელობა. აგრეთვე, თავადაც გაეცნოს ქრისტიანული ქვეყნების თანამედროვე ცხოვრებასა და ხელოვნებას, ფესტივალი გახდეს ტრადიციული თავისი მასშტაბურობით. დაიმკვიდროს ღირსეული ადგილი საერთაშორისო ფესტივალთა შორის. ბათუმი კი იქცეს საერთაშორისო საფესტივალო ქალაქად.

ფესტივალში მონაწილეობა შეძლოთ საქართველოსა და საზღვარგარეთის რეჟისორებს, სახელმწიფო ტელეკომპანიებს, კერძო პირებს, რომლებიც ქმნიან ფილმებს მართლმადიდებლურ თემატიკაზე. ფესტივალის კონკურსზე ყოველწლიურად განიხილება მხატვრული, დოკუმენტური ფილმი, ტელეფილმები, ტელეპროგრამები, ტელეგადაცემები. კონკურსზე გამოგზავნილი ფილმების ქრონომეტრაჟი არ იზღუდება.



საკონკურსო ნამუშევრებს შესარჩევი კომისია განიხილავს და თუ ისინი შეესაბამება კონკურსის პირობებს, მათ ჟიურის გადასცემს. შესარჩევი კომისიის გადაწყვეტილებით, ფესტივალის მონაწილეებს ეგზავნებათ მოწვევა ფესტივალზე. შესარჩევ კომისიას უფლება აქვს უარყოს ნამუშევარი ტექნიკური მიზეზებით, ასევე შინაარსის მიხედვით, თუკი ის მართლმადიდებლური რწმენის შემლახავია.

ფესტივალს „წმინდა ანდრიას ჯვარი“ დაწესებული აქვს ნომინაციები, რომლებიც ირჩევა სამი კატეგორიით — დოკუმენტური ვიდეოფილმები, ტელეპროგრამები — ტელეგადაცემები და მხატვრული, სრულმეტრაჟიანი და მოკლემეტრაჟიანი ვიდეოფილმები. ყველა ნომინაცია ფასდება შემდეგნაირად — გრან პრი, საუკეთესო დოკუმენტური ფილმი, საუკეთესო ტელეპროგრამა — ტელეგადაცემა, საუკეთესო რეჟისორი, საუკეთესო ოპერატორი, საუკეთესო მონტაჟი, საუკეთესო მუსიკალური გაფორმება, საუკეთესო ხმის ოპერატორი, საუკეთესო სცენარისტი, საუკეთესო მხატვარი. ჟიურის გადაწყვეტილებით კონკურსს შესაძლოა დაემატოს სხვა ნომინაციები. ჟიური აგრეთვე უფლებამოსილია არ გამოიყენოს ზოგიერთი ნომინაციის სახე. ყველა ნომინაციას შეეფარდება თავისი პრიზი. ნომინაციაში გამარჯვებული და მთავარი პრიზის მფლობელი დაჯილდოვდება მაღალმხატვრული ღირებულების მქონე პრიზით. ფესტივალის პირობების თანახმად, ყველა სპონსორს, ორგანიზატორს და დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ დააწესონ სახელობითი პრიზები, რომლითაც დაჯილდოვდება როგორც კონკურსანტი, ისე მთავარი პრიზის მფლობელი. ფესტივალის ორგკომიტეტის გადაწ-



ყვეტილებით, ყველა მონაწილეს გადაეცემა სამახსოვრო მედალი — სიგელ-გუჯარით. ფესტივალის ემბლემად კი შერჩეულია ჯვარი და ვაზის ერთობლიობა. მისი ავტორი მოქანდაკე ირაკლი წულაძეა.

ფესტივალის დამფუძნებელი ასოციაცია „მეოხი“ ნებაყოფლობითი საზოგადოებრივი გაერთიანება არასამთავრობო და არაკომერციული ორგანიზაციაა. ასოციაციის თავმჯდომარეა მარიანა კალანდარიშვილი, ხოლო ხელმძღვანელი — კინოოპერატორი გიორგი გელაშვილი. ასოციაცია „მეოხის“ მიზანია ხელი შეუწყოს ახალგაზრდა შემოქმედთა ინტელექტუალური შესაძლებლობების გამოვლენას და მათი პროფესიული საქმიანობის სრულყოფას, გააშუქოს ახალგაზრდობის პრობლემები, დაეხმაროს ახალგაზრდობას საკუთარი ისტორიისა და კულტურის უკეთ გაცნობასა და შესწავლაში. ამიტომაც აწყობს კონკურსებს, ტელეხიდებს, ტელემარათონებს, ფესტივალს ქმნის სხვადასხვა სახის ტელე-ვიდეო და აუდიო პროდუქციას (დოკუმენტური ფილმები, რეკლამა, ფოტო გამოფენა, ტელესერიალები), აწესებს სხვადასხვა სახის პრემიებს, ქმნის ვიდეოტექნიკით აღჭურვილ ტურისტულ ჯგუფებს, რომელთა მარშრუტში შედის ისტორიისა და ბუნების საგანძურები, რომელთა შესახებაც იქმნება დოკუმენტური თუ საგანმანათლებლო სახის ფილმები, ქმნის ახალგაზრდულ პროფესიულ კლუბს, აწყობს კონფერენციებს, სემინარებს და დისკუსიებს.

როგორც ფესტივალის ორგანიზატორები განმარტავენ, ფესტივალისთვის ეს სახელწოდება შემთხვევით არ შეურჩევიათ. საეკლესიო გადმოცემის, მამათა ნაწერების და უცხოური თუ ქართული საისტორიო წყაროების მიხედვით, წმინდა ანდრია მოციქულმა სამგზის იქადაგა საქართველოში. ყველაფერი დაიწყო იმით, რომ სულთმოფენობის დღეს მოციქულებმა ღვთის ნებით წილი ყარეს, თუ ვის სად უნდა ექადაგა. მოციქულებს შორის წილისყრაში ყოვლადწმინდა ღვთისმშობელიც იღებდა მონაწილეობას. ღვთის განგებით, საქართველო დედაღვთისას ერგო. მაგრამ, როგორც ქართლის ცხოვრება გვამცნობს, ღვთისმშობელს მაცხოვარი გამოეცხადა და აუწყა, რომ მალე ამ სოფლიდან გავიდოდა. მაშინ წმინდა მარიამმა მოიხმო მოციქული ანდრია, უამბო გამოცხადების შესახებ და მოსაქცევად ჩააბარა მისი წილხვედრი საქართველო. თან ლოცვა-კურთხევასთან ერთად ფიცარზე აღბეჭდილი თავისი ხელთუქმნელი ჩვილედის ხატი გაატანა. საქართველოში ქადაგებისას წმინდა ანდრიამ შემუსრა მრავალი კერპი, აღმართა რკინის ჯვრები, დააარსა ეკლესიები, რაზეც საისტორიო წყაროების გარდა, დღემდე შემორჩენილი გადმოცემები მეტყველებს. ღვთისმშობლის ხელთუქმნელი ხატი წმინდა ანდრიას იფარავდა და მრავალ სასწაულს აღავლენდა საქართველოში სამოციქულო გზებზე. ბოლოს აწყვერში დაბრძანება ინება, რათა უფლის ნებით მკვიდრობდეს მცველად ქართველთა უკუნისამდე ჟამთა.

საქართველოში მოგზაურობის დროს წმინდა ანდრიას თან ახლდნენ მოციქულები მატათა და სვიმონ კანანელი, რომელიც აფხაზეთში, ახალ ათონშია დაკრძალული. გადმოცემის მიხედვით, მოციქული მატათა კი აჭარაში, გონიოშია დაკრძალული.

ფესტივალში „წმინდა ანდრიას ჯვარი“ მონაწილე ფილმების შერჩევა საორგანიზაციო კომიტეტმა 20 სექტემბერს დაასრულა. საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის ნანა ვერულაშვილის განცხადებით, ფესტივალის სრული პროგრამა შედგენილია და წელსაც ფილმები ერთმანეთზე საინტერესო და ღირებულია.

— ფილმები მაღალმხატვრული ღირებულებებით უნდა გამოირჩეოდეს და რაც მთავარია, უნდა აკმაყოფილებდეს ფესტივალის მთავარ მოთხოვნას — კანონიკურობის დაცვას. კომპეტენტურ ჟიურის, რომლის შემადგენლობაშიც არიან სასულიერო პირები და უცხოელი რეჟისორები, ტრადიციისამებრ, კინომცოდნე მარინე კერესელიძე უხელმძღვანელებს. ფესტივალის მაღალ დონეზე ჩასატარებლად ყველა სამუშაო ჩატარდა. ფესტივალში მონაწილეობას მიიღებენ საუკეთესო ფილმები, რომლებიც მართლმადიდებლურ თემატიკაზეა გადაღებული, — აცხადებს ნანა ვერულაშვილი.

ფესტივალის ორგანიზატორებს დაწესებული აქვთ სხვადასხვა ნომინაციები — საუკეთესო სრული და მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტური და მხატვრული ფილმები, საუკეთესო ტელეგადაცემა და ტელესიუჟეტები, საუკეთესო სტუდენტური ფილმი.

შარშანდელ ფესტივალში 7 ქვეყანა — საქართველო, გერმანია, რუსეთი, პოლონეთი, ლიტვა, ბელორუსი და უკრაინა მონაწილეობდა. წელს მათი რიცხვი უფრო გაიზარდა.

— ფესტივალის ჟიურის შემადგენლობაში იქნებიან სცენარისტი და პროდიუსერი თამარ ბართაია, ეროვნულ ხელნაწერთა ცენტრის დირექტორი ბუბა კუდავა, მამა ბასილი. ასევე უცხოელი რეჟისორებიც. უკვე ცნობილია, რომ ჩვენთან თანამშრომლობის სურვილი გამოთქვა მსოფლიოში ცნობილმა პიანისტმა ელისო ბოლქვაძემ, რომელიც შესაძლოა მომავალში თანაორგანიზატორად და ჟიურის წევრადაც კი მოგვევლინოს, — აღნიშნავს საორგანიზაციო კომიტეტის ხელმძღვანელი.

ფესტივალზე ,,წმინდა ანდრიას ჯვარი“ ყოველწლიურად სპეციალური პრიზებით ჯილდოვდებიან გამოჩენილი პიროვნებები ქვეყნის ეროვნული და სულიერი კულტურის განმტკიცებაში შეტანილი წვლილისთვის. ტრადიცია არც წელს დაირღვევა და ქართულ ხუროთმოძღვრებაში შეტანილი წვლილისთვის ფესტივალის ხელმძღვანელობა გამოჩენილ მხატვარსა და მოქანდაკეს ოთარ დარჩიას დააჯილდოვებს. მის მიერ შექმნილი ბარელიეფები, რელიეფები და კანკელი დღეს რეგიონის უამრავ ეკლესიას ამშვენებს. მასთან ერთად ფესტივალის მესვეურები ამ პრიზით დააჯილდოვებენ ფრიდონ ხალვაშსა და გურამ პატარაიას.

ფესტივალის გახსნისა და დახურვის საზეიმო ცერემონია ილია ჭავჭავაძის სახელობის ბათუმის დრამატულ თეატრში გაიმართება. ვინაიდან ქალაქს უკვე გააჩნია მაღალი დონის კინოთეატრი საფესტივალო ფილმების ჩვენებები ,,აპოლოში“ ჩატარდება. საკონკურსო ფილმების კინოჩვენებები „აპოლოში“ 19 -21 ოქტომბერს გაიმართება. უკვე ცნობილია ფესტივალის პროგრამაც. ფესტივალი წელს მეექვსედ ტარდება და მასში მონაწილეობას მართლმადიდებლურ თემატიკაზე შექმნილი სხვადასხვა ჟანრის ქართული და უცხოური ფილმები მიიღებენ — მხატვრული, დოკუმენტური, ანიმაციური, სტუდენტური. ფესტივალზე წარმოდგენილი იქნება მართლმადიდებლურ თემატიკაზე შექმნილი ტელეფილმები, ტელეპროგრამები, სარეკლამო რგოლები და კლიპები. მთლიანობაში ფესტივალში 5 ქვეყნის რეჟისორები არიან ჩართული. ფესტივალზე წარმოდგენილ ფილმებში აქცენტი ეთნოგრაფიაზეც არის გაკეთებული.

ფესტივალზე ნაჩვენები იქნება „პანტანასა“ (რეჟისორი გიკა ჭელიძე), „ეპიზოდი“ (რეჟისორი რუსუდან ძნელაძე), რომელიც ვაჟა-ფშაველას, ილია ჭავჭავაძესა და იაკობ გოგებაშვილს აერთიანებს. რეჟისორი გიორგი შალუტაშვილი საზოგადოებას წარუდგენს ფილმს „სამშობლო მოდის შენთან...“ ნინო ყოლანდარია კი ერთსაათიან ფილმს — „ქართულ-ებრაული ურთიერთობები“. ფესტივალზე ასევე ნაჩვენები იქნება „კავკასიური პორტრეტი“ (რეჟისორი გვანცა მეფარიშვილი), „ხიდები სამშობლოსკენ“ (რეჟისორი თინა ჭაბუკიანი), „ლაზლარ“ (რეჟისორი ფუნდა ოზიურტი), „ლოცვები სამშობლოსათვის“ (რეჟისორი ლევან ქიქავა), არქიმანდრიტი გრიგოლ ფერაძე

გაგრძელება მე-10 გვერდზე

## ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

პროექტის ფარგლებში შესაძლებელი გახდა ტაძრის შიგნით და ეზოში ჩაგვეტარებინა არქეოლოგიური გათხრები. ახალმა აღმოჩენებმა შეცვალა ტაძრის ისტორია. ის, რაც ისტორიულად ცნობილი იყო, დღეს ფაქტითაც დასტურდება — აღმოჩენილ იქნა პირველი ტაძრის საძირკველი და წმიდა ცოტნე აღმსარებლის საოჯახო საძვალე. არქიტექტორების, ხელოვნებათმცოდნეებისა და ისტორიკოსების ჯგუფი მუშაობს ამ საკითხების შესწავლაზე. პარალელურად ბატონ ბუბა კუდავას (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორი) ხელმძღვანელობით გამოსაცემად მზადდება წიგნი „ხობის მონასტერი“.

ტაძარში დამონტაჟდა ახალი კანკელი, იწერება ახალი ხატები, გამოიცვალა სარკმლები, დასრულდა იატაკის ფილების დაგება; მიმდინარეობს საპატრიარქო რეზიდენციის მშენებლობა. ტაძარსა და რეზიდენციაში დამონტაჟდა გათბობის სისტემა.

მზადდება პროექტი წმიდა ცოტნე აღმსარებლისა და მისი ოჯახის წევრების საძვალის მოსაწყობად.

დასამზადებელია საეკლესიო ავეჯი; შესაცვლელია განათების სისტემა, ტაძრის ძირითადი კარები.

იმისათვის, რომ შევძლოთ დაწყებული სამუშაოების დასრულება, გვჭირდება თანადგომა.

გახდით მონასტრის მეგობარი.

გვჯერა, თქვენი თანადგომით შევძლებთ გავუფრთხილდეთ წინაპართა დანატოვარს და თავად გავხდეთ ღირსეული წინაპარი.




იცხოვრეთ მომავალისთვის.

უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.

**საბანკო რეკვიზიტები:**

ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: 220 101 465
ანგ. N 36 010 892 GEL;
136 180 892 USD;
236 180 892 EUR



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ან დარეკოთ: მაგთი, ჯეოსელი, ბილაინი — 700 607; ახალი ქსელები — 700 608; სილქნეტი — 608 608 (ზარის ღირებულებაა 1 ლარი).

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი იღუმენია ანა (მუსელიანი)

## განცხადებები

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94; 234-02-38 ექიმი ქ-ნი სალომე.

● სიმაღლეში სწრაფი და ეფექტური ზრდა თვეში 3-5 სმ-ის მომატებით. მცენარეული ვიტამინების, მინერალების და ამინომჟავების კომპლექტი პლუს ვარჯიშები, 100%-იანი შედეგით, უკუჩვენების გარეშე. ტელ: 257-66-90 (საღამოს); 593-44-58-65 ექიმი ქ-ნი დეა.

● მკურნალობა უმაღლესი შედეგებით: ოსტეოქონდროზი, სმენისა და მხედველობის დაქვეითება, თავის ტკივილი, თავბრუსხვევა, უძილობა, კუჭ-ნაწლავის დაავადებები, რადიკულიტი, ჰეპატიტი, სახსრების დაავადება, კიდურებში სიცივე და დაბუჟება, მასტიტი, ნეფრიტი, შარდსასქესო სისტემის დაავადებები, პროსტატიტი, ნეიროდერმიტი და სხვა. ტელ: 595 45 50 35; 599 97 85 46 ბ-ნი ლევანი.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ან 234-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

# დინამომ ლიდერობა ზესტაფონს გადააბარა

**დინამო – მეტალურგი 2:3**

**თბილისი.** მიხეილ მესხი. 700 მაყურებელი

0:1 მიქაბერიძე (7), 1:1 ალვარო (14), 1:2, 1:3 მაისურაძე (30, 39), 2:3 კახელიშვილი (53)

**დინამო:** გრიშიკაშვილი, ოდიკაძე, ჰომოლა, თომაშვილი, რეხვიაშვილი, კვეკვესკირი (იაგუე 54), ალვარო, კოშკაძე, კოტო (რობერტინიო 75), ჩისკო, კახელიშვილი (ჯილაური 64)

**მეტალურგი:** ბედიაშვილი, სეთურიძე, მახვილაძე, ა.კვახაძე, ჯაფარიძე, რაზმაძე, ქავთარაძე (დობროვოლსკი 66), ჭედია, ი.მაისურაძე (გავაშელიშვილი 81), მიქაბერიძე (მოდებაძე 74), ტატანაშვილი

„მეტალურგმა" თავისი ქალაქის დღესასწაული, რუსთავობა მიხეილ მესხის სტადიონზე აღნიშნა და ეს პირველ რიგში საქართველოს ნაკრების კანდიდატის, ახალგაზრდა ნახევარმცველის, ირაკლი მაისურაძის დამსახურებაა, რომელმაც ორი ულამაზესი გოლი გაიტანა.

მატჩის დასაწყისმა წვიმის აკომპანიმენტის ქვეშ ჩაიარა, მაგრამ ამის მიუხედავად სანახაობრივი გამოდგა.

მატჩის მე-7 წუთზე დიმიტრი ტატანაშვილი მარცხნივ ირჟი ჰომოლას გაექცა და კარში დაარტყა. სოსო გრიშიკაშვილმა ბურთი კი მოიგერია, თუმცა გიორგი მიქაბერიძეს მიუვიდა, რომელმაც შორიდან გაისროლა – ბურთი გზად ერთ-ერთ დინამოელს შეეხო, მიმართულება იცვალა და კარში აღმოჩნდა – 0:1.

„დინამომ" მალევე გაათანაბრა – ჩისკო მარჯვნიდან გაიყვანეს ხელსაყრელ პოზიციაზე, ესპანელმაც თითქოს მომენტი გაანიავა, მაგრამ თბილისელთა ბედად ბურთი მეორე ესპანელ, მიკელ ალვაროსთან აღმოჩნდა, რომელმაც ანგარიში წონასწორობა აღადგინა – 1:1.

მალევე დავით ოდიკაძემ ბრწყინვალე პასით მეკარესთან პირისპირ დატოვა ჩისკო – დინამოელთა ყველაზე სახელიანი ესპანელი ამჯერადაც ცუდად გაისარჯა. მართალია, ბურთი მეკარეს კი შემოატარა, მაგრამ იმდენად სუსტად, რომ მცველებმა იოლად გამოიტანეს.

შემდეგ მაისურაძის ბენეფისის დრო დადგა. რუსთაველთა ნახევარმცველმა ორივეჯერ საჯარიმოს გარედან გაიტანა – ჯერ ახლო, შემდეგ კი შორეულ კუთხეში. პირველ გოლზე მეტნაკლებად მეკარის ბრალიც იყო – გრიშიკაშვილმა რეაგირებაც ვერ მოახდინა, მეორეზე კი გადახტა, თუმცა ამ ჯერზე მაისურაძემ ისე გაისროლა, ნებისმიერი მეკარე უძლური იქნებოდა.

პირველ ტაიმში კიდევ იყო დასამახსოვრებელი ეპიზოდები. ერთხელ გრიშიკაშვილმა გადაარჩინა თავისიანები, როდესაც გიორგი ქავთარაძეს ახლოდან დარტყმული თავური აუღო. პირველ ტაიმში ალექსანდრე კოშკაძის საჯარიმოდან შეეძლო სხვაობის შემცირება, მაგრამ ოდნავ უზუსტო გამოდგა.

მეორე ტაიმის დასაწყისში დინამოელებს მატჩის გადარჩენის იმედი მიეცათ. ჩისკომ საჯარიმო დაარტყა და არცთუ კარგად – ბურთი კარს სცდებოდა, მაგრამ გზად ერთ-ერთმა რუსთაველმა ფეხი უხეიროდ დაუხვედრა, რომელიც მართოდ მყოფ გიორგი კახელიშვილს მიუვიდა და მანაც შორეულ კუთხეში ზუსტად დარტყმით გრიგოლ ლბედიაშვილი უშანსოდ დატოვა 2:3. წინ კიდევ საკმაო დრო იყო



და დინამოელთა გულშემატკივრებს თავში „ზესტაფონთან" მატჩი ამოუტივივდათ, როდესაც თბილისელებმა ორბურთიანი ჩამორჩენის აღმოფხვრა მოახერხეს, თუმცა საფეხბურთო ფორტუნა ამჯერად „მეტალურგის" მხარეს იყო. ფორტუნა კი ვთქვით, მაგრამ არ იფიქროთ რუსთაველები გამარჯვებას არ იმსახურებდნენ – ისინი საკმაოდ ორგანიზებულად თამაშობდნენ და გამარჯვებაც ალალია, მაგრამ იყო ეპიზოდები, როდესაც „დინამოს" გათანაბრება შეეძლო.

ჯერ ალვაროს შეეძლო გათანაბრება, მაგრამ ესპანელის დარტყმას სიზუსტე დააკლდა, არადა, ხელსაყრელ პოზიციაში იმყოფებოდა. 71-ე წუთზე კი, ალვარომ ბურთი ჯაბა ჯილაურს ფლანგზე გააყოლა, რომელმაც კარის გასწვრივ გამჭოლი პასი გააკეთა, იქ კი ჩისკო ბურთს ასცდა – იდეალური მომენტი იყო.

დარჩენილ დროში დინამოელთა შეტევებმა ქაოსური ხასიათი მიიღო და ბოლო ფაზაში არაფერი გამოდიოდათ. რუსთაველები თავსაც კარგად იცავდნენ და კონტრშეტევებზეც იკბინებოდნენ, რითიც მასპინძლები შტურმის მოწყობას ვერ ბედავდნენ. ამასთან, „მეტალურგი" ჭკვიანური და აზრიანი თამაშით ბურთს ფეხში დიდხანს იმორჩილებდა და დროც მეთოდურად მიჰყავდა დასასრულისკენ.

ბოლოს სულაც საგოლე შანსი ჰქონდათ, როცა მინდორზე ახალშესულმა გიორგი გავაშელიშვილმა თავური ააცილა.

**მატჩის შემდეგ:**

**კობა ჟორჟიკაშვილი, მეტალურგის მთავარი მწვრთნელი:**

– საინტერესო მატჩი გამოდგა. „დინამო" კარგი გუნდია, თანდათან იხვეწება და ალბათ, დროთა განმავლობაშიც გააგრძელებს პროგრესს. მეტოქე კარგად შევისწავლეთ. ვიცოდით, რომ „დინამო" კარგად იყენებს სივრცეებს და ამაზე მაქსიმალურად ვიზრუნეთ, რომ მათთვის არეალი შეგვეზღუდა. ეს გარკვეულწილად მოვახერხეთ, თუმცა იყო შეცდომებიც. საბოლოო ჯამში, რთულად მოვიგეთ. შორიდან ხშირად დარტყმები ჩემი მითითება იყო.

**ალექს გარსია, დინამოს მთავარი მწვრთნელი:**

– კარგი თამაში იყო. სამწუხაროდ, დასაწყისში ვუშვებთ გოლს, რის შემდეგაც სიტუაციის გამოსწორება ძნელია. მეორე ტაიმში რისკზე წავედით, თამაში ბოლომდე გავხსენით. ფრე შეგვეძლო. მინდა ვთქვა, რომ ჩვენი შედეგი ფეხბურთელების მონდომებისა და მუშაობის შესაბამისი ვერაა.

**ტორპედო – სპარტაკი 2:0**

**ქუთაისი.** ცენტრალური. 2.000 მაყურებელი

1:0 დოლიძე (55), 2:0 თარხნიშვილი (71)

**ტორპედო:** მიგინეიშვილი, ს.თოდუა, დ.ფოფხაძე, გურული, დიღმელაშვილი, გ.დათუნაიშვილი, დ.ბოლქვაძე (კუხიანიძე 73), დოლიძე (იოსელიანი 78), თარხნიშვილი, გოცირიძე (მეგრელაძე 65), გამეზარდაშვილი

**სპარტაკი:** ძაგანია, შალამბერიძე, ბოიმო, ლომაია, ხუბუა, ვ.კილასონია, მამუჩიშვილი (ჯიქია 72), ნ.მაისურაძე (დეკანოიძე 64), შარაშენიძე (რუხაძე 80), მეტრეველი, შონია

მას შემდეგ, რაც „ტორპედოს" სათავეში გია გეგუჩაძე ჩაუდგა, გუნდმა ზედიზედ ორი გამარჯვება მოიპოვა. თუმცა, ამჯერად ეს გამარჯვება იოლად არ მოსულა – პირველ ტაიმში ცხინვალელები საკმაოდ აქტიურად გამოიყურებოდნენ და რამდენიმე შანსიც ჰქონდათ. სიტუაცია შესვენების შემდეგ შეიცვალა.

ანტრაქტის შემდეგ გია გეგუჩაძის მიერ დამოძღვრილი ტორპედოელები უფრო მხნედ გამოიყურებოდნენ და მთელი ტაიმის განმავლობაშიც დომინირებდნენ მოედანზე. დასაწყისშივე დავით გამეზარდაშვილისა და რევაზ გოცირიძის თავით დარტყმულ ბურთებს სიზუსტე დააკლდათ. თუმცა, 55-ე წუთზე გოლი მაინც გავიდა – ბოლქვაძემ ჩინებული პასით მეკარესთან პირისპირ გრიგოლ დოლიძე გაიყვანა, რომელმაც ძაგანიას ბურთი თავზე გადაატარა და ანგარიშიც გახსნა – 1:0.

მალევე დოლიძეს მეორეს გატანაც შეეძლო, მაგრამ „სპარტაკიც" ხარიხამ იხსნა. მასპინძლებმა 71-ე წუთზე ანგარიში მაინც გაზარდეს – თორნიკე თარხნიშვილმა ბურთი მარცხენა ფლანგზე მიიღო, მოჭრილი დარტყმით ძაგანიას მარჯვენა კუთხეში გაუტანა – 2:0.

ჰო, ეს მატჩი ეროვნულ ჩემპიონატში 250-ე გამოდგა გიორგი მეგრელაძისთვის, რომელსაც ორჯერ შეეძლო მისთვის საიუბილეო მატჩში გატანა, თუმცა, გამოცდილ ფორვარდს არ გაუმართლა.

**მატჩის შემდეგ:**

**ვლადიმერ ხაჩიძე, სპარტაკის მთავარი მწვრთნელი:**

– ჩვენთვის ძალზე პრინციპული შეხვედრა იყო. საუკეთესოთა შორის მოხვედრა გვინდა და ბუნებრივია, ყველა მატჩი მნიშვნელოვანია. ღირსეულ მეტოქესთან წავაგეთ, სამუშაო ბევრი გვაქვს. ხარვეზების გამოსწორებაზე ბევრი უნდა ვიმუშაოთ.

**გია გეგუჩაძე, ტორპედოს მთავარი მწვრთნელი:**

– სასიხარულოა, რომ პირველ საშინაო მატჩში გავიმარჯვეთ. ნორმალური მატჩი გამოდგა. ორივე გუნდმა თავდადებით იბრძოლა და მაყურებლებს კარგი სანახაობა შესთავაზა. გოლები სასიამოვნო საცქერი გამოდგა. გამარჯვებამ თვითკმაყოფილებაში არ უნდა ჩაგვაგდოს. ძლიერი გუნდის შესაქმნელად ბევრი რამ გვაქვს გასაკეთებელი

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ზესტაფონი | 9 | 6 | 2 | 1 | 18:12 | 20 |
| 2.დინამო | 9 | 6 | 1 | 2 | 19:10 | 19 |
| 3.მეტალურგი | 9 | 5 | 2 | 2 | 12:7 | 17 |
| 4.ბაია | 9 | 5 | 1 | 3 | 13:6 | 16 |
| 5.ტორპედო | 9 | 5 | 1 | 3 | 9:6 | 16 |
| 6.მერანი | 9 | 4 | 2 | 3 | 11:10 | 14 |
| 7.ვიტ ჯორჯია | 9 | 4 | 2 | 3 | 10:11 | 14 |
| 8.დილა | 9 | 3 | 1 | 5 | 13:14 | 10 |
| 9.გაგრა | 9 | 3 | 1 | 5 | 10:12 | 10 |
| 10.სპარტაკი | 9 | 1 | 4 | 4 | 5:10 | 7 |
| 11.კოლხეთი | 9 | 1 | 3 | 5 | 5:12 | 6 |
| 12.სიონი | 9 | 0 | 2 | 7 | 3:18 | 2 |

**ბომბარდირები:** დიმიტრი ტატანაშვილი (მეტალურგი) – 6 ბურთი; ჩისკო (დინამო) – 5; ჯაბა დვალი (ზესტაფონი), გიორგი მანწკავა (მერანი), რატი წინამძღვრიშვილი (ზესტაფონი) – 4-4.

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

## სამწვრთნელო ცვლილება გაგრასაც შეეხო

მიმდინარე ეროვნულ ჩემპიონატში კიდევ ერთხელ შეიცვალა მთავარი მწვრთნელი. ამჯერად ცვლილება საფეხბურთო კლუბ „გაგრას" შეეხო.

უკრაინელმა სპეციალისტმა ანატოლი პისკოვეცმა „გაგრას" მთავარი მწვრთნელის პოსტი დატოვა. ეს ინფორმაცია „გაგრას" საზოგადოებასთან ურთიერთობისა და იურიდიული სამსახურის უფროსმა მიხეილ აფხაზავამ გააჟღერა. გეტყვით, რომ პისკოვეცი რამდენიმე დღეა გუნდში აღარ იმყოფებოდა და იმავე აფხაზავას ცნობით, ავადმყოფობის გამო სამშობლოში დაბრუნდა. ვერ გეტყვით, როგორია მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა, მაგრამ ფაქტია, უკრაინელი სპეციალისტი გასული სეზონის თასის მფლობელი გუნდის მთავარი მწვრთნელი აღარ არის. „გაგრადან" წასვლა უკრაინელმა მწვრთნელმა თავად გადაწყვიტა და კლუბის პრეზიდენტ ბესო ჩიხრაძესთან კონტრაქტის ვადაზე ადრე გაწყვეტაზე შეთანხმდა.

გაგრელთა ხელმძღვანელობამ მადლობა გადაუხადა პისკოვეცს, რომელმაც გასულ სეზონში გუნდი პირველიდან უმაღლეს ლიგაში დააწინაურა და საქართველოს დავით ყიფიანის სახელობის თასიც მოაგებინა. მათი აზრით, კლუბის არსებობის ისტორიაში, პისკოვეცი საუკეთესო მწვრთნელის იყო.

„გაგრას" თავკაცად ოფიციალურად დაინიშნა ზვიად ჯელაძე, რომელიც აქამდე მეორე მწვრთნელი იყო, მაგრამ პისკოვეცის არყოფნაში ბოლო ტურებში გუნდს ხელმძღვანელობდა.

შეგახსენებთ, რომ მიმდინარე სეზონში მწვრთნელები შეიცვალეს „ზესტაფონმა", „მეტალურგმა", „ტორპედომ", „სპარტაკმა" და 3-ჯერ „სიონმა".

## ქუთაისმა ახალგაზრდული დინამო იოლად დაამარცხა

**ქუთაისი – დინამო 108:73**

(33:17, 23:14, 26:24, 26:18)

**ქუთაისი**: ფაშაევი (12), ბაბუნაშვილი (12), დიდია (9), ცეკვავა (20), ტუკვაძე (5), ცირეკიძე (2), დ.ბარბაქაძე (16), გ.ბარბაქაძე (15), ლომინაშვილი (11), კუჭავა (1), ქორიძე (5), კოლუაშვილი

**დინამო:** ბაქრაძე (12), ლეჟავა (4), ლომიძე, სანაძე (16), მარხვაშვილი (13), კეიდია (10), ალხანაიძე (5), მეხრიშვილი, ჯანგველაძე (4), სუხიშვილი (9)

ახალი ეროვნული საკალათბურთო ჩემპიონატი „ქუთაისიმა" იოლი გამარჯვებით დაიწყო. თუმცა, ეჭვიც არ უნდა შეგვპარვოდა, რომ დუდუ დადიანის მემორიალზე გამარჯვების შემდეგ, მასპინძლებს შინ თბილისი „დინამოს" ახალგაზრდული დამარცხება პრობლემად შექმნოდათ. ამასთან, „ქუთაისს" ერთ-ერთი უმთავრესი ძალა, რიჩარდ მათიაშვილი ოჯახური პრობლემების გამო მოისაკლისა.

მატჩი თავიდანვე მასპინძელთა უპირატესობით დაიწყო და მისი ბედი პირველივე მეოთხედში გადაწყდა, რომელიც რიონისპირელებმა 16 ქულით მოიგეს. ამ უპირატესობის შემდეგ მასპინძლებს ტემპი არ დაუგდიათ და ყველა მეოთხედი მოიგეს დამაჯერებლად, მხოლოდ მესამე ათწუთეულში გაუწიეს დინამოელმა ახალგაზრდა მცირე წინააღმდეგობა.

აღსანიშნავია, რომ ექვსმა ქუთაისელმა კალათბურთელმა 10-ქულიანი ბარიერი გადალახა, მასპინძლებმა ყველა საკალათბურთო კომპონენტში დაჩაგრეს მეტოქე. მათ მთელი მატჩის განმავლობაში 15 სამქულიანი ჩაუგდეს მეტოქეს.

## შედეგები

**ფეხბურთი**

**ინგლისი. პრემიერლიგა**

ვესტ ბრომვიჩი-ვულვზი ............ 2:0
არსენალი-სანდერლენდი ............ 2:1
ნიუკასლი-ტოტენჰემი ............ 2:2

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

ბირმინგემი-ლესტერი ............ 2:0

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

რაიო-ესპანიოლი ............ 0:1
სარაგოსა-სოსიედადი ............ 2:0
ლევანტე-მალაგა ............ 3:0
სევილია-ხიხონი ............ 2:1

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

ბარსელონა ბ-გვადალახარა ............ 1:2
ხერესი-სელტა ............ 3:3

**იტალია. სერია ა**

ატალანტა-უდინეზე ............ 0:0
ჯენოა-ლეჩე ............ 0:0
კალიარი-სიენა ............ 0:0
კიევო-იუვენტუსი ............ 0:0
ნოვარა-ბოლონია ............ 0:2
ლაციო-რომა ............ 2:1

**გერმანია. ბუნდესლიგა**

ფრაიბურგი-ჰამბურგი ............ 1:2
კიოლნი-ჰანოვერი ............ 2:0

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

ფიურტი-აუე ............ 2:0
დინამო-ალემანია ............ 1:1
ფრანკფურტი-კოტბუსი ............ 0:1

**საფრანგეთი. 1 ლიგა**

აიაჩო-პსჟ ............ 1:3
ვალანსიენი-სოშო ............ 3:0
რენი-ლორიენი ............ 2:0
ნაიმეგენი-ვიტესი ............ 0:1

*ვიტესის გოლი გიო ჭანტურიამ გაიტანა*

როდა-დენ ჰააგი ............ 4:1
ფეინოორდი-ვენლო ............ 4:0
ბრედა-ექსელსიორი ............ 2:0

**ჰოლანდია. მე-2 დივიზიონი**

იგლზი-კამბური ............ 4:1
ეინდჰოვენი-ტილბურგი ............ 2:3

**რუსეთი. პრემიერლიგა**

ამკარი-ყუბანი ............ 3:1
ნალჩიკი-ანჟი ............ 1:1
რუბინი-სპარტაკი ............ 3:0
ლოკომოტივი-ტომი ............ 3:0

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

მატერსბურგი-შტურმი ............ 3:3

**ბელგია. პროლიგა**

ბრიგე-გენტი ............ 2:0
ანდერლეხტი-სტანდარდი ............ 5:0

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

ქსანთი-პანათინაიკოსი ............ 2:3
იანიანა-პანიონიოსი ............ 0:0
ერგოტელისი-არისი ............ 1:1
პაოკი-ოფი ............ 0:0

**თურქეთი. სუპერლიგა**

გენჩლერი-ანთალია ............ 3:0
ისთანბული-სამსუნი ............ 3:0
გალათასარაი-ბურსა ............ 2:1
მანისა-ქარაბუქი ............ 2:1

**ჩეხეთი. გამბრინუსლიგა**

ბუდეიოვიცე-ტეპლიცე ............ 1:1
იაბლონეცი-პრჟიბრჟამი ............ 5:1
ბოჰემიანსი 1905-დუკლა ............ 0:0
სიგმა-ბოლესლავი ............ 1:1

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

ზაგლებიე-ლეჩნა ............ 0:1
ხოჟუვილეგია ............ 0:1

**უკრაინა. პრემიერლიგა**

მეტალურგი(დ)-კრივბასი ............ 1:0
კარპატი-არსენალი ............ 0:3
ობოლონი-დნიპრო ............ 1:4
დინამო-ვოლინი ............ 2:1

**დანია. სუპერლიგა**

ლუნგბიუ-სილკებორგი ............ 2:3
ორხუსი-ოდენსე ............ 0:0
კიოგე-სონდერიისკე ............ 1:3
მიდტიულანდი-ბრონდბიუ ............ 1:0

**შვედეთი. ალსვენსკა**

ტრელებორგი-მილაბი ............ 1:2
აიკი-ჰეკენი ............ 2:1
ნორჩიოპინგი-ელფსბორგი ............ 2:1

**ნორვეგია. ტიპელიგა**

მიოლდე-ოდ ............ გრელანდი 0:0
საპრსბორგი-ტრომსო ............ 0:2
სონგდალი-სტრომგოდსეტი ............ 1:1
ჰაუგესუნდი-ფრედრიკსტადი ............ 3:2
რუსენბირგი-ალესუნდი ............ 2:2

**ფინეთი. ვეიკაუსლიგა**

როვანიემი-ტპს ............ 3:1
ჰონკა-ჰიკი ............ 1:1
ჯჯკ-ვაასსა ............ 1:2

**ირლანდია. პრემიერ დივიზიონი**

დერი-გელვეი ............ 4:0

**ირლანდია. თასი**

ბოჰემიანსი-სლიგო ............ 0:1

**აშშ. მლს**

ლოს ანჯელესი-ჩივასი ............ 1:0

**ბრაზილია. სერია ა**

ბოტაფოგო-ატლეტიკო(პ) ............ 2:0
ინტერნასიონალი-ავაი ............ 4:2
კრუზეირო-კორინთიანსი ............ 0:1
პალმეირასი-ფლუმინენსე ............ 1:2
სანტოსი-გრემიო ............ 0:1
ატლეტიკო(გ)-სან პაულუ ............ 3:0
ვასკუ-ატლეტიკო(მ) ............ 2:0
კურიტიბა-ბაია ............ 0:0

**არგენტინა. აპერტურა**

არხენტინოსი-კოლონი ............ 0:0
ბოკა-ბელგრანო ............ 0:0
ლანუსი-ველეჟი ............ 1:2

**ჩოგბურთი**

**ვტა. ლინცი. ჰარდი**

**ფინალი**

კვიტოვა-ციბულკოვა ............ 6:4;6:1

**ვტა. ლუქსემბურგი. ჰარდი**

ვოზნიაკი-ბარტოლი ............ 3:6;0:6
ესპინოსა-კნაპი ............ 3:6;4:6
ჰრადეცკა-ცანდერი ............ 4:6;6:4;6:0
კეტავონგი-გოიერი ............ 6:3;6:1
ბერტენსი-სხოფსი ............ 3:6;1:6
დანილიდუ-ზიგემუნდი ............ 6:4;6:2

**ჰოკეი**

**ნჰლ. რეგულარული ჩემპიონატი**

ანაჰაიმი-სენტ ლუისი ............ 4:2

შედით საიტზე atb.ge

# ჯანსუღ ჩარკვიანს იუბილე კონცერტით მიულოცეს

დასაწყისი მე-12 გვერდზე

მილ კონცერტამდე კი პოეტს 80 წლის იუბილე სამების ახალგაზრდულ ცენტრშიც მიულოცეს. ღონისძიება საქართველოს პატრიარქის ილია მეორისა და საქართველოს მწერალთა კავშირის ინიციატივით მოეწყო. სწორედ ამ საღამოზე გაჩნდა იდეა, პოეტის იუბილე დიდ საკონცერტო დარბაზშიც აღნიშნულიყო და მის ლექსებზე შექმნილი სიმღერები აჟღერებულიყო.

**ჯანსუღ ჩარკვიანი, პოეტი:**

– ჩემმა შვილმა მითხრა, შენი იუბილესადმი მიძღვნილი შემოქმედებითი საღამო მოვაწყოთო და დავთანხმდი, რეპეტიციაც კი არ გამივლია, რიცხვი დათქვა და აი, კონცერტიც შედგა. მეც გამოვედი ფილარმონიის სცენაზე. ჩემთან ერთად იყვნენ ის მომღერლები და კომპოზიტორები, ვისაც ჩემს ლექსებზე სიმღერა დაუწერიათ ან უკვე დაწერილი სიმღერები შეუსრულებიათ.

**თაკო ჩარკვიანი, ჯანსუღ ჩარკვიანის ქალიშვილი:**

– ამ კონცერტის ჩატარების იდეა მაშინ გაჩნდა, როდესაც სამების ახალგაზრდულ ცენტრში მამას 80 წლის იუბილესადმი მიძღვნილი ღონისძიება ჩატარდა. გადავწყვიტე, ქართული ესტრადის ვარსკვლავები შემეკრიბა და მამასთვის კონცერტი მიგვეძღვნა. სამებაში ნამდვილი საოცრება ვნახე – დამიჯერეთ, მამაჩემის ძალიან ბევრ საღამოზე ვარ ნამყოფი, მაგრამ მე ასეთი რამ არ მინახავს. თავად პატრიარქი ღონისძიებას 2 საათი თავიდან ბოლომდე ესწრებოდა. იქ ყველამ თქვა, რომ ეს ყველაფერი დიდ სცენაზე უნდა გაცოცხლებულიყო. ამ საღამოდან არც ისე დიდი დრო გავიდა, მაგრამ ყველაფერი გავაკეთეთ იმისთვის, რომ ასეთი გრანდიოზული საღამო ჩაგვეტარებინა. მგონია, რომ ცუდი არ იყო. ამ კონცერტის ორგანიზებისთვის იყო ისეთი ენთუზიაზმი, სხვანაირად არც შეიძლებოდა მომხდარიყო. ყველა მსახიობი და მომღერალი მობილიზებული იყო. ამ დღეს ქართული ესტრადის თაობები იდგნენ სცენაზე – მერაბ სეფაშვილი, აჩიკო ნიჟარაძე, დათუნა სირბილაძე, მაია ჯაბუა. ეს ინიციატივა თავად მათგან წამოვიდა და მე ამით ძალიან ბედნიერი ვარ.

**მერაბ სეფაშვილი, მომღერალი:**

– მართლაც ბევრი შეიძლება ილაპარაკო ბატონი ჯანსუღის შემოქმედებაზე, მე ძალიან ბევრი სიმღერა მაქვს ნამღერი, რომელიც მის ლექსზეა შექმნილი. ბატონი ჯანსუღის ლექსი სიმღერაში განსაკუთრებულად ჟღერს. მას კარგად ესმის მუსიკა და აქედან გამომდინარე კარგადაც წერს ლექსს. ვულოცავ ბატონ ჯანსუღს 80 წლის იუბილეს, დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, ბედნიერებას და კიდევ არაერთი ულამაზესი ლექსის დაწერას ვუსურვებ.

**მაია ჯაბუა, მომღერალი:**

– საოცრად ნიჭიერები არიან ჩარკვიანები. არაერთხელ მითქვამს, რომ მიყვარს მათი მოდგმა. მათი ათვლის წერტილი კი ბატონი ჯანულია. ეს არის ადამიანი, რომელიც ერთ-ერთი პატრონია ქვეყნის კულტურისა და ღირსების. მე ვმღერი მაცაცო სებისკვერაძის სიმღერას, ბატონი ჯანსუღის ლექსზე „ჩუმად გაგიყვან მინდორში“. ეს საკმაოდ დიდი ხნის სიმღერაა, მაგრამ ყველა თაობისთვის საყვარელი, ამიტომაც მისი იუბილესთვის შესასრულებლად სწორედ ეს სიმღერა შევარჩიე. ვულოცავ ბატონ ჯანსუღს 80 წლის იუბილეს და მინდა, რომ კიდევ დიდხანს გვყავდეს ჩვენი ქართული კულტურის საამაყოდ.

**დავით გომართელი, მომღერალი:**

– რა შეიძლება ითქვას ბატონი ჯანსუღის შემოქმედებაზე ისეთი, რაც ჯერ არ თქმულა? ის საოცარი ადამიანია. თანაც ჩემი ნათლიაა. მათი ოჯახი ჩემთვის განსაკუთრებული და გამორჩეულია. გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვი, რომ ჩემი ნათლია უდიდესი პოეტია, ერთ-ერთი ქართველი დიდი პოეტი, რომელიც მთელი თავისი შეგნებით და აზროვნებით ემსახურება თავის ხალხს. უამრავი სიმღერაა შექმნილი მის ლექსზე. მე ვიმღერე „გამახარე“, ძალიან ცნობილი და პოპულარული სიმღერაა. ვულოცავ ჩემს ნათლიას 80 წლის იუბილეს და ყოველივე საუკეთესოს ვუსურვებ.

# მართლმადიდებლური ფილმების ფესტივალი იწყება

დასაწყისი მე-8 გვერდზე

(რეჟისორი ნატალია ბობოხიძე), „მე მოვალ დილით“ (რეჟისორი ნინო ხატიაშვილი), „მეხუთე სახარება“ (რეჟისორი ელენა კარეტნიკი), „კოდორის გმირები“ (რეჟისორი კახაბერ იმნაიშვილი), „სისხლი“ (რეჟისორი ირინა პრავილო), „ბეღურები გაზაფხულის მოლოდინში“ (რეჟისორი სალომე დეკანოიძე), „გიორგობა“ (რეჟისორი ნინელი გოგიტიძე), „გონის სუვერენობა“ (რეჟისორი ლელა წიფურია), „ქარის დევნა“ (რეჟისორი ზურაბ დემეტრაშვილი), „კალმასობა იოანესი“ (რეჟისორი ზურაბ მექვაბიშვილი), „თიანეთის საგანძური“ (რეჟისორი გიკა ჭელიძე), „წმინდა მიწა ქართველ პილიგრიმთათვის“ (რეჟისორი ნინო სხირტლაძე), „საუკუნის საძირკველი“ (რეჟისორი ნატო ჩიგოგიძე), „შენ ხარ ვენახი“ (რეჟისორი ნინო სალაძე),

„სახლი ბათუმში“ (რეჟისორი შოთა გუჯაბიძე), „მარიამობა) (რეჟისორი სოფიკო დაუშვილი), „ქართველნო, ერთად ღმრთისაკენ“ (რეჟისორი თეიმურაზ ქარუხნიშვილი),

„ცხემვანას დედათა მონასტრის ისტორია“ (რეჟისორი თამარ ჩხაიძე), „სიცოცხლის წყარო“ (რეჟისორი ელისაბედ ვაჩნაძე), „აბიბოს ნეკრესელი“ (რეჟისორი სოფიო გობრონიძე), „ანტონ მარტყოფელი“ (რეჟისორები ცოტნე წერეთელი, სოფიო გობრონიძე,) „პატარა სამოთხე“ (რეჟისორი მაქსიმ მიხალცევი), „წინამძღვარი“ (რეჟისორი გალინა ადამოვიჩი), „ხელოვანი პანსიონატში“ (რეჟისორი ნათია გრატიაშვილი), „ერთი ამოსუნთქვის სიყვარული“ (რეჟისორი კობა ცხაკაია), „სვანეთი, ცოცხალი მითი“ (რეჟისორი სპარტაკ ფარჯიანი).

ფესტივალის დახურვაზე ბათუმის სახელმწიფო დრამატულ თეატრში წარმოდგენილი იქნება „თქმულებანი“ (რეჟისორი ვიტალი ლუბეცკი), „1923 წელი 23 მაისი“ (რეჟისორი ქეთევან ჩახვაშვილი), „ეპიზოდი“ (რეჟისორი რუსუდან ძნელაძე). ეს ფილმი ექვთიმე თაყაიშვილს, კოტე მარჯანიშვილსა და აკაკი წერეთელს ეძღვნება.

ფესტივალის ფარგლებში უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში მრგვალი მაგიდა გაიმართება, ჩატარდება მასტერკლასებიც, ხოლო 22 ოქტომბერს „წმინდა ანდრია ჯვრის“ გამარჯვებულთა საზეიმო დაჯილდოების ცერემონიალი გაიმართება. ჟიურის მიერ სხვადასხვა ნომინაციებში გამარჯვებულ ფილმთა ავტორები ირაკლი წულაძის მიერ დამზადებული სპეციალური ქანდაკებებით დასაჩუქრდებიან.



# საქართველოში გრანდიოზული როკ-ფესტივალი ჩატარდება

ეკა ირემაშვილი

როკ-მუსიკის სფეროში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი მენეჯერი და პროდიუსერი სტივ უელტმანი თბილისში ჩამოვიდა. იგი ჩვენს ქვეყანას საპრომოუტერო კომპანია „ლოკომოტივ პრომოუშენის“ მოწვევით ესტუმრა. ქართველმა და უცხოელმა პარტნიორებმა ჟურნალისტებისთვის საგანგებო პრესკონფერენცია მოაწყეს და სამომავლოდ დაგეგმილ ერთობლივ პროექტებზე ისაუბრეს. ლიტერატურულ კაფე „ქარავანში“ სტივ უელტმანმა და „ლოკომოტივ პრომოუშენის“ წარმომადგენლებმა ჟურნალისტებს გაანდეს, რომ საქართველოში გრანდიოზული როკ-ფესტივალი ჩატარდება.

– კომპანია „ლოკომოტივ პრომოუშენთან“ ერთად ვიწყებ მუშაობას გრანდიოზულ პროექტზე, რომელიც განსაკუთრებით როკის მოყვარულებს გაახარებს. უკვე დაგეგმილია მსოფლიოში ცნობილი როკ-შემსრულებლების კონცერტები თბილისში. პირველი კონცერტი 5 ნოემბერს გაიმართება, – განაცხადა პრესკონფერენციაზე სტივ უელტმანმა.

სტივ უელტმანი მსოფლიოს როკ-მუსიკაში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი მენეჯერი და პროდიუსერია. სხვადასხვა დროს იგი მუშაობდა ლეგენდარულ შემსრულებლებთან – ბითლზი, ლედ ზეპელინი, ელვის პრესლი, ჯენეზისი, პინკ ფლოიდი, დევიდ ბოუი, ოზი ოზბორნი. მას უდიდესი წვლილი მიუძღვის მსოფლიოში ყველაზე ცნობილი როკ ფესტივალების ორგანიზებაში.

– 5 ნოემბერს თბილისში ჩემი ორგანიზებით ჯგუფ „ურაია ჰიპის“ წევრის, როკ-კლავიშისა და გიტარისტის კენ ჰენსლის კონცერტი გაიმართება. კონცერტის ჩატარების ადგილი ჯერ ცნობილი არაა, თუმცა, ჩვენთვის მთავარია კონცერტი მყუდრო გარემოში ჩატარდეს. აკუსტიკურ კონცერტზე კენ ჰენსლი „ურაია ჰიპის“ ცნობილ ჰიტებს შეასრულებს, ხოლო შუალედებში მსმენელს მისთვის კითხვების დასმის საშუალებაც მიეცემა, – განაცხადა ცნობილმა პროდიუსერმა.

ორგანიზატორთა განცხადებით, მეორე პროექტში რამდენიმე კონცერტია გაერთიანებული, რომელიც სამდღიანი იქნება.

– რაც შეეხება მეორე პროექტს, ჩვენ ვგეგმავთ უპრეცედენტო მასშტაბის ღონისძიების მოწყობას. როკ-კონცერტი, რომელშიც მონაწილეობას მსოფლიოში ცნობილი შემსრულებლები მიიღებენ, მომავალი წლის მეორე ნახევარში გაიმართება, – განაცხადა „ლოკომოტივ პრომოუშენის“ პრესცენტრის ხელმძღვანელმა გიორგი კიკონიშვილმა.

სამდღიანი კონცერტი მისი ორგანიზატორების გადაწყვეტილებით, არა თბილისში, არამედ საქართველოს რომელიმე რეგიონში ჩატარდება. კონცერტისთვის ადგილის შესარჩევად „ლოკომოტივ პრომოუშენის“ წარმომადგენლებმა სტივ უელტმანთან ერთად საქართველოს რეგიონების მონახულება დაგეგმეს, რომ კონცერტების ჩასატარებლად სავარაუდო ადგილები მოინიშნოს.

– ჩვენ მიერ დაგეგმილი კონცერტები საკმაოდ მასშტაბური და მნიშვნელოვანია.

საქართველო მომავალ წელს მუსიკალურ რუკაზე გამოჩნდება, – ასე დაასრულა საუბარი ჟურნალისტებთან მსოფლიოში ცნობილმა პროდიუსერმა.

# რატომ დაბლოკეს ბერას კლიპი?

ეკა ირემაშვილი

ბიზნესმენ ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში მოსვლას მისმა 16 წლის შვილმა, მღერალმა ბერამ სიმღერა და კლიპი მიუძღვნა, რომელიც მისივე თქმით, ყველა მედია საშუალებამ დაბლოკა, უფრო სწორად, უარი თქვა მის ეთერში გაშვებაზე.

მომღერალი იძულებული გახდა, თავისი ახალი ნამუშევარი ერთგული ფანებისთვის სოციალური ქსელით „ფეისბუქით“ გაევრცელებინა. „ქართული ოცნება“ – ასე ჰქვია კლიპს, რომელიც ბერამ მამას პოლიტიკაში წასვლის გადაწყვეტილებას მიუძღვნა. თავდაპირველად კლიპის გავრცელების სულ სხვა დრო დასახელდა, თუმცა მან ორი საათით დაიგვიანა. მომღერალმა ბოდიში მოიხადა და „ფეისბუქში“ განაცხადა:

– ბოდიში დაგვიანებისთვის. ყველა მედიასაშუალებამ უარი თქვა ამ კლიპის გაშვებაზე, მხოლოდ იუთუბიზე შევძელით მისი ატვირთვა. „ქართული ოცნება“ ახლა თქვენი შესაფასებელია, – განაცხადა ბერამ.

ბერამ ახალი სიმღერა მამის, ბიძინა ივანიშვილის მიერ პოლიტიკური პარტიის შექმნის შესახებ გადაწყვეტილებას მიუძღვნა.

– შიშის და ჩურჩულის დრო დამთავრდა, ახლა ხმამაღლა, მთელი ხმით, მთელი საქართველოს და მთელი მსოფლიოს გასაგონად ლაპარაკის დროა, მთელს მსოფლიოს მივაწვდინოთ ჩვენი სიმართლე. ჩვენ ერთად უნდა ავიხდინოთ ქართული ოცნება. ეს არის ერთიანი, მთლიანი, ძლიერი, სამართლიანი საქართველო, – ასე ჟღერს ბერას ახალი სიმღერის ტექსტი.

– მხოლოდ თქვენთვის, მხოლოდ ამ გვერდზე! ჩვენ ერთი დიდი ოჯახი ვართ და ერთმანეთს ვაძლიერებთ. „შიშის და ჩურჩულის დრო დამთავრდა...“ – აცხადებს მომღერალი.



ბერას ახალი კლიპის ქრონომეტრაჟი 3.18 წუთია. მომღერლის ახალი ნამუშევარი უკვე ასეულობით ადამიანმა ნახა და შეაფასა.

– დიდი გულისტკივილით და დამძიმებული მდგომარეობით ნაკარნახევი სიმღერაა. მაგრამ ოპტიმისტური ტექსტი და განწყობა მომავლის გამარჯვებებს გვიქადის. ეს არანაკლები მუხტია საქართველოსთვის – ასეთი შინაარსის აღმოჩნდა პირველი შეფასებები.

ბერას ახალი კლიპის იუთუბიზე ატვირთვისთანავე მომღერლის „ქართული ოცნების“ სომხური ვარიანტიც გაჩნდა. კლიპში შესულია ისეთი კადრები, რომლებიც მის ქართულ ვარიანტში გამოყენებული არაა. დასახელებაში გაკეთებული აღნიშნვის მიხედვით, სიმღერას არა ბერა ივანიშვილი, არამედ ბერა ივანიანი ასრულებს. კლიპის სომხური ვარიანტი იუზერმა სახელწოდებით „ყველა ერთისათვის“ ატვირთა და სიმღერას სომხური რეპი უწოდა.

ბერას ახალი სიმღერა სახელწოდებით „ქართული ოცნება“ პატრიოტული მოტივისაა და მთავრდება სიტყვებით „კლიპის ფინალი საქართველოს მოსახლეობის ხელშია“.

# შალვა რამიშვილმა „დარდუბალას“ ახალი პროექტი ივანიშვილს რეზიდენციაში მიუტანა

ჟურნალისტი შალვა რამიშვილი დღეს ბიზნესმენ ბიძინა ივანიშვილის რეზიდენციაში მივიდა.

როგორც რამიშვილმა ბიზნესმენთან შეხვედრამდე ჟურნალისტებს განაცხადა, მისი რეზიდენციაში მისვლის მიზეზი „დარდუბალას“ ახალი პროექტი გახდა, რომელიც მან ივანიშვილის ცნობილი განცხადების შემდეგ დაწერა.

ჟურნალისტის თქმით, პროექტს ბიძინა ივანიშვილს წარუდგენს და დეტალებზე მხოლოდ ამ შეხვედრის შემდეგ ისაუბრებს.

ცნობისთვის: ბიძინა ივანიშვილმა „დარდუბალას“ გაგრძელებისკენ რამიშვილს თავის ერთ-ერთ განცხადებაში მოუწოდა და დაფინანსება შესთავაზა.

მედიანიუსი

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. მდინარე უკრაინა მოლდავეთის საზღვარზე; 2. ბელგიური ავიაკომპანია; 3. ექიმის სპეციალობა; 4. დიდი თაგვი; 5. განუწყვეტელი შეტევა; 7. ქართული სამშენებლო კომპანია; 11. კინოაპარატის გამომგონებელი ფრანგი ძმების გვარი; 13. წინასწარი, მიახლოებითი აზრი რაიმეს შესახებ; 15. ქართველ მეთევზეთა შრომის სიმღერა; 16. საჯარისო შენაერთი; 18. აღმოსავლური მაგიდის სათამაშო; 19. ქართველი მოჭიდავე, ოლიმპიური ჩემპიონი.

**თარაზულად:** 6. ცეცხლსასროლი იარაღის ბელგიელი კონსტრუქტორი; 8. კარაქის შესადღვები ხის პრიმიტიული ხელსაწყო; 9. სომეხთა მღვდელი; 10. „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟი; 12. მე-16 საუკუნის ქართველი ოქრომჭედელი; 14. არგონავტთა წინამძღოლი; 17. სანატორიუმის ტერიტორიაზე სპეციალურად მოწყობილი ბილიკი სამკურნალო სიარულისთვის; 20. შემწვარი ინდაურისგან მომზადებული საშობაო კერძი ბრიტანეთში; 21. წინასწარი მონახაზი; 22. მდინარე ყვარელში; 23. ფუტკრის სკის შავი ცვილი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

## წინა ნომერში გამოქვეყნებული სკანვორდისა და კროსვორდის პასუხები:

**სკანვორდის პასუხები:**

1. ნო; 2. ტვისტი; 3. „ტოსკა“; 4. ონი; 5. მარაო; 6. ეტნა; 7. სე; 8. სრა; 9. მენი; 10. კურარე; 11. გულიაში; 12. სი; 13. ურო; 14. კურანტი; 15. ეკალი; 16. სუ; 17. ქისა; 18. ჯონ; 19. ბოა; 20. იო; 21. სერ; 22. ლუი; 23. ვალუტა; 24. სადგისი; 25. ქალაქი; 26. უქონელი; 27. ქანჩი; 28. კეიტ; 29. ას; 30. ლიდზი; 31. ქანდა; 32. რალი; 33. პატრიოტი; 34. კრემლი; 35. ორიონი.

**სურათებზე:** ბრუკ შილდსი; მასიმო ოდო.

**კროსვორდის პასუხები:**

თარაზულად: 1. პარადი; 4. აპდაიკი; 7. პანიკა; 9. თამასა; 11. არაქისი; 12. მახობელა; 13. ნიჟარა; 17. მილედი; 18. როინ; 19. შლაგბაუმი; 20. სამაჯური.

შვეულად: 1. პიკი; 2. დენთი; 3. კვართი; 5. პანდა; 6. კურდღელი; 8. მკრეხელობა; 10. ასპინძა; 12. მარშალი; 14. ქლიავი; 15. სისირი; 16. პანტა.

# საკალათბურთო ლოკაუტში ფედერალური შუამავალი ჩაერია

დღეს გადამწყვეტი დღეა ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციისთვის, რომელიც მოთამაშეთა პროფკავშირთან მოლაპარაკებათა მორიგ რაუნდს ნიუ იორკში გამართავს. თუმცა, არის სიახლეც – შეხვედრაში ჩართული იქნება მესამე მხარე – ფედერალური შუამავალი.

მას შემდეგ, რაც ნბა-მ და პროფკავშირმა ახალ კოლექტიურ ხელშეკრულებაზე შეთანხმებას ვერ მიაღწიეს, დასახმარებლად შუამავლობისა და შერიგების ფედერალურ სამსახურს მიმართეს და გუშინ ამ ორგანიზაციის დირექტორმა ჯორჯ კოენმა განაცხადა, რომ უკვე გამართა არაოფიციალური შეხვედრები ორივე ბანაკის წარმომადგენლებთან.

– მხარეები დათანხმდნენ მომავალი მოლაპარაკებები ჩემი მონაწილეობით გამართონ, – განაცხადა კოენმა, რომელიც ამერიკული ფეხბურთის ლიგაში ანალოგიური პრობლემის მოგვარებაში იღებდა მონაწილეობას და დიდი როლი ითამაშა ლოკაუტის დასრულებაში.

დღევანდელ შეხვედრასთან დაკავშირებით კომენტარი გააკეთა ნბა-ს კომისარმა დევიდ სტერნმაც.

– თუ მხარეები ვერ შეძლებენ 18 ოქტომბერს საბოლოო შეთანხმების მიღწევას, მატჩები შობის დღესასწაულზეც არ გაიმართება, – ამბობს სტერნი.

ამ განცხადებით ნათელი ხდება, რომ ნბა-ს სეზონის სტარტი, სავარაუდოდ, მომავალ წელს დაიწყება.

შეგახსენებთ, რომ თავიდან კლუბების მფლობელები მზად იყვნენ მოთამაშეებისთვის 46 პროცენტი მიეცათ, შემდეგ 47-მდე ავიდნენ. ერთ-ერთი დაძაბული მოლაპარაკების დროს, ნბა-ს კომისარმა კომპრომისის მისაღწევად 49 პროცენტი დაასახელა შემდგომაში ამ მაჩვენებლის 51 პროცენტამდე გაზრდის პერსპექტივით, მაგრამ მოთამაშეებმა ამაზეც უარი განაცხადეს.

არადა, რეგულარული სეზონის ამდენი ხნით გადაწევა თავად კალათბურთელებს იმაზე ძვირი დაუჯდებათ, ვიდრე ის თანხა, რომელსაც ისინი დაკარგავდნენ კლუბების მფლობელების ბოლო შეთავაზებაზე დათანხმების შემთხვევაში.

საკალათბურთო ფანები კი ლოკაუტში მთავარ დამნაშავედ კლუბების მფლობელებს მიიჩნევენ. რა თქმა უნდა, ამერიკასა და მთელს მსოფლიოში არასტაბილური ფინანსური მდგომარეობის ფონზე ზოგიერთი კალათბურთელის ხელფასი გადაჭარბებულად მოსჩანს, თუმცა მფლობელებს არავინ აძალებს თავიანთ კალათბურთელებს ესოდენ დიდი ხელფასები დაუნიშნონ.

ლიგის ერთ-ერთი ყველაზე მაღალანაზღაურებადი კალათბურთელი რაშარდ ლუისი აცხადებს, რომ 80-მილიონიანი შეთავაზების შემდეგ ვერ იტყოდა – ამდენი არ ვლირვარ, 60 მილიონი მომეცითო.

მ.ჟ.

# საგარეო უწყება ივანიშვილის განცხადებაზე კომენტარს არ აკეთებს

ნათია ხურცილავა

საქართველოს საგარეო უწყება, ბიძინა ივანიშვილის განცხადებაზე, რომელიც ბიზნესმენმა სააგენტო „როიტერს" მისცა, რომ რუსეთთან უნდა მოხდეს ურთიერთობების აღდგენა, აცხადებს, რომ დიპლომატიური ურთიერთობა რუსეთის ფედერაციასთან ოკუპირებული ტერიტორიების დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარების შემდეგ გაწყდა.

საქართველოს საგარეო უწყებაში სხვა კომენტარი ამ საკითხზე არ გაკეთებულა.

საგარეო საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილემ ნიკოლოზ ვაშაკიძემ ორშაბათის ტრადიციული პრესკონფერენცია გამართა.

პრესკონფერენციაზე თურქეთში, საკურორტო ქალაქ ანტალიასთან სიახლოვეს 160 არალეგალის დაკავების ფაქტების კომენტირებისაგან თავი შეიკავა ვაშაკიძემ.

არიან თუ არა დაკავებულ არალეგალებს შორის საქართველოს მოქალაქეები, ამის შესახებ საქართველოს საგარეო უწყება ინფორმაციას არ ფლობს.

საგარეო საქმეთა სამინისტროში გუშინ ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლებსა და საქართველოს ხელისუფლებას შორის კონსულტაცია გაიმართა, რომელიც ევროპული უსაფრთხოების საკითხებს მიეძღვნა.

კონსულტაციებზე ქართულ მხარეს საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ნიკოლოზ ვაშაკიძე წარმოადგენდა, ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციას კი – სახელმწიფო მდივნის თანაშემწე როუზ მიოლერი.

ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციის შემადგენლობაში ასევე იმყოფებოდა თავდაცვის მდივნის თანაშემწის მოადგილე.

შეხვედრას ასევე ეწრებოდა ამერიკის ელჩი საქართველოში ჯონ ბასი. დელეგაციამ შეხვედრა საგარეო საქმეთა მინისტრთან, გრიგოლ ვაშაძესთანაც გამართა.

– შეხვედრა მიეძღვნა ევროპაში შეიარაღებაზე კონტროლის საკითხებს. კერძოდ, ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღების ხელშეკრულების ირგვლივ არსებულ სიტუაციას და შესაძლო პერსპექტივებს. ასევე, ღია ცისა და ვენის დოკუმენტთან დაკავშირებულ თემატიკას. განვიხილეთ თუ რა მდგომარეობა არის დღეს და რა შეიძლება გაკეთდეს მომავალში ამ სფეროში მდგომარეობის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით, – განაცხადა ნიკოლოზ ვაშაკიძემ.

18-19 ოქტომბერს ოფიციალური ვიზიტით საქართველოს ესტონეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ურმას სპაეტი ეწვევა.

ვიზიტის ფარგლებში ესტონეთის პირველი დიპლომატი შეხვედრას გამართავს საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილთან, საგარეო საქმეთა მინისტრ გრიგოლ ვაშაძესთან და ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივან გიგა ბოკერიასთან.

შეხვედრაზე ორმხრივი და მრავალმხრივი ურთიერთობების საკითხები განიხილება.

18-19 ოქტომბერს საქართველოს სამხრეთ კავკასიის ტურნეს ფარგლებში ეწვევა ამერიკის სახელმწიფო მდივნის მოადგილე უილიამ ბერნსი.

უილიამ ბერნსი შეხვედრას გამართავს საქართველოს პრეზიდენტთან, საგარეო საქმეთა მინისტრთან და უშიშროების საბჭოს მდივანთან.

13 ოქტომბერს საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ატლანტიკური საბჭოს ფარგლებში საქართველოს საკითხებზე მომუშავე სპეციალურმა სამუშაო ჯგუფმა, რომელსაც თანა თავმჯდომარეო-



ბენ სენატორები: ჯინ შაჰინი და ლინსი გრემი საქართველოს შესახებ ანგარიში გამოაქვეყნეს.

ეს საქართველოსთვის დასავლეთსა და ევრო-ატლანტიკური მომავლისთვის ერთგვარი პოლიტიკური გზამკვლევია.

ანგარიშში ნათქვამია, რომ რუსეთის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ოკუპაციით გამოწვეული მზარდი საგარეო ზეწოლისა და ქვეყანაში 2012-13 წლებში დაგეგმილი არჩევნების გათვალისწინებით ევროპამ და ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მეტი ძალისხმევა უნდა გამოიჩინონ საქართველოს მხარდასაჭერად და ქვეყანაში მიმდინარე დემოკრატიული პროცესების გასაღრმავებლად. მათ შორის 2012 წელს ქალაქ ჩიკაგოში დაგეგმილ სამიტზე.

11-13 ოქტომბერს საქართველოში გაეროს გენერალური მდივნის თანაშემწე იმყოფებოდა. – გაეროს მაღალი რანგის დიპლომატი პირველად ჩამოვიდა საქართველოში. შესაბამისად სამუშაო ვიზიტი გაცნობით ხასიათს ატარებდა. გაეროს პოლიტიკურ საკითხთა დეპარტამენტი სწორედ ის სამსახურია, რომელიც პირდაპირ აწვდის ინფორმაციას გაეროს გენერალურ მდივანს, – აღინიშნა საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ.

გაეროს წარმომადგენელმა ვიზიტის ფარგლებში მოინახულა ოკუპირებული აფხაზეთი. ასევე მას შეხვედრა ჰქონდა საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანთან გიგა ბოკერიასთან და საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილესთან.

ვიზიტის მიზანი, როგორც ვაშაკიძემ განაცხადა, გაეროსა და საქართველოს შორის ურთიერთობების, თანამშრომლობის გაღრმავების პერსპექტივები იყო.

17-18 ოქტომბერს პრემიერ-მინისტრი ნიკა გილაური კანადაში გაემგზავრება ვიზიტით. ვიზიტის ფარგლებში შეხვედრები გაიმართება კანადის პრემიერ-მინისტრთან და საგარეო საქმეთა მინისტრთან.

შეხვედრები ასევე გაიმართება კანადის პარლამენტის ორივე პალატის ხელმძღვანელთან და ბიზნეს წრეების წარმომადგენლებთან.

ცნობილი გახდა, რომ პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ელჩებისაგან მიიღებს რწმუნებათა სიგელებს.

ცერემონიის ფარგლებში, როგორც საგარეო საქმეთა სამინისტროში განაცხადეს, იმ ქვეყნის წარმომადგენლებთან გაიმართება შეხვედრები, რომლებიც პრეზიდენტს რწმუნებათა სიგელებს გადასცემენ.

## ეროსი კიწმარიშვილი ევროპაში მიემგზავრება

ქართული პარტიის პოლიტიკური მდივანი ეროსი კიწმარიშვილი 18 ოქტომბერს ევროპაში მიემგზავრება. რო-



გორც „მედიანიუსს" პარტიიდან აცნობეს, კიწმარიშვილი ლონდონში, პარიზსა და ჟენევაში შეხვედრებს გამართავს. ეროსი კიწმარიშვილის ვიზიტი კვირის ბოლოს დასრულდება.

მედიანიუსი

# „ოზურგეთის პოლიციის ყოფილი უფროსი გია ურიდია დააკავეს"

სამართალდამცავებმა ოზურგეთის პოლიციის ყოფილი უფროსი გია ურიდია დააკავეს. ამის შესახებ საინფორმაციო პორტალი ,,გურიანიუსი" იუწყება. მათი ინფორმაციით, გია ურიდია დაახლოებით ოთხი დღეა დაკავებულია. ურიდია პოლიციიდან დათხოვნის შემდეგ ბიძინა ივანიშვილს შეხვდა.

გია ურიდიას მამა, ჩოხატაურის საკრებულოს დეპუტატი თამაზ ურიდია შვილის დაკავების ფაქტი უარყოფს, თუმცა, ადასტურებს, რომ გია ურიდია ნამდვილად იყო დაბარებული პროკურატურაში, ბათუმში.

– ჩემი შვილის დაკავებასთან დაკავშირებით ინფორმაცია სიმართლეს არ შეესაბამება. ის ბათუმში დაიბარეს პროკურატურაში, რაღაც საკითხთან დაკავშირებით. ჩავიდა, მისცა ჩვენება და დაბრუნდა თბილისში. ჩემს შვილს ვკითხე და მითხრა, რომ პროკურატურაში იყო. დაკავებას არ ჰქონია ადგილი და არც არასდროს ექნება, – განაცხადა თამაზ ურიდიამ.

– გია ურიდია ოზურგეთის პოლიციის უფროსად ურეკის პოლიციის უფროსად მუშაობის დროს ჩადენილი „გმირობის" გამო დააწინაურეს. სწორედ მის სახელთან იყო დაკავშირებული კურორტზე შაქრო კალაშოვის სახლის „აღმოჩენა". მაშინ თემა გაპიარდა და „მეტი სიცხადისთვის" „შავ სამყაროსთან მებრძოლ ვარდოსან მთავრობას" რიგითი პოლიციელის სახეც სჭირდებოდა. თორემ ურეკში წამოჭიმული სრა-სასახლე კალაშოვის რომ იყო, ურიდიამ კი არა, ლამის მთელმა ურეკმა და შს სამინისტრომაც იცოდა. უბრალოდ, გია ურიდია საჭირო დროს საჭირო კადრი აღმოჩნდა საჭირო ადგილზე, რამაც ის ვანო მერაბიშვილის ფავორიტ პოლიციელად აქცია. ჩვენი წყარო ამბობს, რომ მაშინ გია ურიდიას ხელმძღვანელობით დაბა ურეკში კრიმინალური დაჯგუფება და კალაშოვის თანამზრახველები დააკავეს, რომლებიც ურიდიას სიჩუმის სანაცვლოდ ნახევარ მილიონ ლარს სთავაზობდნენ, მაგრამ მან ამაზე უარი თქვა და ინფორმაცია სამინისტროს მიაწოდა". თუმცა, როგორც მერე გაირკვა, ის სახლი კალაშოვს არ ეკუთვნოდა და ერთ-ერთი ოზურგეთელი ბიზნესმენის იყო, – წერს ,,გურიანიუსი".

მედიანიუსი

# ირაკლი ალასანიამ და ბიძინა ივანიშვილმა შეთანხმებას მიაღწიეს

თავისუფალი დემოკრატების ლიდერის ირაკლი ალასანიას ცნობით, ბიზნესმენ ბიძინა ივანიშვილთან კონსულტაციების შედეგად თანამშრომლობაზე პრინციპული შეთანხმება მიღწეულია.

აღნიშნული განცხადება ირაკლი ალსანიამ გუშინ ბიძინა ივანიშვილის რეზიდენციიდან გამოსვლის შემდეგ გააკეთა, თუმცა მას არ დაუკონკრეტებია, შეთანხმებაში რა სახის თანამშრომლობა იგულისხმება.

მისი თქმით, კონსულტაციები მომავალშიც გაგრძელდება.

– რაც შეეხება ივანიშვილთან შეხვედრას, შეხვედრაზე ძირითადად ვისაუბრეთ მიმდინარე პოლიტიკური მოვლენებზე. განხილული იყო ყველა ის საკითხი, რომელიც ქვეყნისთვის მნიშვნელოვანია, საქართველოსა და რუსეთის ურთიერობები, ეკონომიკური თემები, საშინაო და საგარეო პოლიტიკა, სოფლის მეურნეობის სფერო. საქართველოსთვის მთავარი საგარეო გამოწვევა რუსეთია და ამ საფრთხეს ურთიერთობის დარეგულირებით უნდა ვუპასუხოთ. საქართველო უნდა გახდეს თანხმობის ქვეყანა. ჩვენი ქვეყნის გზა არის ევროპა და ამ გზას საქართველო არასოდეს გადაუხვევს. შეხვედრაზე ასევე ვისაუბრეთ ბიძინა ივანიშვილისთვის საქართველოს მოქალაქეობის ჩამორთმევის საკითხზე. მიუღებელია პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი წყვეტდეს, ვინ უნდა იყოს ქართველი და ვინ არა, + განაცხადა ალასანიამ.

მან ჟურნალისტების შეკითხვებსაც უპასუხა და რესპუბლიკელებლთან შესაძლო თანამშრომლობაზე განაცხადა, რომ ეს მომავლის საქმეა და ყველაფერს დრო აჩვენებს.

– შეიქმნება თუ არა ახალი პოლიტიკური ალიანსი და ამ ალიანსში „თავისუფალი დემოკრატები" და რესპუბლიკელები ერთად მოხვდებიან თუ არა, ეს მომავლის საქმეა წინასწარ ვერაფერს ვიტყვი, – განაცხადა ალასანიამ.

მედიანიუსი

## სამგლოვიარო განცხადებები

მშობლები თემურ ცანავა და ირმა კვანტალიანი, ძმა არჩილ ცანავა, ბებიები ჟენია ხელაშვილი და ანგელინა პაპავა, ბიძები შოთა ცანავა და ირაკლი კვანტალიანი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ლაშა თეიმურაზის ძე ცანავა**

პანაშვიდი: 16, 17 ოქტომბერს, ქ.თბილისი, ატენის ქ. 18გ, XI სართული.

გამოსვენება: 18 ოქტომბერს, 14 საათზე, ქ.თბილისი, ამაღლების სახელობის ეკლესიიდან (დიდი ეკლესია საბურთალოს სასაფლაოზე).

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

## TV პროგრამა

**სამშაბათი 18 ოქტომბერი**

**06.30** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **07.30** ჩვენი დილა **11.00** სამოთხის ვაშლები **12.00, 16.00, 20.00** მოამბე **12.30** საფეხბურთო მიმოხილვა **13.50** აუდიტორია **15.00** სერ. "**არავითარი საიდუმლო ჩვენს შორის**" **17.00** მედ-ინფო **17.30** დოკ. ფილმი **18.00** ან. ფილმი "შეუდარებელი ადამიანი ობობა" **18.30 ძიუდო**. აბუდაბის გრან-პრი. ფინალები **21.00** სერ. "**არავითარი საიდუმლო ჩვენს შორის**" **22.00** დიალოგი დ. პაიჭაძესთან **22.40 ჩემპიონთა ლიგა**. ჯგუფური ეტაპი **00.35** მხ. ფილმი "**დედა**" (სუბტ.) **02.10** მხ. ფილმი "**ზარი 2**" (18) (ნ. უოტსი) **04.10** სერიალი "**ზიანი**" (12) **05.10** მხ. ფილმი "**თავისუფალი რბოლა**"

**08.00, 00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **09.00, 12.00, 14.45, 17.45, 23.00** ბრიფინგის დროით **10.00, 22.00** თავისუფალი ტრიბუნა **11.00, 16.00** დოკ. ფილმი **14.00** საუკუნის პორტრეტები **17.00** მეხსიერება **19.00, 01.00** სერიალი "**ზიანი**" **20.00** მხ. ფილმი "**ჯესიკა**" **02.00** მხ. ფილმი "**ზარი**"

**07.30** დილა მშვიდობისა **10.00** სერიალი "**როსალინდა**" **11.00** სერიალი "**კლონი**" **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 04.00** კურიერი **12.30** სხვა ამბები **13.00** ბიზნეს კურიერი **13.30** შუა დღე **15.40** ვანოს შოუ **17.00** სერიალი "**ავრორა**" **18.45** სერიალი "**ახალგაზრდა ქვრივი**" **19.45** სერიალი "**სახლი მეზობლად**" **21.50** ეროვნული ლატარეა **22.00** თქვენი შოუ **22.40 ჩემპიონთა ლიგა** **00.40** შუა დღე **01.40** ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა **02.00** პატრული **02.30** მხ. ფილმი (სუბტ.)

**07.30** იმედის დილა **10.00** სერიალი "**მოპარული ბედნიერება**" **11.00, 14.00, 17.00, 20.00, 02.20** ქრონიკა **11.40** სერ. "**ქალის სიტყვა**" **12.30** დღის შოუ **14.30** ტვ-მარკეტი **14.40** სერ. "**ყავა და ლუდი**" **16.00** სერიალი "**მეტოქეები**" **17.40** სერიალი "**ევა ლუნა**" **18.40** სერიალი "**როცა სიყვარული მოდის**" **21.00** სერიალი "**დამალული სიმართლე**" **22.00** "ფორმაში" **23.00** ფლეშმობშოუ **00.20** თბილისი ლაივი **01.00** მხ. ფილმი "**თაფლობის თვე**" (ს. მილერი) (სუბტ.) **03.00** მხ. ფილმი "**ლომის გული**" (ჟ. ვან დამი) (სუბტ.) **06.30** სერიალი "**მარინა**"

**08.00** მხ. ფილმი **10.00** სერიალი "**ჩემი შეყვარებული**" **11.00** ანიმაცია "ყველაზე პატარა ზოომაღაზია" **12.00, 15.15, 17.00** ტვ-მარკეტი **12.15** სერიალი "**დაკარგული ქვეყანა 3**" **13.00** მხ. ფილმი **15.30** მხ. ფილმი **17.10** სერიალი "**ტყუპები**" **18.00** მხ. ფილმი **20.00** სერიალი "**მისი სულის მუსიკა**" **21.00** სერიალი "**გაუხსნელი საქმე**" **22.00** მხ. ფილმი **00.00** მხ. ფილმი

**08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30** "დრო" **09.00, 23.40** სერიალი "**სოფია, ცოტა მადროვე**" **10.30** დოკ. ფილმი **10.40, 16.00** სახლი ბათუმში **11.10, 14.10, 17.10** ინგლისურის გაკვეთილი **11.40, 15.00, 18.00** თურქულის გაკვეთილი **11.50, 21.00** სერიალი "**სოპრანოს კლანი**" **12.50, 19.35** სერიალი "**მხოლოდ შენ**" **15.15** სერიალი "**ექიმი ქმორი**" **16.30** დროის ვექტორი **18.15** დოკ. ფილმი **23.00** დოკ. ფილმი **00.30** მხ. ფილმი

ერთსულოვნება განთიადი **10.05, 19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **10.25** დოკ. ფილმი "თენგიზ აბულაძე" **10.40** სალვთისმეტყველო საუბრები **11.30** ერთსულოვანი ოჯახი **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **12.00, 15.00** საეკლესიო კალენდარი **12.15** მხ. ფილმი "**გაზაფხული საკენში**" **13.45** კონცერტი – თბილისური ავტოგრაფი **15.05** განთიადის სტუმარი **15.25** მხ. ფილმი "**მანანა**" **16.35** დოკ. ფილმი "ველური ბუნება" **17.00** დოკ. ფილმი "ფრაგმენტები ტაო-კლარჯეთის ისტორიიდან" **18.05** ჩვენ ვუკრავთ კლასიკას **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.15** მხ. ფილმი "**ჩემი მეგობარი ნოდარი**" **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.20** საყმაწვილო ბიბლიური ენციკლოპედია **22.25** მგზავრები წუთისოფლისა **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დროის ჩანაწერები **00.30** განთიადის სტუმარი **01.00** კონცერტი – სესილია ბარტოლი

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის" ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**18 ოქტომბერი**

**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

აშშ დოლარი — 1,6613

ევრო —2,2702

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,7208

რუსული რუბლი — 0,057

<u>აღმოსავლეთ საქართველო:</u> ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 17–22, ღამით — 6–13

<u>დასავლეთ საქართველო:</u> ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 23–27, ღამით — 17–18

<u>სამხრეთ საქართველო:</u> ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა ტემპერატურა დღისით — 16–19, ღამით — 2–11

**ამინდის პროგნოზი 18 ოქტომბრისთვის**





## გაზეთ „ახალი თაობის“

## 17 ოქტომბრის ნომერთან ერთად გაიყიდება

# „ქართული მწერლობის საუნჯის“

## მესამე ტომი






# ვეფხისტყაოსანი

## ეს წიგნი ყველა ოჯახში უნდა იყოს!


# მიურეიმ ფედერერს გადაასწრო და სამეულში მოხვდა

**მსოფლიოში ყველა დროის ერთ-ერთ საუკეთესო ჩოგბურთელად აღიარებული როჯერ ფედერერი 2003 წლის 23 ივნისიდან მოყოლებული პირველად აღმოჩნდა მსოფლიოს კლასიფიკაციის საუკეთესო მოთამაშეთა მოწინავე სამეულის მიღმა. შვეიცარიელი რაფაელ ნადალისა და ნოვაკ ჯოკოვიჩის შემდეგ, ამჯერად ბრიტანელმა ენდი მიურეიმ შეავიწროვა.**



შოტლანდიელმა შანხაის ტურნირის ფინალში ესპანელ დავიდ ფერერს 7:5, 6:4 მოუგო და შარშან მოპოვებული ტიტული წარმატებით დაიცვა. ასე და ამგვარად, მარეიმ რეიტინგსიის მესამე პოზიციიდან შვეიცარიელი დააქვეითა, რის შედეგად ნოვაკ ჯოკოვიჩსა და რაფა ნადალს ჩაუდგა კვალში.

— მოხარული ვარ, ასეთ მაღალ საფეხურზე რომ აღმოვჩნდი. თუმცა, მესამე ადგილი ჩემი საბოლოო მიზანი სულაც არაა. ჯერჯერობით ჯოკოვიჩისა და ნადალის გადასწრების დრო არ დამდგარა, მაგრამ სამომავლოდ დღევანდელთან შედარებით უკეთ თამაშს ვაპირებ და ვინ იცის, იქნებ კლასიფიკაციაში კიდევ უფრო დავწინაურდე, — განაცხადა მიურეიმ, რომლის ამბიცია როგორც ხედავთ არ ჩერდება.

# ჯანსუღ ჩარკვიანს იუბილე კონცერტით მიულოცეს




ეკა ირემაშვილი


დიდ საკონცერტო დარბაზში ქართული ესტრადის მომღერლები და ჯანსუღ ჩარკვიანის შემოქმედების თაყვანისმცემლები შეიკრიბნენ და პოეტს 80 წლის იუბილე გრანდიოზული კონცერტით მიულოცეს.

„თავისუფლება ისე არ მოდის“ — ასე ეწოდებოდა კონცერტს, რომელიც პოეტის ქალიშვილის თაკო ჩარკვიანის ორგანიზებით მოეწყო. ქართულ ესტრადაზე უკვე არსებობს არაერთი სიმღერა, რომელიც პოეტის ლექსებზეა შექმნილი. ჯანსუღ ჩარკვიანის 70 ლექსზე სხვადასხვა კომპოზიტორმა დაწერა სიმღერა. აქედან 20 სიმღერა დიდ საკონცერტო დარბაზში აჟღერდა. სიმღერები ქართული ესტრადის როგორც ძველი თაობის, ასევე ახალგაზრდა მომღერლებმა შეასრულეს. მერაბ სეფაშვილმა, აჩიკო ნიჟარაძემ, მაია ჯაბუამ, დათუნა სირბილაძემ, ირმა სოხაძემ, ანსამბლმა „ალილო“, „ქართულმა ხმებმა“ და, რა თქმა უნდა, მამუკა ჩარკვიანმა პოეტის ლექსებზე შექმნილი სიმღერები იმღერეს. მამუკა ჩარკვიანმა „ქართულ ხმებთან“ ერთად ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული სიმღერა „სულ ზევით ზევით“ შეასრულეს, რომელიც სწორედ ჯანსუღ ჩარკვიანის ლექსზეა შექმნილი.

დიდ საკონცერტო დარბაზში დაგეგ-


გაგრძელება მე-10 გვერდზე


# ასტროპროგნოზი

## 18 ოქტომბრისთვის

**ყველამ გაითვალისწინეთ!**

<u>ეს დღე მშვიდად ჩაივლის</u>

**ვერძი** — ის საქმე აკეთეთ, რაც მოგწონთ. **კურო** — სახლში სიახლეა, ძვირფას ნივთს შეიძენთ. **ტყუპები** — არ აჩქარდეთ, მშვიდად იმოქმედეთ. ტყუპები — ფულის პრობლემა აღარ გექნებათ, ამოისუნთქავთ. **კირჩხიბი** — მოაწყვეთ განტვირთვის დღე, მიიღეთ ხილი და ბოსტნეული. **ლომი** — ახალი პროექტი მოგეწონებათ, მაგრამ დაფიქრება გმართებთ. **ქალწული** — იმიჯის შეცვლა კარგია, იფიქრეთ ამაზე. **სასწორი** — გზიდან ფული მოდის, შეიძლება საჩუქარიც მიიღოთ. **ღრიანკალი** — სახლში სიახლეა, ძვირფას ნივთს შეიძენთ. **მშვილდოსანი** — უარს ნუ იტყვით შემოთავაზებაზე, ჯერ კარგად დაფიქრდით. **თხის რქა** — არ გადააჭარბოთ, ზედმეტს ნუ იმუშავებთ. **მერწყული** — ბედი გწყალობთ, ყველაფერი ისეა, როგორც გსურდათ. **თევზები** — არჩევანი თქვენზეა, ოღონდ დიდხნს ფიქრი არ დაიწყოთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. გულის ნაწილი; 2. სილამაზის სიყვარულის, ბედნიერების, სიმდიდრის ღვთაება ინდურ მითოლოგიაში; 3. მსახიობის პატივსაცემად გამართული წარმოდგენა; 4. ტერიტორიული ერთეული თურქეთში; 7. მტკიცება, რომელიც აღიარებულია რაიმე თეორიის ამოსავალ დებულებად, დასაბუთების გარეშე; 8. მექანიკური სასიგნალო მოწყობილობა ძველებურ ავტომობილებზე. 12. ნანადირევისთვის განკუთვნილი სპეციალური ჩანთა; 14. საკანონმდებლო ორგანო აშშ-ში; 16. ალუმინის შემცველი მინერალი; 17. დარბაზის ფეხბურთი; 19. გემის უკანა ნაწილი; 20. ინდოელ ქალთა კაბა.

**თარაზულად**: 5. აეროპორტი სოხუმის მახლობლად; 6. ალპებში გავრცელებული თეთრი ყვავილი; 9. პოპულარული ქართული სიმღერა; 10. მეზღვაურთა, მეთევზეთა მფარველი ღვთაება ქართულ მითოლოგიაში; 11. ყოველკვირეული ქართული ჟურნალი; 13. გერმანელი ფილოსოფოსი; 15. ჰოლივუდის კინორეჟისორი; 18. ტოლგვერდა და ირიბკუთხა პარალელოგრამი; 21. კუთხმზომი გეოდეზიური ხელსაწყო; 22. პრინცესას ტიტული ესპანეთში; 23. საცხენოსნო სპორტის ერთ-ერთი დისციპლინა.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა




# იუმორი



***

— ადამიანს რაც უნდა, ყველაფერი რომ მისცე, რაც არ უნდა, ისიც მოუნდება...

***

— ლიტერატურის სწორად შერჩევის შემთხვევაში ტუალეტში შესანიშნავი განათლების მიღება შეიძლება...

***

ფსიქოანალიტიკოსთან ტიპი მივიდა, სავარძელში ჩაჯდა, ჩუმად ზის, ხმას არ იღებს. ფსიქოანალიტიკოსი მოთმინებით ელოდება, აბსოლუტურ სიჩუმეში ერთი საათი გავიდა. ტიპი წამოდგა, მაგიდაზე 50 დოლარი დატოვა, ექიმს გამოემშვიდობა და წავიდა.

მეორე დღეს სურათი განმეორდა. იგივე მოხდა, მესამე, მეოთხე დღეს. ერთი კვირის შემდეგ ფსიქოანალიტიკოსმა ვერ მოითმინა.

— იქნებ, მითხრათ, რა გაწუხებთ?

— ცოლი, ექიმო. ერთი წუთითაც არ ჩერდება, აქ თქვენთან კი ისეთი სასიამოვნო სიჩუმეა...

***

— ხიზილალის ან ზუთხისგან დატოვებული ცხიმიანი ლაქა არ ამოიყვანოთ — სახსოვრად დაიტოვეთ...

***

— რა ჰქვია თქვენი სკოლის დირექტორს?

— არ ვიცი.

— დამრიგებელი რა გვარია?

— არ მახსოვს.

— შენც ხარ რა, უკვე 15 წლისა ხარ და მარტო „არ მახსოვს, არ ვიცი“ შეგიძლია. რომელ კლასში სწავლობ, ის თუ გახსოვს?

— მესამეში.

— მადლობა ღმერთს, მე კი მეგონა, მთლად გამოთაყვანდი...

***

გამოცდაზე პროფესორი სტუდენტს ეკითხება:

— დაასახელეთ სითხეების და გაზების შესანახი ჭურჭელი.

— პრეზერვუარი?

— თითქმის გამოცანით, ოღონდ ასო „პ“-ს გარეშე.

— რეზერვატივი?

გ.თ.

# რამდენად დამოუკიდებელი ხართ

**ტესტი**



**ტესტის შეკითხვებს უნდა გასცეთ პასუხი: დიახ — (2), არა — (0), არ ვიცი — (1).**

1. ბავშვობაში მშობლები ყველაფერს ჩემს ნაცვლად წყვეტდნენ;
2. არ ვივიწყებთ იმ ერთადერთ ადამიანს, რომელიც ჩემს გვერდით აღარ არის;
3. ხანდახან მარტოობისაგან სასოწარკვეთილი ვარ;
4. სისულელეა შენი დაიჟინო, როდესაც ყველა სხვას ამტკიცებს;
5. როდესაც არჩევანის შესაძლებლობა არსებობს, საკუთარი ინტერესებით კი არა, სხვების ინტერესებით ხელმძღვანელობ;
6. სწორი ნათქვამია, თავად ცხოვრება მოითხოვს დაემორჩილო იმას, ვისი დამორჩილებაც საჭიროა;
7. მიყვარს, როცა გვერდით ვინმე მყავს;
8. ხშირად მორცხვობის გამო საკუთარი ნება-სურვილის წინააღმდეგ ვმოქმედებ;
9. ხშირად მიჭირს, ვინმეს რაიმე თხოვნაზე უარი ვუთხრა;
10. ზოგიერთი ადამიანი არ მსიამოვნებს, მაგრამ მათთან კავშირის გაწყვეტა არ შემიძლია;
11. ზოგიერთ აზრს თავიდან ვერ ვიშორებ;
12. მესმის, რომ მრავალი ახერხებს ჩემს აზრებზე და ქცევაზე ზეგავლენის მოხდენას;
13. როდესაც მეუბნებიან, რომ ყველაფერი თავიდან უნდა დავიწყო, ვიბნევი;
14. მომწონს, როდესაც გავცემ, მაგრამ სხვების გაცემულს ისევე ადვილად ვერ ვიღებ.

**პასუხები**

**0-8 ქულა:** დამოუკიდებლობა თქვენი დამახასიათებელი თვისებაა. ცდილობთ, ძირშივე აღკვეთოთ სხვებზე დამოკიდებულების ნებისმიერი ფორმა, თუმცა ეს ზოგჯერ ძვირი გიჯდებათ.

**9-18 ქულა:** შეგიძლიათ დაიცვათ წონასწორობა თავისუფლებასა და სხვებზე დამოკიდებულებას შორის, რადგან იცით, საკუთარი თავის ფასი და კმაყოფილი ხართ იმით, რომ სხვებმაც იციან ეს.

**19-28 ქულა:** სხვებზე დამოკიდებულების გარეშე სიცოცხლე თქვენთვის თავის ხიბლს დაკარგავდა. გიყვართ ადამიანებთან ახლო ურთიერთობის დამყარება, თანაც ეს ურთიერთობები ხშირად ხელ-ფეხს გიბორკავთ.

გ.თ.